საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური

# სამეცნიერო ჟურნალი

# „Scripta manent“

## საქართველო

№3(23ს)

2014

ჟურნალი დაფუძნებულია
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ

*GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY*

*ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ*

*Multilingual Reviewing International Scientific Magazine*

*Международный рецензионный мультилингвальный научный журнал*

# „Scripta manent“

*GEORGIA*

*ГРУЗИЯ*

№3(23)

2014

*OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION*

*АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ*

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

## სარედაქციო კოლეგია:

**მაია ჩხეიძე**
მთავარი რედაქტორი

**რუსუდან თაბუკაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე

**ია ჩიქვინიძე**
პასუხისმგებელი მდივანი

## რედკოლეგიის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, ჰანს რუდიგერ ფლუკი, კულპაშ ბეიბიტოვა, სილვია ბოტევა,
ტანია გრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, ია ბურდული, მარია მიხაილოვა,
ტატიანა მეგრელიშვილი, ალბა გრაციანო, ალესანდრა სპადაფორა, გიორგი ყუფარაძე,
რუსუდან გოცირიძე.

მისამართი:
საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII
ტელ. : 236 51 76
E-mail. : r. tabukashvili@gmail. com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი
E-mail. : k-kharazishvili@mail. ru
scripta.manentmagazine@gmail. com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
www. odageorgia.ge

**Editorial Board:**

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Grieskhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze, Rusudan Gotsiridze.

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : (995 32) 236 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

**Electronic version:** www. odageorgia. ge

**Редакционная коллегия:**

Майя Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуния, Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе, Русудан Гоциридзе.

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел. : (995 32) 236 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

**Электронная версия:** www. odageorgia. ge

# რედაქციისაგან

„Scripta manent“ საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს. ამას გარდა, იგი ადგილს უთმობს რეცენზიებს, თარგმანებსა და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ნაშრომს.

პროფესიონალთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედკოლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

ჟურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური.

სარედაქციო კოლეგიის წევრები მოღვაწეობენ საქართველოს (თბილისი), გერმანიის (ბოხუმი, ბერლინი), რუსეთის (მოსკოვი), ყაზახეთის (ასტანა), ბულგარეთის (სოფია) და იტალიის (ტუსცია) უნივერსიტეტებში.

## სარჩევი

### ფილოლოგია

**ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია**
ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კონცეპტუალური სტრუქტურების კორელაცია ........ 10

**ციური ახვლედიანი, ლოლიტა თაბუაშვილი**
გასტრონომიული კომპონენტების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლინგვისტური ანალიზი (ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების მასალაზე) ........ 15

**მაკა ბალაძე**
ევფემიზმების როლი პრესის დისკურსში და მათი კლასიფიკაცია ........ 21

**თინათინ ბორჩხაძე**
ტერმინოლოგია და მისი კლასიფიკაციის მცდელობა ........ 27

**თინათინ ბორჩხაძე**
ტერმინოლოგიისადმი სისტემური მიდგომა და მისი არსი ........ 31

**რუსუდან გოცირიძე**
ენების შესწავლის რევოლუციური საშუალება ........ 38

**მარინა ზორანიანი**
პროდუქტიული სუფიქსური სიტყვაწარმოების სწავლება როგორც ტექნიკური სპეციალობების სტუდენტების ლექსიკური მარაგის გამდიდრების წყარო ........ 44

**მანანა ივანისელი**
ინგლისური ენის სახელმძღვანელოების ლექსიკის შერჩევის პრინციპები ........ 45

**დოდო ლაბუჩიძე**
მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესი და ეთიკა ........ 50

**მედეა სვანი**
მსოფლიოს კულტურული სურათის განსაზღვრება ........ 54

**ნინო ჭრიკიშვილი**
ლათინური დიფთონგები თანამედროვე ესპანურ ენაში ........ 60

**თეონა ცინცაძე**
კალამბურის გამოყენება საგაზეთო სტატიების სათაურებში ........ 65

**თეონა ცინცაძე**
სიტყვათა თამაშის ანალიზი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ დონეზე ........ 70

### სოციალური მეცნიერება

# Contents

## Philology

**Tsiuri Akhvlediani, Kétévan Gabunia**
The Correlation of the Conceptual Structures of French Phraseological Units ........................................14

**Tsiuri Akhvlediani, Lolita Tabuashvili**
The Linguistic Analysis of the Phraseological Units Containing Gastronomical Components (on the material of French, Spanish and Italian Languages) .....................................................................20

**Maka Baladze**
The Role of Euphemisms in Press Discourse and Their Classification ....................................................26

**Tinatin Borchkhadze**
Terminology and the Attempt of Its Classification.....................................................................................30

**Tinatin Borchkhadze**
System Approach to Terminology and its Essence .....................................................................................35

**Rusudan Gotsiridze**
Revolutionizing the Ways of Language Learning.......................................................................................36

**Marina Zoranyan**
Teaching Productive Word-Building on the Basis of Suffixation as a Means of Enriching Vocabulary of Students Majoring in Technical Areas ..................................................................................................43

**Manana Ivaniseli**
Principles English Textbooks and its Vocabulary Selection ......................................................................49

**Dodo Labuchidze**
The Progress and Ethics of Science and Art ...............................................................................................53

**Medea Svani**
The Definition of the World Cultural Picture .............................................................................................59

**Nino Chrikishvili**
Latin diphthongs in Modern Spanish Language ..........................................................................................64

**Teona Tsintsadze**
The Use of Pun in Newspaper Headlines ....................................................................................................69

**Teona Tsintsadze**
The Analysis of Word Play at Phonological and Morphological Levels ...................................................73

## Social Sciences

**Faya Shulenbayeva, Kamila Akim, Elmira Jaldybayeva**
Inter-Ethnic Balance Problems in Mass Media and Socio-Economic Levels of the Welfare in Society.....76

## Содержание

### Филология

**Ахвледиани Циури, Габуния Кетеван**
Корреляция концептуальных структур французских фразеологизмов ........ 14

**Ахвледиани Циури, Табуашвили Лолита**
Лингвистический анализ фразеологических единиц с гастрономическими компонентами (французский, испанский, итальянский языки) ........ 20

**Баладзе Мака**
Роль эвфемизмов в дискурсе прессы и их классификация ........ 26

**Борчхадзе Тинатин**
Терминология и попытки ее классификации ........ 30

**Борчхадзе Тинатин**
Системный подход к терминологии и суть этого подхода ........ 35

**Гоциридзе Русудан**
Революционные методы изучения языка ........ 39

**Зоранян Марина**
Обучение продуктивному суффиксальному словообразованию как средству обогащения лексического запаса студентов технических вузов........ 40

**Иванисели Манана**
Принципы выбора лексики учебников английского языка ........ 49

**Лабучидзе Додо**
Прогресс и этика науки и исскуства........ 53

**Свани Медея**
Определение культурной картины мира ........ 59

**Чрикишвили Нино**
Латинские дифтонги в современном испанском языке ........ 64

**Цинцадзе Теона**
Использование каламбура в газетных заголовках ........ 69

**Цинцадзе Теона Мерабовна**
Анализ игры слов на фонетическом и морфологическом уровнях ........ 73

### Социальные науки

**Камила Аким, Ф. Шуленбаева, Эльмира**
Проблемы межэтнического баланса в СМИ и социально-экономический уровень благосостояния общества ........ 80

# ფილოლოგია
# Philology
# Филология

# ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კონცეპტუალური სტრუქტურების კორელაცია

*ციური ახვლედიანი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი, საქართველო*
*ტელ. 599 508 607*
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*ქეთევან გაბუნია*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ჭავჭავაძის გამზ. 36. 0179, თბილისი, საქართველო*
*ტელ. 599 201 099*
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

**რეზიუმე**

კონცეპტუალური ინფორმაციის სტრუქტურირება, ერთი და იმავე კულტურის კონცეპტთა შეპირისპირების გზით წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ საშუალებას იმ მნიშვნელოვანი კულტურული ინფორმაციის გამოსავლენად, რომელიც ამა თუ იმ კონცეპტით უკავშირდება ენის მატარებელთა ცნობიერებას. ამ თეორიული დებულების საილუსტრაციოდ განვიხილავთ კონცეპტებს "სიყვარული" და "სიძულვილი", რომლებიც წარმოადგენენ ბინარულ ოპოზიციას და მნიშვნელოვანი არიან სხვადასხვა ლინგვოკულტურათა წარმომადგენლებისათვის.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კონცეპტუალური სტრუქტურების კორელაციები, რომლებიც წარმოადგენენ «სიყვარულისა» და «სიძულვილის» კონცეპტებს, მჟღავნდებიან შემდეგი პარამეტრებით: კონცეპტუალურ ნიშანთა იგივეობით, სტრუქტურულ-სემანტიკური და მეტაფორული მოდელების ერთიანობით, რაც მოწმობს მათი ველების გადაკვეთას.

**საკვანძო სიტყვები:**

ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრაზეოსემანტიკური ველი, კონცეპტი, ინფორმაციის სტრუქტურირება.

**შესავალი**

კოგნიტიური ლინგვისტიკის წარმომადგენელთა თვალსაზრისით ყოველი ენა ეკვივალენტურია კონცეპტთა განსაზღვრული სისტემისა, რომლის საშუალებითაც მოცემული ენის მატარებლები გარემომცველი სამყაროსაგან მიღებულ ინფორმაციათა ნაკადს აღიქვამენ, აწარმოებენ მის სტრუქტურალიზაციას, კლასიფიკაციასა და ინტერპრეტირებას. კონცეპტი არის ის ტერმინი, რომელიც ემსახურება ჩვენი ცნობიერებისა და იმ ინფორმაციული სტრუქტურის მენტალური ან ფსიქიკური რესურსების ახსნას, რომელიც ასახავს ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებას; იგი არის მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემისა და აზროვნების ენის, ადამიანის ფსიქიკაში ასახული სამყაროს მთელი სურათის შინაარსობრივი ერთეული.

**ძირითადი ნაწილი**

კონცეპტუალური რაობანი – "სიყვარული" და "სიძულვილი" – უნივერსალურნი არიან, რადგან ისინი წარმოადგენენ ყველა ინდივიდის მახასიათებლებს, განურჩევლად მათი ნაციონალურ-კულტურული კუთვნილებისა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათი ვერბალიზაცია სხვადასხვაგვარად ხორციელდება

განსაზღვრულ კულტურულ-ენობრივ სოციუმებში.

"სიყვარული" და "სიძულვილი", ტრადიციულად, პოლარულად დაპირისპირებულ კონცეპტთა კორელაციას წარმოადგენს. მათი საერთო მახასიათებელია მიმართულება ობიექტისადმი, არსებითი განსხვავება კი ისაა, რომ ისინი გამსჭვალულია ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებითა და სხვადასხვა მიზნებით; სიძულვილისას აღსანიშნავია ობიექტისადმი სწრაფვა – ბოროტებით, სიყვარულისას კი – სიკეთით.

"სიყვარულისა" და "სიძულვილის" ამბივალენტური ურთიერთობა ექსპლიციტურად აისახება ენაში. რადგან ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგები, პირველ რიგში, ლექსიკონშია ასახული, ამიტომ საანალიზო კონცეპტების კოგნიტიური სემანტიკის გამოსავლენად განმარტებითი ლექსიკონი გამოვიყენეთ; მხედველობაში მივიღეთ რა ლექსემათა - **amour** «disposition à vouloir du bien» (**სიყვარული** "სიკეთის სურვილის მდგომარეობა") და **haine** «sentiment violent qui pousse à vouloir du mal» (**სიძულვილი** "ბოროტების სურვილის ძლიერი გრძნობა") – მნიშვნელობის ასპექტთა თავისებურებანი, მათი სიღრმე და დროში ხანგრძლიობა, შევეცადეთ გამოგვევლინა ამ კონცეპტთა დეფინიციების ასახვა მეორადი ნომინაციის, ანუ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

ფრანგულ ენაში, კონცეპტები "სიყვარული" და "სიძულვილი" წარმოდგენილია ფართო ფრაზეოსემანტიკური ველებით. ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც ანტონომიურნი არიან თავიანთი არსით, აქვთ მსგავსი სემანტიკური ნიშნები; ენობრივ ერთეულთა ამგვარი გამოვლენა აიხსნება კონცეპტუალურ პლანში მათი თანაფარდობით. ფრაზეოსემანტიკურ ველთა სტრუქტურირებისა და მათი სემანტიკის შესწავლისას, გამოვლინდა ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ერთდროულად მოიცავენ ორივე პოლარულ მნიშვნელობას – "სიყვარულსაც" და "სიძულვილსაც". ამგვარად, დაშვებულია ოპოზიციურ კონცეპტთა "თანაარსებობა" ერთი ენობრივი ერთეულის ფარგლებში: faire loucher qn (სასაუბ.) – 'ვინმეს მოსწონდე', 'გაანაწყენო, გააღიზიანო ვინმე'; avoir une histoire avec qn 'ვინმესთან წაჩხუბება (სასაუბ.)', 'ხანმოკლე სასიყვარულო კავშირი ვინმესთან (სასაუბ.)'; soigner qn aux petits oignons 'ნაზად მზრუნველობა ვინმეზე', 'აბუჩად აგდება, უხეში მოქცევა ვინმეს მიმართ (ირონ.)'.

"სიყვარულისა" და "სიძულვილის" შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზმა გამოავლინა მათი საერთო გადამკვეთი სფეროების კონცეპტუალური ნიშნები: 1. ხანგრძლივობის ნიშანი, 2. ფაზობრიობის ნიშანი, 3. პასიურობის ნიშანი, 4. ინტენსიურობის ნიშანი.

**ხანგრძლივობა**, ანუ ურთიერთობათა დროში განფენილობა აისახება მეორადი ნომინაციის ერთეულებშიც; მაგ., porter qn dans son coeur 'საკუთარი გულით ტარება, ნაზი გრძნობების ქონა ვინმეს მიმართ' – ზმნა porter-ს წყალობით, რომელიც ხელს უწყობს ამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის დროით ლოკალიზებას, ფრაზეოლოგიური ერთეული შეიცავს სემას "ამ მდგომარეობაში ყოფნა გარკვეული დროის განმავლობაში".

სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობები შეიძლება გადავიდეს ერთი სტადიიდან მეორეში, ანუ ისინი ხასიათდებიან **ფაზობრიობის** ნიშნით: amoureux comme un moineau 'მერყევი, ბეღურასავით თავქარიანი' – შეიცავს "მერყეობის, არამუდმივობის, ქარაფშუტობის" სემას; ეს ნიშანი მიუთითებს, რომ სიყვარულის გრძნობის გამოვლენა ერთჯერადი კი არ არის, არამედ მრავალჯერადია, დროის განსაზღვრულ მონაკვეთებში, მრავალ ფაზაში.

**პასიურობის** ნიშანი, რომელიც ნიშანდობლივია მდგომარეობის კატეგორიებისათვის, გამოიხატება იმით, რომ სიყვარულისა

და სიძულვილის მდგომარეობის ან ურთიერთობის სუბიექტი, მოქმედების სუბიექტისაგან განსხვავებით, პასიურია: avoir un faible pour qn ‘სისუსტის განცდა, ლტოლვა ვინმესადმი, მოწყალე თვალით ყურება, ვინმესადმი უპირატესობის მინიჭება’ – სიყვარულის ეს ურთიერთობა წარმოდგენილია როგორც თავისთავად არსებული და სუბიექტისაგან არაფრის მომთხოვნი; ეს ურთიერთობა პასიურია და არაკონტროლირებადი.

სიყვარული და სიძულვილი, რომელსაც განიცდის სუბიექტი ობექტის მიმართ, ხასიათდება ძლიერი ემოციური დაძაბულობით. ეს ურთიერთობა წარმოდგენილია ნიშნით – **ინტენსივობა**, რომელიც ახასიათებს ენობრივ ერთეულებს. აღსანიშნავია, რომ სიყვარულისა და სიძულვილის გამომსახველ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, აქვთ სემა-ინტენსიფიკატორები, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ ამ ურთიერთობათა ხარისხის გამოვლენას. ინტენსიფიკატორი ასრულებს განსაკუთრებულ ფუნქციას – მიუთითებს გრძნობის გამოვლენის სიძლიერეს; შევადაროთ კორელაციები: avoir la haine — avoir qn dans le blair (სასაუბ.) ‘ვინმეს მიმართ სიძულვილის ქონა’ – ‘ვინმეს ვერ ატანა’; être en amour — aimer comme un fou ‘ვინმეს შეყვარება’ – ‘სიგიჟემდე შეყვარება’; ამ წყვილად ფრაზეოლოგიზმთა მარჯვენა წევრები მარკირებულნი არიან ნიშნით «გრძნობის გამოვლენის მაღალი ხარისხი». შევადაროთ ფრაზეოლოგიური ერთეულები: vouloir du mal à qn ‘ბოროტი სურვილი ვინმეს მიმართ’, ‘ვინმეზე გაბრაზება’ და vouloir mal de mort à qn ‘სიკვდილივით შეძულება ვინმესი’; ეს ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ სინონიმებს, აქვთ რა საერთო არქისემა - «ურთიერთობა» და ინტეგრალურ სემა – “სიძულვილი”, მაგრამ ფრაზეოლოგიური ერთეული vouloir mal de mort à qn (‘სიკვდილივით შეძულება ვინმესი’) წარმოგვიდგენს სიძულვილის ძალიან მაღალ ხარისხს, სემა-ინტენსიფიკატორის (კომპონენტი mort “სიკვდილი”) საშუალებით. სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობები ხასიათდება ძლიერი ემოციური დაძაბულობით. ფრაზეოლოგიურ ერთეულში - cracher son venin (cracher [ან jeter] (tout) son venin) ‘ბოღმის ნთხევა’ - ისეთ კომპონენტთა არსებობით, როგორიცაა cracher ‘ნთხევა’, venin ‘შხამი, ბრაზი, ბოღმა’, tout ‘მთელი’, აქტუალიზდებიან სემა-ინტენსიფიკატორები, რომლებიც ხელს უწყობენ სიძულვილის ინტენსიურობის ხარისხის გამოხატვას, რომელსაც თან ახლავს მიუკერძოებელი გამონათქვამი არაკეთილგანწყობის ობიექტის მიმართ. ინტენსიურობის გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს ტავტოლოგიაც; შდრ. aimer ‘სიყვარული’ და aimer d’amour ‘გატაცებით სიყვარული’ (ფრაზეოლოგიურ ერთეულში აქცენტია გრძნობის ხასიათსა და ინტენსიურობაზე).

“სიყვარულისა” და “სიძულვილის” შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების მოდელთა სტრუქტურულ-სემანტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიუხედავად მათი პოლარულობისა, ეს ურთიერთობები ფლობენ ინტერპრეტაციის ერთსა და იმავე საშუალებებს. განხილულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმეტესობა (82%) ობიექტური ფრაზეოლოგიური ერთეულია (ანუ გამოხატავს სუბიექტის ქმედებას, მიმართულს ობიექტისაკენ). სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობათა რეპრეზენტაციისათვის, ფრანგული ფრაზეოლოგია იყენებს სტრუქტურულ-სემანტიკურ მოდელებს “სუბიექტის გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში” (მაგ., tomber amoureux ‘შეყვარება’; prendre en haine ‘შეძულება’) და “სუბიექტი ზემოქმედებს ობიექტზე” (მაგ., donner le mal de mer à qn ‘შეძულება, თავის მობეზრება’; tourner la tête à qn ‘ვინმეს მოხიბვლა, თავის შეყვარება’).

მასალის სემანტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ “სიყვარულისა” და “სიძულვილის” ურთიერთობების შემცველი

ფრაზეოლოგიზმები ფორმირდებიან მეტაფორული გადააზრების ან მეტონიმური გადატანის გზით; უფრო მეტად პროდუქტიულია მეტაფორული მოდელები. მეტაფორული გადააზრება დაკავშირებულია მსგავსების მიხედვით მნიშვნელობის გადატანასთან: 1. მდგომარეობის: être bique (სასაუბ.) 'გაღიზიანება, ნერვებზე მოქმედება', amoureux comme un moineau 'მერყევი, ბედურასავით თავქარიანი'; 2. ქცევის: s'accorder comme chien et chat 'კატა და ძაღლივით ცხოვრება', recevoir qn comme un chien dans un jeu de quilles (სასაუბ.) 'ვინმეს ცუდად მიღება, მტრულად დახვედრა'.

მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ "სიყვარულისა" და "სიძულვილის" ოპოზიციურ ურთიერთობათა გამოსახატავად გამოიყენება ერთი და იგივე ხატოვანება. მაგ., ცეცხლის ხატი არსებობს სიყვარულისა და სიძულვილის გამომხატველ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: chaud comme braise (სასაუბ.) 'მგზნებარედ შეყვარებული'; recevoir un coup de soleil (სასაუბ.) 'შეყვარება'; tout feu tout flamme 'ვნების ცეცხლი, სიყვარულის ალი'; avouer (déclarer) sa flamme 'სიყვარულის ახსნა'; être en feu 'სიყვარულის ცეცხლით აღგზნებული'; avoir le feu dans la peau 'სიყვარულის ცეცხლით იწვის'; descendre en flammes (სასაუბ.) 'სამაგიეროს მიზღვა, ანგარიშის გასწორება'; se faire la guerre à feu et à sang (სასაუბ.) 'სისხლისმღვრელი ომის გამოცხადება'.

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, ავადმყოფობის, ცუდი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის ხატოვან საფუძველზეა წარმოდგენილი სიყვარულისა და სიძულვილის ურთიერთობათა სფერო: avoir en grippe 'ათვალწუნება'; faire une grippe 'ვინმეზე გაჯავრება, ჯავრი სჭირს ვინმესი'; faire mal au ventre à qn 'ზიზღის გრძნობა'; répandre du venin contre qn 'ვინმეზე აუგის თქმა, ლანძღვა'; ficher des varices à qn (სასაუბ.) 'ვინმესათვის თავის მობეზრება'; donner [filer] de l'eczéma à qn (სასაუბ.) 'ზიზღის გამოწვევა'; donner la colique à qn 'შიშის გამოწვევა, თავზარის დაცემა ვინმესათვის'; avoir les foies chauds pour qn (სასაუბ.) 'ძლიერად შეყვარება ვინმესი'; prendre en affection 'ვინმეს შეყვარება'; donner le tournis à qn (სასაუბ.) 'ვინმესთვის თავბრუს დახვევა, გაბრუება'; aimer jusqu'à la fièvre cérébrale 'გაგიჟებით შეყვარება'; avoir un faible pour 'მოწყალე თვალით ყურება, უპირატესობის მინიჭება'; être la coqueluche de qn (სასაუბ.) 'გამორჩეულად ყოფნა'; avoir une toquade pour qn (სასაუბ.) 'სისუსტე ვინმეს მიმართ, შეყვარება'.

## დასკვნა

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კონცეპტუალური სტრუქტურების კორელაციები, რომლებიც წარმოადგენენ „სიყვარულისა" და „სიძულვილის" კონცეპტებს, მჟღავნდებიან შემდეგი პარამეტრებით: კონცეპტუალურ ნიშანთა იგივეობით, სტრუქტურულ-სემანტიკური და მეტაფორული მოდელების ერთიანობით, რაც მოწმობს მათი ველების გადაკვეთას; ეს კონცეპტები („სიყვარული" და „სიძულვილი") ამბივალენტურნი არიან, აქვთ მსგავსი ენობრივი რეალიზაციები და ამჟღავნებენ თავიანთ ფუნქციონალურ სფეროთა ურთიერთკვეთას, ასევე ერთი სემანტიკური ბლოკისადმი კუთვნილებას, რომელსაც ეწოდება «გრძნობები».

## ლიტერატურა


1. Cherbonneau J. A. (2005): Éléments de la phraséologie française. Paris

2. Le Petit Robert (2009): Dictionnaire alphabétique et analogique de la langue française. Paris

3. Rey Isabel Gonzalez (2002): La phraséologie du français. Paris.

# The Correlation of the Conceptual Structures of French Phraseological Units

*Tsiuri Akhvlediani*
*Tbilisi State University*
*Humanitarian science faculty*
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*
*Tel.:599 508 607*
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*Kétévan Gabunia*
*Tbilisi State University*
*Humanitarian science faculty*
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*
*Tel.: 599 201 099*
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

**Abstract**

Structuring the conceptual information by the help of the concepts of the same culture is the most efficient means for the manifestation of significant cultural information, which is connected to the consciousness of the native speakers by this or that concept. In order to illustrate this theoretical tenet we discuss the concepts "Love" and "Hatred", which are binary oppositions, significant for the representatives of different linguistic cultures. The correlations of the conceptual structures of phraseological units, representing the concepts of "Love" and "Hatred", are manifested by the following parameters: the sameness of conceptual signs and the unity of structural-semantic and metaphoric models, serving as a proof of the intersection of their fields.

**Keywords:**

phraseological unit, phraseo-semantic field, concept, structuring the information.

# Корреляция концептуальных структур французских фразеологизмов

*Ахвледиани Циури Александровна*
*Тбилисский государственный университет*
*Факультет гуманитарных наук*
*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 599 508 607*
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*Габуния Кетеван Учаевна*
*Тбилисский Государственный Университет*
*Факулътет гуманитарных наук*
*Пр.Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*
*Tel.: 599 201 099*
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

**Резюме**

Структурирование концептуальной информации путем сопоставления концептов той же культуры представляет собой наиболее эффективный способ выявления культурно-значимой информации, сопряженной с тем или иным концептом в сознании носителей языка. Для иллюстрации этого теоретического положения рассмотрим концепты «Любовь» и «Ненависть», представляющие собой бинарную оппозицию и являющиеся культурно-значимыми для представителей различных лингвокультур. Корреляции концептуальных структур фразеологических единиц, репрезентирующих концепты «Любовь» и «Ненависть» выявляются по следующим параметрам: тождественность концептуальных признаков, общность структурно-семантических и метафорических моделей, что свидетельствует о пересечении данных полей.

**Ключевые слова:**

фразеологическая единица, фразеосемантическое поле, концепт, структурирование информации.

# გასტრონომიული კომპონენტების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლინგვისტური ანალიზი (ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების მასალაზე)

*ციური ახვლედიანი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი, საქართველო*
*ტელ. 599 508 607*
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*ლოლიტა თაბუაშვილი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი, საქართველო*
*ტელ: 599 468 184*
E-mail: ltabiashvili@yahoo.com

**რეზიუმე**

«გასტრონომიული კომპონენტის» შემცველ ფრაზეოლოგიზმებში, ყველაზე მეტად აქტიურია კვების იმ პროდუქტთა და კერძთა სახელწოდებები, რომლებიც მუდამ წარმოადგენდნენ და ამჟამადაც წარმოადგენენ მოცემული ნაციის კვების საფუძველს. ანალიზმა გვიჩვენა, რომ დასავლეთრომანული სამი ენის (ფრანგული, ესპანური, იტალიური) ჩვენ მიერ შესწავლილ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, ასეთ პროდუქტებს წარმოადგენენ **პური, ყველი** და **ღვინო.**

**საკვანძო სიტყვები:**

ფრაზეოლოგიური ერთეული, გასტრონომიული კომპონენტი, მეტაფორული მოდელები, ენობრივი სურათის ხედვა-აღქმა.

**შესავალი**

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა და მათ ცალკეულ კომპონენტთა მნიშვნელობების შეპირისპირების საფუძველზე მჟღავნდება ფრაზეოლოგიური ხატოვანების ფორმირების ძირითადი მეტაფორული მოდელები, რაც მიანიშნებს სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მსგავს და განსხვავებულ ხედვას გარე სამყაროს რეალობის მიმართ. ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ერის ცხოვრების ყაიდა აისახება მის სამზარეულოზეც; თითოეული ნაციის ცხოვრების ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური პირობები ასევე მოქმედებს იმაზე, თუ რით იკვებებიან ადამიანები.

ფრაზეოლოგიურ ველში «საკვები» გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

1. ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შემადგენლობაში შედის კვების რაიმე პროდუქტის სახელწოდება და აღნიშნავს საკვების რაღაც თვისებრიობას;
2. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ასევე შეიცავენ რაიმე საკვები პროდუქტის სახელწოდებას, მაგრამ არ გამოხატავენ გასტრონომიასთან და კვებასთან დაკავშირებულ არავითარ ცნებას; ამგვარი ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა ეყრდნობა იმ ცნებებს, რომლებიც ასახავენ პროდუქტის ამა თუ იმ თვისებას და გამოიყენებიან მეტაფორულად, ხშირად აღნიშნავენ რა ისეთ რამეს, რაც დაკავშირებულია ადამიანთან. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები იქმნებიან მეტაფორიზაციის შედეგად, ანუ ერთი საგნის ან მოვლენის დასახელების გადატანით სხვაზე, მათი მსგავსების საფუძველზე.

**ძირითადი ნაწილი**

ნაციონალური სამზარეულო და გასტრონომია გამუდმებით განიცდის ევოლუციას

სოფლის მეურნეობისა და ბაზრის განვითარების შესაბამისად, რაც თავის ასახვას ჰპოვებს ენის ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში, თავის მხრივ, ასახავს ნაციონალური მენტალიტეტის თავისებურებებს და მათში მომხდარ ცვლილებებს. კოლექტიური მეხსიერება და ნაციონალური ფრაზეოლოგია ითვისებს და ინარჩუნებს სოციოკულტურულ ცნებებსა და ასოციაციებს, დაკავშირებულს ნაციონალური სამზარეულოს იმ კერძებისა და პროდუქტების სახელწოდებებთან, რომლებიც ფორმირებულია საუკუნეების მანძილზე.

«გასტრონომიული კომპონენტის» შემცველ ფრაზეოლოგიზმებში ყველაზე მეტად აქტიურია ჩვენ მიერ შესწავლილი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა შემადგენლობაში შედიან **პური, ყველი** და **ღვინო**.

ესპანურ ენაში უხვადაა ანდაზები და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც ერთდროულად გვხვდება **პური, ღვინო** და **ყველი,** რაც აშკარად ადასტურებს, რომ მართლაც ეს სამი პროდუქტი წარმოადგენს ამ კულტურის მატარებელი ერისათვის დამახასიათებელი კვების ძირითად, ბაზისურ პროდუქტებს: El **pan** con ojos, el **queso** sin ojos, y el **vino** que salte a los ojos (სიტყვასიტყვით: «პური თვალებით, ყველი უთვალებოდ, ღვინო კი, რომელიც ურტყამს თვალებში»); Con **queso, pan** y **vino**, se anda mejor el camino (სიტყვასიტყვით: «ყველით, პურით და ღვინოთი უკეთ განვლი გზას»).

ჩვენ მიერ შესწავლილი 324 ფრაზეოლოგიური ერთეულიდან, კომპონენტის **«პური»** შემცველებია: ესპანურში – 90 ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრანგულში – 86 ერთეული და იტალიურში – 148 ერთეული.

კომპონენტის «პური» შემცველი ყველაზე მეტი ფრაზეოლოგიზმი იტალიურ ენაშია, რაც მიუთითებს, რომ იტალიაში პური უფრო მეტად უყვართ, ვიდრე დანარჩენ ორ ქვეყანაში (საფრანგეთსა და ესპანეთში): Amare piú del **pane** (სიტყვასიტყვით: «გიყვარდეს პურზე მეტად») – 'ქვეყნად ყველაზე მეტად გიყვარდეს'; Essere meglio che il (ან del) **pane** (სიტყვასიტყვით: «იყო პურზე უკეთესი») – 'იყო უკეთილესი სულის ადამიანი'; La buona compagnia è mezzo **pane** (სიტყვასიტყვით: «კარგი კამპანია თითქმის პურია») – 'კარგ კამპანიაში პურიც კი აღარ გინდა'; იტალ. Buono come il **pane –** ფრანგ. Bon comme le (bon) **pain** (სიტყვასიტყვით: «გემრიელი/კარგი როგორც პური») – 'უკეთილესი ადამიანი'. ცხადია, რომ ამ ფრაზეოლოგიზმთა კომპონენტები (amare, bueno და სხვ.) «პურის» როგორც **სიკეთის სიმბოლოს** აქტუალიზებას ახდენენ.

ესპანური ფრაზეოლოგიზმი Tan buen **pan** hacen aquí como en Francia (სიტყვასიტყვით: «აქ აცხობენ ისეთივე გემრიელ პურს როგორც საფრანგეთში») – 'ჩვენ სხვებზე ნაკლები არა ვართ', 'ჩვენც ცოტა რამ გაგვეგება', 'სხვას არ ჩამოუვარდებით'; ეს ფრაზეოლოგიზმი შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ესპანეთში ცნობილია საფრანგეთში რა გემრიელ პურს აცხობენ, იმდენად გემრიელს, რომ ესპანელები ცდილობენ შეედარონ მათ; ანუ ეს ფრაზეოლოგიური ერთეული ასახავს რეალობის აღქმას ესპანურ ენობრივ სამყაროში.

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში კომპონენტით «პური» აქტუალიზდება სხვადასხვა სემები: ფრანგ. mettre qn au **pain** et à l'**eau** (სიტყვასიტყვით: «ვინმეს დასმა პურსა და წყალზე») – 'აშიმშილო ვინმე' (აქ «პური» და «წყალი» სიღარიბის, კვების სიმწირის სიმბოლოა); ესპანურში იგივე მნიშვნელობის ფრაზეოლოგიური ერთეული კვების სხვა პროდუქტის სახელწოდებას შეიცავს: a **pan** y **cebolla** (სიტყვასიტყვით: «პურსა და ხახვზე») – 'სიღარიბეში ყოფნა'.

ეს ფრაზეოლოგიური ერთეულები იმ პერიოდს ასახავენ, როდესაც "პური" ("წყა-

ლი" ან "ხახვი") გამოიყენება დასასჯელად, ან გამოიყენება რელიგიური ტრადიციების თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ადამიანმა მოაკლოს საკუთარ თავს სიამოვნებანი სულის განსაწმენდად.

კომპონენტი «პური» აქტუალიზირდება სხვა მნიშვნელობებითაც: ესპ. vender una cosa como **pan**_caliente (სიტყვასიტყვით: «გაყიდო რაიმე როგორც ცხელი პური») – 'სწრაფად, ჯაფის გარეშე გაასაღო (საქონელი), ორმაგად გასაღება'; ამ ფრაზეოლოგიზმის საფუძველია «ცხელი პური», რომელიც პრაქტიკულად ყველას მოწონს სურნელისა და გემოს გამო და ლოგიკურია, რომ ასეთი პური შეიძლება სწრაფად გაიყიდოს, რადგან იგი **გემრიელია.** ესპ. Coger **pan** grande (სიტყვასიტყვით: «დიდი პურის აღება») – 'მსუყე ლუკმის წაგლეჯა'; აქ "პური" **მოპოვების** მაჩვენებელია. ესპ. comer el negro **pan** de la emigración (სიტყვასიტყვით: «შავი პურის ჭამა ემიგრაციაში») – 'უცხო მხარეში (უცხო ქვეყანაში) ცხოვრება'; ეს ფრაზეოლოგიზმი, ცხადია, გაჩნდა ქვეყნის პოლიტიკურ ან ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით; აქ **pan** (პური) სიღარიბის სიმბოლოა, რომელიც ძლიერდება ეპითეტით **negro** (შავი). ესპ. ფრაზეოლოგიზმი A **pan** y cuchillo; a **pan** y manteles (სიტყვასიტყვით: "პურსა და დანაზე; პურსა და სუფრაზე") – 'კმაყოფაზე ყოფნა', ასევე ფრანგული Avoir le **pain** et le couteau (სიტყვასიტყვით: «პურისა და დანის ქონა») – 'ყოველივე აუცილებლის ფლობა', გვიჩვენებს, რომ "პური" **მოპოვების** სიმბოლოცაა.

ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული კომპონენტით **"პური", რელიგიური** ასოციაციებით, სრულიად ემთხვევა ჩვენს საკვლევ მასალას სამივე ენაში და ასევე ქრისტიან ხალხთა სხვა ენებშიც: ფრანგ. le **pain** quotidien, ესპ. el **pan** de cada día, იტალ. **pane** quotidiano, ქართ. **პური** არსობისა; ფრანგ. gagner son **pain,** ესპ. Ganarse el **pan,** იტალ. Guadagnarsi il **pane,** ქართ. საარსებო **პურის** მოპოვება.

ჩვენ მიერ შესწავლილი 129 ფრაზეოლოგიური ერთეულიდან, კომპონენტით **«ღვინო»,** ფრანგულში გვხვდება 39 ფრაზეოლოგიზმი, ესპანურში – 23 ფრაზეოლოგიზმი და იტალიურში – 67 ფრაზეოლოგიზმი.

როგორც **პურის** შემთხვევაში აღინიშნა, ასევე **ღვინის** შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ყველაზე მეტი რაოდენობა იტალიურ ენაში გვხვდება. **ღვინო** (ფრანგ. **vin,** ესპ. **vino,** იტალ. **vino**) – ფრანგული, ესპანური და იტალიური კულინარიული რეცეპტების აუცილებელი ელემენტია. **ღვინის** გამოყენების ტრადიცია დაედო საფუძვლად მრავალ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რომლებშიც კომპონენტი **ღვინო** სხვადასხვაგვარად აქტუალიზირდება. ზოგიერთი მათგანი ეხება **ღვინის სიყვარულს:** ფრანგ. Etre sur le **vin** («ღვინოზე დამოკიდებულება, ყოფნა»), ესპ. Darse al **vino** («ღვინის ძლიერ შეყვარება, სმის სიყვარული»), იტალ. Essere molle di **vino** («სისუსტე ღვინის სმის მიმართ») – 'შექეიფიანება, ზარხოშად ყოფნა'.

ღვინოზე წყლის დამატებით ღვინის ხარისხის გაფუჭებას ეხება ფრაზეოლოგიური ერთეულები: ფრანგ. Mettre de l'eau dans son **vin** ("ღვინოში წყლის ჩამატება"), ესპ. aguar uno el **vino** («წყლით ღვინის გაზავება»), ესპ. Pregonar **vino** y vender vinagre ("აქო ღვინო და გაყიდო ძმარი") – 'ტკბილი სიტყვით მოტყუება'; ესპ. Bautizar el **vino** ("ღვინის მონათვლა"), იტალ. Allungare (ან battezzare) il **vino** («ღვინის გაზავება (მონათვლა)»). ბოლო ორი ფრაზეოლოგიზმი უკავშირდება რელიგიურ ტრადიციას – წყლით გაზავებული ღვინის გამოყენებას მონათვლისას.

იტალ. Mettere dell'acqua nel proprio (ან nel suo) **vino** («წყლის ჩამატება ღვინოში») – 'ზომიერი გახადო საკუთარი მოთხოვნები'; ესპ. Echar uno agua en el **vino** («წყლის ჩამატება

ღვინოში») – 'ქცევის შერბილება,ზომიერება'.

როგორც ანალიზმა აჩვენა, კონცეპტი **ღვინო** სამივე ენის ფრაზეოლოგიზმებში აისახება სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც (როცა საქმე ეხება ღვინის მოხმარების შედეგებს) და მეტაფორულადაც.

როგორც პური, ასევე **ყველიც** კვების ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტია ჩვენ მიერ მოტანილი ენების ქვეყნებში. ცნობილია, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტი სახეობის ყველი იწარმოება საფრანგეთსა და იტალიაში, დაახლოებით 400-მდე სახეობა თითოეულ ქვეყანაში. ფრანგული ანდაზა autant de **fromages** que de jours de l'année («ყველის იმდენი სახეობაა, რამდენი დღეცაა წელიწადში») ამის დასტურია. ბუნებრივია, რომ ამ პროდუქტის სახელწოდებით მრავალი ფრაზეოლოგიური ერთეულია შექმნილი.

ჩვენ მიერ შესწავლილი კონცეპტის **ყველი** შემცველი 55 ფრაზეოლოგიზმიდან ყველაზე დიდი რაოდენობა ესპანურ ენაში აღმოჩნდა: ფრანგულში – 6, ესპანურში – 26 და იტალიურში – 23.

ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული შეუღლებულად წარმოგვიდგენს **პურსა** და **ყველს**. მაგ. იტალ. Essere (come) pane e **cacio** con qd ("იყო ვინმესთან როგორც პური და ყველი") – 'შეხმატკბილებულად ცხოვრება ვინმესთან ერთად'. **ყველი,** როგორც ინგრედიენტი, განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება იტალიურ სამზარეულოში. იგი ერთ-ერთი ძირითადი ინგრედიენტია პიცის, ლაზანიასი და ხშირად ახლავს მაკარონის კერძებს ან საკაზმის სახით, ან სოუსების ინგრედიენტის სახით. ამ კერძებთან **ყველის** კარგად **შეხამება** ასახულია ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: იტალ. Come il **formaggio** sui maccheroni (ან sulla minestra) ("როგორც ყველი მაკარონში (ან წვნიანში)») – 'ისე კარგად, მეტი რომ აღარ შეიძლება'; Altro **cacio** bisogna a tal lasagna («ასეთ ლაზანიას სხვა ყველი სჭირდება») – 'უდროო დროს მოსული ადამიანი'.

კომპონენტის **ყველი** შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა ასახავს ამ გასტრონომიული კომპონენტის სხვადასხვა თვისებას: **ა). ყველის სურნელს:** ესპ. Oler uno el **queso** («ყველის დაყნოსვა») – 'სატყუარას დაყნოსვა (ალღოს ართმევა)'; შესამჩნევია, რომ ეს ფრაზეოლოგიური ერთეული ნეგატიური კონოტაციითაა, რაც ლოგიკურია, რადგან ყველის სუნი შეიძლება არასასიამოვნოც იყოს. **ბ). ყველის გემოს:** ესპ. <u>Uvas</u> con **queso** saben a beso ("ყურძენს, ყველთან ერთად, კოცნის გემო აქვს"), აქ საუბარია კერძზე **uvas con queso** (ყურძენი ყველით), რომელიც ძალიან მოსწონთ ადამიანებს; საფუძველია - **ყველის სასიამოვნო გემო.** ფრანგულ ენაშიც არსებობს ფრაზეოლოგიური ერთეული, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს **ყველის გემო,** მაგრამ უარყოფითი კონოტაციით: Manger du **fromage ("**ყველის ჭამა") – 'უკმაყოფილოდ ყოფნა'. ასევე იტალიურშიც არის ფრაზეოლოგიური ერთეული Mangiare **cacio ("**ყველის ჭამა") – 'მოტყუება'.

**ყველი** (queso, fromage, cacio/formaggio) მნიშვნელოვანი და ძვირფასი პროდუქტია, რადგან მოსახერხებელია მისი გადატანაც და ხანგრძლივად შენახვაც, ასევე სასარგებლოცაა – იგი შეიცავს ცხიმებს, ცილებს, კალციუმსა და ფოსფორს.

ფრანგ. Faire de qch un **fromage** («რაიმესაგან ყველის გაკეთება») – 'დიდი მნიშვნელობის მინიჭება'.

საყოველთაოდ ცნობილი ინფორმაცია, რომ ყველი მოსწონთ თაგვებს და იგი მათთვის სატყუარაა, ასევე პოულობს ასახვას ჩვენი შესასწავლი ენების ფრაზეოლოგიურ ფონდში: ფრანგ. Mettre du **fromage** dans la piège ("ხაფანგში ყველის მოთავსება") – 'ხაფანგის დაგება, სატყუარათი

დაჭერა', ესპ. Gustar como el **queso** a los ratones ("ისე მოსწონს, როგორც თაგვებს ყველი") – "ძალიან მოწონება, სიამტკბილობა', იტალ. Stare (ან vivere) come un topo in una forma di **cacio** (ან **formaggio**) ("ყოფნა როგორც თაგვი ყველის ფორმაში") – ''თავი იგრძნო როგორც თევზმა წყალში, ისრიალო როგორც ყველმა კარაქში'.

არსებობს ფრაზეოლოგიური ეთეულები, მნიშვნელობით "მოტყუება". წარსულში გამოიყენებოდა ესპანური ფრაზეოლოგიზმი Armarla con **queso (**"ყველით მომარაგება") – 'ვინმეს მოტყუება, გაბრიყვება, გაპაპამპულავება'. ამ ფრაზეოლოგიზმის გვიანი ვარიანტია Dársela con **queso** ("ვინმესთვის რაიმეს მიცემა ყველთან ერთად") – 'ვინმეს მოტყუება საკუთარი მიზნების მისაღწევად'. ამ ფრაზეოლოგიზმის ახსნის მეორე ვერსიით, ღვინის გამყიდველები ღვინის ინსპექტორებს, მუდმივ კლიენტებსა და სხვა რეგიონებიდან მოსულ მყიდველებს უმასპინძლდებოდნენ ძალიან ცხარე ყველით, რომელსაც ინახავდნენ ზეითუნის ზეთში. ყველის მძიმე არომატი არ აძლევდა საშუალებას ადამიანებს, რომ შეეფასებინათ მეპატრონის მიერ შეთავაზებული ღვინო, ამიტომაც ვერ ხვდებოდნენ ღვინის ავკარგიანობას და ამგვარად რჩებოდნენ მოტყუებულნი. ასე წარმოიშვა იტალიური ფრაზეოლოგიზმი Mangiare **cacio** ("ყველის ჭამა") – 'მოტყუება'.

კომპონენტის **ყველი** შემცველ ფრაზეოლოგიზმთა საფუძვლად აქტუალიზდება **ყველის გარეგანი სახე:** ესპ. **queso**_helado – 'ნაყინის ბრიკეტი'. ამ ტკბილეულში ყველი არ არის, მის შემადგენლობაშია რძე, შაქარი და ვანილი, მას მხოლოდ ფორმა აქვს ყველისა, რაც დაედო საფუძვლად ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობას. ესპ. Como un **queso** de bola ("როგორც ჰოლანდიური ყველი") – 'მოტიტვლებული როგორც მუხლი', რადგან ჰოლანდიური ყველი გლუვი და მრგვალია. ფრანგ. Faire des **fromages** ("ყველის გაკეთება") – ""ზარების" კეთება' (ქვედატანით – ბრუნვისას და ბუქნისას) – ყველის ფორმის მსგავსად.

შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულების საფუძველია ყველის არა სიგლუვე ან სიმრგვალე, არამედ სიმაღლე, ანუ ის, რომ **ყველი არ არის მაღალი:** ფრანგ. Haut comme deux sous de **fromage** mou (ასევე Haut comme trois **pommes**) («მაღალი როგორც რბილი ყველის 2 სუ»), იტალ. Alto quanto (ან come) un soldo di **cacao** ("მაღალი როგორც ყველის სოლდო (წვრილი ფული)") – 'ერთი გოჯა, ძალიან დაბალი'.

## დასკვნა

ამგვარად, გასტრონომიული კომპონენტების – უნივერსალური პროდუქტების («პური», «ღვინო», «ყველი») შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლამ, სისტემატიზაციამ და შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა სამივე ენის (ფრანგული, ესპანური, იტალიური) მსგავსება მსოფლიოს ენობრივი სურათის ხედვა-აღქმაში, რაც გამოიხატება სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტური შემადგენლობის მსგავსებითაც და, ხშირ შემთხვევაში, მათი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობების დამთხვევითაც.

## ლიტერატურა


1. Ballesio G. B. (2012): Fraseologia Italiana. Roma

2. Pellen René (2001): Phraséologie et phraséographie en espagnol. Paris

3. Rey Isabel Gonzalez (2002): La phraséologie du français. Paris

# The Linguistic Analysis of the Phraseological Units Containing Gastronomical Components (on the material of French, Spanish and Italian Languages)

*Tsiuri Akhvlediani*
*Tbilisi State University*
*Humanitarian science faculty*
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*
*Tel.:599 508 607*
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*Lolita Tabuashvili*
*Tbilisi State University*
*Humanitarian science faculty*
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*
*Tel.: 599 468 184*
E-mail: ltabiashvili@yahoo.com

**Abstract**

The names of the products and dishes representing the nutrition basis of a certain nation are most active in the phraseological units containing gastronomical components. The analysis showed that in the phraseological units of three West-Romanic languages (French, Spanish, Italian), such products are bread, cheese and wine.

The study, systematization and comparative analysis of the phraseological units containing gastronomical components - universal products (bread, wine, cheese) showed the similarity of three languages (French, Spanish, Italian) in the perception of the world language picture, which is also expressed by the similarity of the composition of phraseological units of different languages and frequently by the coincidence of their phraseological meanings.

**Keywords:**

phraseological unit, gastronomical component, metaphoric models, perception of the language picture.

# Лингвистический анализ фразеологических единиц с гастрономическими компонентами (французский, испанский, итальянский языки)

*Ахвледиани Циури Александровна*
*Тбилисский государственный университет*
*Факультет гуманитарных наук*
*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 599 508 607*
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*Табуашвили Лолита*
*Тбилисский государственный университет*
*Факультет гуманитарных наук*
*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 599 468 184*
E-mail: ltabiashvili@yahoo.com

**Резюме**

В фразеологических единицах с «гастрономическим компонентом» более активными являются названия тех продуктов питания и блюд, которые были и остаются основой питания для данной нации. Анализ показал, что такими продуктами в изученных нами фразеологических единиц в трех западно-романских языков (французский, испанский, итальянский) являются хлеб, сыр и вино.

Изучение, систематизация и сравнительный анализ фразеологических единиц с гастрономическими компонентами хлеб, вино, сыр, которые являются универсальными продуктами и во многом показывают сходства в языковой картине мира во всех трех языках.

**Ключевые слова:**

фразеологическая единица, гастрономический компонент, метафорические моделы, языковая картина мира.

# ევფემიზმების როლი პრესის დისკურსში და მათი კლასიფიკაცია

*მაკა ბალაძე*
*ბათუმის შოთა რუსთაველის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ევროპეისტიკის დეპარტამენტი*
*ნინოშვილის გამ. №35, 6010, ბათუმი,*
*საქართველო*
*ტელ: 571 128 383*
E-mail: m.baladze87@gmail.com

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ევფემიზმები საგაზეთო ტექსტში. სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ევფემიზმები შეიძლება დაიყოს რამდენიმე კატეგორიად. ამ დაყოფაში ჩვენ შევადარეთ ინგლისური და ქართული ევფემიზმები და ვნახეთ, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს ზუსტი ეკვივალენტი ორივე ენაში. სტატიის მიზანია ვაჩვენოთ ინგლისური და ქართული ევფემიზმების თავისებურებები, ისინი გაანალიზებულია ლინგვო-კულტუროლოგიური მიდგომის მიხედვით და, შესაბამისად, კლასიფიცირდება მათი სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებების მიხედვით. ამ სტილისტური ხერხის გამოყენება დისკურსში ნაკარნახევია სოციალური კონვენციით, რომ მოიძებნოს დახვეწილობა მიუღებელ ფორმებში, რათა დავიცვათ საზოგადოებაში მიღებული მორალური და ეთიკური სტანდარტის ნორმები, იმ მიზნით, რომ თავიდან ავიცილოთ „კომუნიკაციური კონფლიქტი“, და დავფაროთ რეალობის სოციალურად მიუღებელი ფენომენი.

**საკვანძო სიტყვები:**

ევფემიზმები, სემანტიკური მახასიათებლები, პრესის დისკურსი.

**შესავალი**

თანამედროვე მზარდი კომუნიკაციური კავშირის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრესის დისკურსს და მის მრავალმხრივ ანალიზს კომუნიკაციის წარმატებულად განხორციელების მიზნით, რადგან სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ხდება ქვეყანაში განვითარებული მოვლენების აღქმა და შემეცნება. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ხერხს მიმართავს ავტორი მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა ევფემიზმების გამოყენება პრესის დისკურსში, რომელიც დადებით ასოციაციებს იწვევს მკითხველში.

საგაზეთო დისკურსის შესახებ მსჯელობა თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. მხატვრულ ლიტერატურაზე მეტად ადამიანები ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ. სწორედ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მედიის ესოდენ მნიშვნელოვანი როლის გამო, ის მუდმივი მსჯელობისა და განხილვის საგანია როგორც მეცნიერების, ასევე ექსპერტებისა და თავად ჟურნალისტების მხრიდან.

**ძირითადი ნაწილი**

ესა თუ ის სიტყვა შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. სიტყვას აქვს უდიდესი ძალა, რომელიც იწვევს სხვადასხვა რეაქციებს. ამიტომ მოსაუბრე ცდილობს თავი აარიდოს ისეთი სიტყვების გამოყენებას, რომლებიც უხეში, არასასიამოვნო, უხერხული და ძალიან პირდაპირია. ევფემიზმი ეს არის რეციპიენტისთვის არასასიამოვნო და საზიანო სიტყვის ჩანაცვლება ნაკლებად შეურაცხმყოფელი ან გამაღიზიანებელი გამონათქვამით. მაგალითები ქართული პრესიდან:

„ახალი ცხოვრება მისთვის მძიმე განსაცდელით დაიწყო: **ხელმოკლეობის** გამო დღეში ერთხელ იკვებებოდა ხახვიანი ბუტერბროდით, რის გამოც შემდეგ მთელი ცხოვრება ხახვი სძულდა“. (კვირის პალიტრა 2014, №10(1022):27)

„პალმის ზეთს, რომელიც ინდოეთიდან ჩამოაქვთ, სწრაფი კვების ობიექტებში მრავალჯერადად იყენებენ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ასეთი საკვების მიღებამ შესაძლოა **სიმსივნეც** გამოიწვიოს“. (კვირის პალიტრა 2014, №4(1018): 17)

ევფემიზმები ასახავს სოციალური ფსიქოლოგიის სხვადასხვა მდგომარეობას. სოციალური ფსიქოლოგიის ბევრი ფაქტორი არის ევფემიზაციის საფუძველი, მაგრამ ტაბუ სიტყვების თავიდან აცილება, თავაზიანობა და შენიღბვა არის ყველაზე ძირითადი და ტიპური. მათი თავიდან აცილება არის ძირითადი ფსიქოლოგიური საფუძველი ევფემიზმების შექმნისა. ბევრ კულტურაში ღმერთების და ეშმაკების სახელები ტაბუირებულია, ამიტომ ხალხი ცდილობს თავი აარიდოს მათ პირდაპირ ხსენებას. ინგლისელი ხალხი „სატანას“ ისეთი ევფემისტური სახელებით იხსენებს როგორიცაა: „god of this world”, “ his sable majesty”, “old gentleman in black” ან “old Harry”. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ტაბუ სიტყვები და ტაბუირებული იდეები არის ევფემიზმების შექმნის საფუძველი. (www.cscanada.org). აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ევფემიზმები შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა გზით, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ისინი ასევე შეიძლება ჩამოყალიბდეს პერიფრაზის ან სიტყვათა სიმრავლის მეშვეობით, ეს უკანასკნელი ყველაზე გავრცელებულია.

ფრომკინი და როდმენი ევფემიზმებს განსაზღვრავენ როგორც „სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ცვლის ტაბუირებულ სიტყვას ან ემსახურება იმას, რომ თავიდან ავიცილოთ საშიში და არასასიამოვნო თემები“. (Fromkin V., Rodam R.1993: 304).

საგაზეთო ტექსტში ზოგიერთი ლექსიკური ერთეული როგორც ევფემისტური ჩანაცვლება შეიძლება დაჯგუფდეს მათი საერთო სემანტიკური, ემოციური და შემფასებლური თვისებების მიხედვით. ევფემისტური რენომინაცია მნიშვნელოვანია, რათა შევძლოთ ზოგიერთი სიტყვის დეკოდირება დადებითი კონოტაციით და შევარბილოთ ყველაზე არასასიამოვნო ასოციაციები. ტიპიურ საგაზეთო ტექსტში ევფემიზმები ისეთი ფრაზებია, რომლებიც ავლენენ განსაკუთრებულ ხასიათს.

ინგლისურ ენაში ევფემიზმები ხშირად გამოიყენება სოციალური „სტატუსის“ ასამაღლებლად, მაგალითად «*sanitary engineer*» გამოიყენება შემდეგი სიტყვების ნაცვლად “*garbage man», ” dustman”; «Senior citizen*», არის შემდეგი სიტყვების ევფემიზმი «*retire*» და „*old person*“.

ზოგიერთი ევფემიზმი გამოიყენება იმისათვის, რომ რთული და ემოციური სიტუაცია გავხადოთ უფრო მისაღები. ქვემოთ მოცემულია მაგალითები ქართული პრესიდან:

“ოთხი წელი **საწოლს** ვარ **მიჯაჭვული,** თუმცა ვნატრობ, თუ ვერ გავივლი, სუნთქვა მაინც შევძლო აპარატის გარეშე“. (კვირის პალიტრა 2014, №4(1018): 15)

„დათა ახალაიამ მის თანმხლებ პირებთან ერთად მათი **უმოწყალოდ** ცემა დაიწყეს, მას შემდეგ რაც გული იჯერეს ვამეხ აბულაშვილის ცემით და დამცირებით, ახალაიამ საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა მის მფლობელობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღი, მიმართა დაჩოქილი აბულაშვილის და მისი მეგობრის დაბრუნდაშვილის მიმართულებით და დაემუქრა მათ **სიცოცხლის მოსპობით**“. (http://www.netgazeti.ge/GE/105/law/32320)

შემდეგი სიტყვათა ჯგუფები ხშირად გამოიყენება საგაზეთო სტატიებში, რომლებიც აჩვენებენ გარკვეული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს. ევფემიზმები შეიძლება გამოყენებული იქნას, რათა თავიდან ავიცილოთ აღშფოთება და არ შეურაცხვყოთ ვინმეს გრძნობები.

“The money will be used to provide social services for children under eight and students with **disabilities**.” (http://international.nytimes.com)

“Pensioners, who have the highest number of

spare rooms, are exempt, but critics say that a spare room is a necessity for many families, particularly those with ill or **disabled** members". (http://www.guardian.co.uk/)

„ფონდი ნატახტარის" აქცია – ქართველი მხატვრები **მზრუნველობამოკლებული** მოზარდების დასახმარებლად (კვირის პალიტრა 2014, №6(1018): 13).

ევფემიზმები არის სიტყვები, რომლებიც არბილებენ იმ რეალობას, რომელიც ჩვენს გარშემოა. თითქმის ყველა კულტურა იყენებს ევფემიზმებს უხეში სიტყვების ნაცვლად. ევფემიზმები ხშირად გვხდება სასაუბრო გამოთქმებში, რომლებიც ცნობილია მშობლიურ ენაზე მოსაუბრე კონკრეტული კულტურისთვის, მაგრამ არ არის ადვილად გასაგები სხვა კულტურის წარმომადგენლისათვის, მაშინაც კი, თუ იგი გაიგებს, რთული იქნება მისი თარგმნა შესაფერისი ეკვივალენტითი. აქედან გამომომდინარე, ევფემიზმები შეიძლება დავყოთ უნივერსალურ და ეროვნულ ევფემიზმებად. უნივერსალური ევფემიზმები დამახასიათებელია რამდენიმე კულტურისთვის, ხოლო ეროვნული ევფემიზმები ერთი კონკრეტული კულტურისთვის. ეროვნული ევფემიზმის მაგალითს წარმოადგენს ქართულში „ბატონები", რომელიც შემდეგ დაავადებათა ჩასანაცვლებლად გამოიყენება: წითელა, ჩუტყვავილა, ყივანახველა.

რაც შეეხება უნივერსალურ ევფემიზმებს, ისინი მრავლად მოგვეპოვება. ერთ–ერთი ასეთ მაგალითია:

**ორსული – ფეხმძიმე, მომლოდინე, pregnant – in a family way, she is expecting**

„**ფეხმძიმე** ქალის ცხედარი ბოსელში მეზობლებმა აღმოაჩინეს". (კვირის პალიტრა 2014, №38(998): 5)

ჩვენ ევფემიზმებს ვიყენებთ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თუმცა არ ვაკვირდებით, რომელს და რა დროს მოვიხმართ. მათი კლასიფიკაცია ადვილი არ არის, რადგან არ არსებობს ერთიანი სტანდარტი. არსებობს ევფემიზმების ტიპების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება, რომელიც გვიჩვენებს სხვადასხვა მკლევარის დამოკიდებულებას ამ ფენომენისადმი. ევფემიზმების კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ სხვადასხვა კრიტერიუმის, წესის და პრინციპის მიხედვით. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი შესაძლო კლასიფიკაცია. როუსონი ევფემიზმებს ყოფს ორ ზოგად კატეგორიად, სახელდობრ დადებითად და უარყოფითად, რომლებიც გამოირჩევიან შემფასებლური ელფერით (Samoskaite L., 2011: 11).

კარლო ჯორჯანელი გვაძლევს ევფემიზმების კლასიფიკაციას ენობრივი საშუალების და მათი წარმოქმნის მიზეზების/მოტივაციის მიხედვით.

ლაურა სამოსქაითი ევფემიზმებს ყოფს ექვს სემანტიკურ კატეგორიად, რომელიც შეიძლება მიესადაგოს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებს. ჩვენ გავამდიდრეთ ეს დაყოფა ქართული და ინგლისური მაგალითებით და დავამატეთ კიდევ ერთი კატეგორია.

1. პროფესიული ევფემიზმები. ინგლისურ ენაში გამოიყენება შემდეგი პროფესიული ევფემიზმები: cleaning operative გამოიყენება შემდეგი სიტყვების ნაცვლად road sweeper ან dustman; sanitation engineer – garbage man, meat technologist – butcher, და hairdresser გადაიქცა beautician და ა.შ. ქართულში გვაქვს შემდეგი ევფემიზმები: დამლაგებელი–დასუფთავების სამსახური; დალაქი–სტილისტი; ბიზნესმენი – ვაჭარი;

2. დაავადებების გამომხატველი ევფემიზმები. ინგლისურში, ისევე როგორც ქართულში, გამოიყენება შემდეგი ევფემიზმი სიტყვა „სიმსივნის" ჩასანაცვლებლად - Long illness; ქართლში -„ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობა" ან „უკურნებელი სენი". syphilis and AIDS ამ სიტყვების ნაცვლად გამოიყენება social disease; ტუბერკულოზის ნაცვლად კი იყენებენ lung trouble და ა.შ.

3. სიკვდილის გამომხატველი ევფემიზმები. ადამიანებს სიკვდილის ეშინიათ, ამიტომ ისინი ცდილობენ თავი აარიდონ მის პირდა-

პირ ხსენებას და მიმართავენ ევფემისტურ საშუალებებს. ასე რომ, სიტყვა „სიკვდილს“ აქვს ასობით რბილი და უკეთესად ჟღერადი სიტყვები. ინგლისურში არსებობს შემდეგი ევფემიზმები ამ სიტყვის ჩასანაცვლებლად: to breathe one's last, fall asleep, go west, join the majority, lay down one's life, pass away, pay the debt of nature, reach a better world, to be at peace, to return to the dust და ა.შ. ქართულ ენაში კი ამ სიტყვის ნაცვლად ვიყენებთ შემდეგ ევფემიზმებს: გარდაიცვალა, მიიცვალა, განისვენა, თვალები დახუჭა, სული განუტევა, სული დალია, სული ღმერთს მიაბარა, მიწას ამოეფარა, სიცოცხლეს გამოესალმა, სიცოცხლეს გამოეთხოვა, დაასრულა ცხოვრება, წუთისოფელს მოსწყდა, არ არის ცოცხალთა შორის, სამუდამოდ მიიძინა, საიქიოს გაემგზავრა, წერილი წაიღო, მარილზე წავიდა, სამუდამოდ დადუმდა, სამუდამოდ დაგვტოვა. ზოგიერთი ამ ევფემიზმთაგანი ასახავს ქართველი ხალხის სოციალურ გამოცდილებას და კულტურას, მაგალითად „მარილზე წავიდა“. გადმოცემით, ეს ევფემიზმი ძველი ამბისგან მოდის, როცა მარილის სახლში მისატანად ადამიანს მდინარის გადალახვა უწევდა, რაც ძალიან სახიფათო იყო მათი სიცოცხლისთვის.

4. სქესთან დაკავშირებული ევფემიზმები: willing woman, gay boy etc. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი; არატრადიციული ორიენტაციის მქონე პიროვნება და ა.შ.

5. დანაშაულთან დაკავშირებული ევფემიზმები: five-fingers – pickpocket, gentleman of the road – robber , the candy man – drug pusher. ქართულში გვაქვს შემდეგი ევფემიზმები: ცხაურებს მიღმა–ციხეში; ნარკოტიკის მომხმარებელი – ნარკომანი. ინგლისურში ისევე როგორც ქართულში, ხშირია სიტყვა „კრიმინალურის“ ნაცვლად ევფემიზმის „არალეგალური“-ს გამოყენება.

“He has called on the Chief Prosecutor's Office to launch an investigation into the alleged involvement of former senior Interior Ministry officials in setting up **illegal** armed groups in 2012.” (“The New York Times”)

6. პოლიტიკური ევფემიზმები. ევფემიზმების ფუნქცია, შეამციროს ცნების ან ტერმინის არასასიამოვნოდ გადმოცემა, მისაღებია სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ამიტომ მთავრობა მათ ხშირად მიმართავს ფაქტების შერბილებულად წარმოსაჩენად. მაგალითად, „სტუდენტური არეულობა“ შეიძლება გამო–ყენებულ იქნას „სტუდენტთა გაფიცვის“ ჩასანაცვლებლად.

“The president's statement praises Thatcher as one the «great champions of freedom and liberty» and goes on to observe «she stands as an example to our daughters that there is no glass ceiling (=promotion limit for women) that can't be shattered.» (The Least Interesting Fact About Margaret Thatcher. http://news.yahoo.com )

7. გონებრივი და ფიზიკური უნარების გამომხატველი ევფემიზმები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არსებულ კლასიფიკაციას უნდა დაემატოს ევფემიზმები, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ უნარებს, რათა რთული და ემოციური სიტუაციები უფრო მისაღები გავხადოთ. ასეთი ევფემიზმები მრავლად მოგვეპოვება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში. ესენია:

| **ქართული** | **ინგლისური** |
| --- | --- |
| ყრუ – სმენა დაზიანებული/დაქვეითებული | Deaf - not able to hear, hearing impaired |
| ბრმა – მხედველობა დაქვეითებული | Blind - not able to see, visually impaired |
| ინვალიდი–შეზღუდული შესაძლებლობების მქონე | Invalid – people with limited ability; |
| სულელი – გონებრივად შეზღუდული | Idiot - mentally challenged, mental isability |

ფუნქციის მიხედვით ევფემიზმები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

1) განმარტება, რომელიც ხაზს უსვამს ფორმის სინაზეს, ანუ მისი მიზანია, რომ მოხდეს არასასიამოვნო სიტყვების პირდაპირი ჩანაცვლება ნაკლებად შეურაცხმყოფელი სიტყვებით, მაგალითად: მსუქანი – ჭარბწონიანი; Fat – overweight, stout, full-figured; მთვრალი – შეზარხოშებული, ნასვამი; Drunk - tired and over emotional.

2) განმარტება, რომელიც ხაზს უსვამს როგორც მორალურ და ეთიკურ განზომილებებს, ისე სოციალურ მდგომარეობას, მაგალითად, ქართულ ენაში სიტყვა „ტუალეტს" გააჩნია შემდეგი ევფემიზმები – საპირფარეშო, სადაც მეფენი თავისი ფეხით მიდიან. ინგლისურში – Bathroom – restroom, public conveniences. სოციალური მდგომარეობის გამომხატველი ევფემიზმია: Beggar – panhandler ან homeless person.

3) განმარტება, რომელიც მიუთითებს სიტყვების შენიღბვაზე, რათა სხვადასხვა მიზეზების გამო მოხდეს ამა თუ იმ ფენომენის ნაკლოვანი მხარეების შენიღბვა, ასეთ ევფემიზმებს წარმოადგენენ: მხედველობა დაქვეითებული – ბრმა; სმენა დაქვეითებული – ყრუ; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე – ინვალიდი; ხშირად ვხვდებით უცხოეთში სხვადასხვა დაწესებულებებში მსგავს განცხადებებს „Particularly assist people with **limited mobility**."

## დასკვნა

ევფემიზმებს სერიოზული მიზეზები გააჩნია არსებობისთვის. ერთ–ერთი ასეთი იმ მოვლენების დაფარვაა, რომლებისაც ხალხს ეშინიათ ან მათში გაურკვეველ გრძნობებს იწვევენ, მაგალითად სიკვდილი, მკვდარი, ქვეწარმავალი, ეშმაკი და ა. შ. ევფემიზმები გამოიყენება სექსთან, რეპროდუქციასთან (მათ შორის სხეულის ნაწილებთან) დაკავშირებული ცხოვრებისეული მოვლენების დასაფარავად. ასევე ხშირად გამოიყენება პრესაში პოლიტიკური რეალობის შესაფუთად ან ამა თუ იმ მოვლენის შესარბილებლად. ევფემიზმები საზოგადოების აზროვნების ნაწილს წარმოადგენენ, ისინი ჩვენი შინაგანი შიშის, კონფლიქტების, სირცხვილის გრძნობის ხილული ნიშნებია. ევფემიზმებზე დაკვირვებით შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რა ხდება საზოგადოებაში, ენასა და კულტურაში.

## ლიტერატურა


1. გაზ. „კვირის პალიტრა" 2014: №4(1018)
2. გაზ. „კვირის პალიტრა" 2014: №6(1018)
3. გაზ. „კვირის პალიტრა" 2014: №10(1022)
4. გაზ. „კვირის პალიტრა" 2014: №38(998)
5. Джорджанели К. (2005): Эвфемизмы и словесные табу. Тбилиси, „Кавказский дом"
6. Тер-Минасова С. Г.(2000): Язык и межкультурная коммуникация, "Слово", Москва
7. Akmajian A. (2001): Linguistics: An Introduction to language and communication. A. Akmajian, R. A. Dermers, A. K. Farmer, R. M. Harnish. Massachusetts Instituate of Technology
8. Alkire S. (2002): Introducing Euphemisms to Language Learners - California, USA
9. Fromkin V., Rodam R. (1993): An Introduction to Language. Harcourt Brace College Publishers.
10. http://www.netgazeti.ge/GE/105/law/32320
11. http://international.nytimes.com/
12. http://www.guardian.co.uk/
13. http://news.yahoo.com
14. Leech, G. (1974): Semantics. Penguin
15. Rawson, H.(1981): A Dictionary of Euphemism and Other Doubletalk. New York: Crown
16. Samoskaite, L. (2011): 21 st century political euphemisms in English newspapers: semantic and structural study – Vilnius
17. www.cscanada.net
18. www.cscanada.org
19. www.docstoc.com

# The Role of euphemisms in press discourse and their classification

*Maka Baladze*
*Batumi's Shota Rustaveli State University*
*Europian Department*
*35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia*
*Tel.: 571 128 383*
E-mail: m.baladze87@gmail.com

**Abstract**

Nowadays particular attention is paid to media discourse. In the article euphemisms are analyzed in the text of the newspaper. According to different criteria euphemisms can be divided into several categories. In this division we compare English and Georgian euphemisms and we had seen that some of them have exact equivalent in both languages. The aim of this article is to reveal peculiarities of the English and Georgian euphemisms, they are analyzed according to the lingua-cultural approach and consequently are classified according to their semantic and pragmatic features. The use of this stylistic device in the discourse is dictated by social conventions to seek refinement in the unacceptable form, to follow the rules of the moral and ethical standards accepted in the society, for the purpose of avoiding of "the communicative conflicts," and to veil some socially unacceptable phenomena of reality.

**Keywords**:
Euphemism, semantic features, media discourse.

# Роль эвфемизмов в дискурсе прессы и их классификация

*Баладзе Мака Нодаровна*
*Батумский Государственный Университет им. Шота Руставели*
*Департамент европеистики*
*ул. Иношвили 35, 6010, Батуми, Грузия*
*Тел.: 571 128 383*
E-mail: m.baladze87@gmail.com

**Резюме**

В данной статье рассмотрены эвфемизмы в газетном тексте. По разным критериям эвфемизмы делятся на несколько категории. Мы сравнили английские и грузинские эвфемизмы и установили, что для некоторых из них в обоих языках существует точный эквивалент. Цель статьи показать особенности грузинских и русских эвфемизмов, они проанализированы с лингво-культурной точки зрения и соответственно классифицируется по семантическим и прагматическим особенностям. Применение в дискурсе таких стилистических методов предсказано социальной конвенцией, для обрабатывания непринятых форм, чтобы защитить принятые для общества стандартные и этические нормы, с той целью, чтобы отстранить «коммуникативные конфликты» и перекрыть социально непринятый феномен реальности.

**Ключевые слова:**
эвфемизмы, семантические характеристики, дискурс прессы.

# ტერმინოლოგია და მისი კლასიფიკაციის მცდელობა

*თინათინ ბოჩხაძე*
*საქართველოს საპატრიარქოს*
*წმინდა ანდრია პირველწოდებულის*
*სახელობის საქართველოს უნივერსიტეტი*
*ჭავჭავაძის გამზ. 53 ა, თბილისი,*
*საქართველო*
*ტელ.: 599 107 244*
*E-mail:* bochkhadze@yahoo.com

**რეზიუმე**

სტატია ეძღვნება ტერმინოლოგიის დეფინირების, დარგობრივი ლექსიკისა და მისი კლასიფიკაციის პრობლემის მიმოხილვას, რაც მიუხედავად ამ საკითხებისადმი მეცნიერთა დიდი ინტერესისა, მაინც ღიაა და დაზუსტებას მოითხოვს. ნაშრომში განხილულია დარგობრივი ენის ფარგლებში ტერმინების ფუნქცია/კავშირები და მიმართებები ზოგად ენასთან. ტერმინოლოგიის კლასიფიკაციის საკითხის კვლევისას ყურადღება გამახვილებულია დარგობრივ სიტყვებს, დარგობრივ გამოთქმებსა და ტერმინებს შორის მსგავსება/განსხვავებების დადგენაზე. წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე გამოყოფილია დარგობრივი ლექსიკის რამდენიმე ტიპი.

**საკვანძო სიტყვები:**

ტერმინოლოგია, დარგობრივი ენა, დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაცია.

**შესავალი**

ტერმინოლოგია ამა თუ იმ მეცნიერებასთან ინტეგრირებული დარგობრივი ენის სისტემაა, ტერმინი კი დარგობრივი ლექსიკის ბირთვია. ტერმინოლოგიას ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის სპეციფიკურ ლექსიკასაც უწოდებენ. ამა თუ იმ დარგის ტერმინთა ერთობლიობა ქმნის ენის ლექსიკურ სისტემაში განსაკუთრებულ სფეროს, ანუ, ტერმინოლოგიას, რომელიც რომელიმე დარგის ტერმინებს იკვლევს [ლევანდოვსკი, 1990:1151]. ტერმინი (დარგობრივი სიტყვა, დარგობრივი გამონათქვამი) შესაძლოა გამოხატულ იქნას ცნებით ან კომპლექსური გამონათქვამით, რომლის მნიშვნელობა და გამოყენება ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია (იქვე).

**ძირითადი ნაწილი**

ტერმინი განიმარტება სპეციფიკურ კონტექსტში და წინადადებაში სუბიექტად გვევლინება. „Atomkern ist der im Zentrum gelegene, positiv geladene Teil eines Atoms" [vgl. Schippan. 1984: 246].

საკითხი იმის შესახებ, თუ სად გადის საზღვარი ტერმინილოგიურსა და არატერმინოლოგიურ, მაგრამ ფუნქციონალურად დეტერმინირებულ ლექსიკას შორის, ღიაა და დაზუსტებას მოითხოვს. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დარგობრივი ენა არაა დიამეტრალურად, რადიკალურად წინააღმდეგობრივ მიმართებაში ზოგად ენასთან [ჰოიზინგერი. 2004:53]. შესაბამისად,

1. დარგობრივი ენა იყენებს ზოგადი ენის საშუალებებსა და შესაძლებლობებს საგნის, იდეის, პროცესის დარგობრივ ჭრილში აღწერისათვის;
2. დარგობრივი ენის არსენალში შედის სფეროების მიხედვით დიფერენცირებული ტერმინოლოგია, რომელიც, ერთი მხრივ, ზოგადი ენიდანაა მიღებული, მეორე მხრივ კი - სხვა ენებიდანაა ნასესხები;
3. დარგობრივი ენა ზოგადი ენიდან ირჩევს ფუნქციონალურ ლექსიკას დარგისათვის შესაბამის საგანთა მიმართებების აღსაწერად;
4. დარგობრივი ენა იყენებს ხელოვნურ სიმბოლოებს და ფორმულებს, რომლებ-

საც ხანდახან ტერმინების ღირებულება, შესაბამისად, ტერმინების დატვირთვაც კი აქვთ,მაგ: $H_2O$ - წყალი,

5. დარგობრივი ენის რეალიზაციის არეალი და მისი გამოყენების სიხშირე საკმაოდ მასშტაბურია, თუმცა სტრუქტურული თვალსაზრისით ზოგადი ენის გრამატიკას და გრამატიკულ წესებს ექვემდებარება.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მეცნიერთა მრავალგზის მცდელობას მოეხდინათ დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაცია. მაგალითად, გერმანელი მეცნიერი ვ.შმიდტი (1969:20) დარგობრივ ლექსიკას ყოფს ტერმინებად (სტანდარტული და არასტანდარტული) და ნახევარტერმინებად. ამ უკანასკნელს იგი მიაკუთვნებს პროფესიონალიზმებს და დარგობრივ ჟარგონს. პროფესიონალიზმები ქმნიან ე.წ. გარდამავალ საფეხურს ტერმინსა და დაგობრივ ჟარგონს შორის.

თ. შიპანი მიიჩნევს, რომ (1969:20) დარგობრივი ენების საფუძველს დარგობრივი სიტყვები ქმნის. დარგობრივ სიტყვებს იგი მიაკუთვნებს: 1. ტერმინებს, რომლებიც დარგთაშორის მეცნიერებებს ან სხვა მეცნიერებებს მიეკუთვნებიან, რომელთა საშუალებითაც ხდება ზოგადი სამეცნიერო კვლევების, კვლევის პროცედურებისა და მეთოდების, სხვადასხვა საგანთა და ობიექტთა ნიშან-თვისებების აღწერა. ასეთებია შემდეგი დარგობრივი სიტყვები: აქტუალური, პოზიტიური, ნეგატიური, ინტეგრაციული, ინტეგრირება, პროპორციონალური, ანალიზი, სინთეზი, ფუნქცია, ტრანსფორმაცია; 2. ტერმინებს, რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ დარგობრივ ენაზე კომუნიკაციისას. ესენია უმეტესად დარგობრივი სიტყვები, რომელთა ფორმირება/ჩამოყალიბება/სრულყოფა ხდება დარგის საქმიანობის ფარგლებში, ამა თუ იმ სფეროსათვის შესაბამისი ქმედებებიდან გამომდინარე, ამავე დარგისათვის ადეკვატურ მეთოდებზე დაყრდნობით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი გამოყენება ამა თუ იმ კონტექსტსა თუ სიტუაციაში არ უნდა იწვევდეს გაუგებრობას, პირიქით, ისინი ადეკვატურად უნდა აღიქმებოდნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ გარემოცვაში. მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები განსაზღვრული დარგობრივი ენების (ხშირ შემთხვევაში მრავალი დარგობრივი ენის) შემადგენელი ნაწილები არიან, მაგალითად, როგორიცაა სისტემატიზაცია, კატეგორიზაცია. ამავე ტერმინებს მიეკუთვნება აგრეთვე ტექნიკური დეტალების აღნიშვნები, სხვადასხვა ნაწილების, დანადგარების, ხელსაწყოების დასახელებები, როგორებიცაა: მემბრანა, სითბოს რეგენერატორი, ტრანსფორმატორი და ა.შ.

ამდენად, დარგობრივი ლექსიკის ტერმინოლოგიურ სფეროს მიეკუთვნება ტერმინები, (მკაფიოდ განსაზღვრული/დადგენილი ტერმინი), სისტემური ნომენკლატურა, კვაზიან ნახევრადტერმინები, დარგთაშორისი, შესაბამისად, ინტერდისციპლინარული ტიპის დარგობრივი სიტყვები.

დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაციისას გამოყოფენ შემდეგ ტიპებს:

**ლექსიკა:** სპეციალური ლექსიკა ზოგადი vs. ლექსიკა (არა-ტერმინები)

**სპეციალური ლექსიკა:** პროფესიონალიზმები vs. ტერმინები(ტერმინოიდები)

**პროფესიონალიზმები:** არაწერილობითი vs. წერილობითი

**ტერმინები:** ჭეშმარიტი ტერმინები vs. კვაზიტერმინები

**ჭეშმარიტი ტერმინები:** სპეციფიკური ტერმინები vs. რამდენიმე მეცნიერებებისათვის საერთო ტერმინები

**სპეციფიკური ტერმინები:** გნოსეოლოგიური ტიპის დარგობრივი გამოთქმები, ნომენკლატურა (Filipeck, იქვე).

დარგობრივი ლექსიკის სისტემატიზაციის მცდელობისას, ისახავს რა მიზნად რამდენიმე კრიტერიუმის საფუძველზე დარგობრივი ლექსიკური ერთეულების კლასიფიკაციას, ჰოფმანი გამოყოფს ხუთ ფენას. კრი-

ტერიუმებად იგი ასახელებს: ა) საქმიანობის სფეროს, ბ) კომუნიკაციის პარტნიორს; გ) ნაციონალური ენის არსებობის ფორმებთან ტერმინის ლექსიკურ კავშირს (Hoffman. 1984:70):

1. ზედა ფენა: ა) თეორიული ფუნდამენტური მეცნიერებები; ბ) მეცნიერები; გ) ელემენტებისა და რელაციების აღწერის; მათი აღნიშვნის ხელოვნური სიმბოლოები.
2. სუბორდინაციული ფენა: ა) ექსპერიმენტული მეცნიერებების ენა, ბ) მეცნიერები და ტექნიკოსები, გ) ხელოვნური სიმბოლოები ელემენტებისათვის, ბუნებრივი ენა რელაციებისათვის.
3. ფენა: ა) გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის ენა; ბ) მეცნიერები და ტექნიკუ-რი ხელმძღვანელობა; გ) დარგობრივი ტერმინოლოგიის ძალზე მაღალი წილი.
4. ფენა: ა)მატერიალური პროდუქციის ენა; ბ) სამეცნიერო და ტექნიკური ხელმძღვანელობა, ოსტატები, დარგობრივი მუშახელი; გ) დარგობრივი ტერმინოლოგიის მაღალი წილი.
5. ქვედა ფენა: ა) კონზუმირების/მოხმარების, მომხმარებელთა ენა; ბ) მატერიალური პროდუქციის წარმოების ხელმძღვანელები, ოსტატები, დარგობრივი მუშახელი, რომელიც კომუნიცირებს პროდუქტის მომხმარებლებთან; გ) რამდენიმე დარგობრივი ტერმინი, ჟარგონის დიდი რაოდენობა.

გარდა ამისა, ჰოფმანი ცდილობს მოახდინოს შესაბამისი ლექსიკის კლასიფიკაცია კომუნიკაციის ჭრილში, ანუ მისი გამოყენების სფეროს თვალსაზრისით და მისი გათვალისწინებით. ამ კუთხით იგი გამოყოფს შემდეგ ჯგუფებს: ა)დარგობრივ ტერმინებს, 2) ჟარგონს, 3)ბუნებრივი ენის ლექსიკას, ზოგადი ენის ლექსიკას. რაც შეეხება ჟარგონს, მათი შერჩევა/გამოყენება ხდება დილეტანტთან დარგობრივ კომუნიკაციაში დარგის საგანის, მისი ობიექტის განხილვისას. სამეცნიერო შრომებში გამოიყენება შინაარსობრივად უნიფიცირებული, სტანდარტული, მონოსემური ლექსემების კლასი, ტერმინები ან პროფესიონალიზმები. ისინი ძირითადად არსებითი სახელებით გამოხატული აბსტრაქტული ცნებებია.

## დასკვნა

ენის სისტემაში დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაცია ხორციელდება სამი კრიტერიუმის საფუძველზე, როგორიცაა: საქმიანობის სფერო, კომუნიკაციის პარტნიორი, ნაციონალური ენის არსებობის ფორმებთან ტერმინის ლექსიკურ კავშირი. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით და მათ საფუძველზე გამოიყოფა დარგობრივი ლექსიკის ხუთი ფენა. გარდა ამისა, არსებობს აგრეთვე დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაციის სხვა მცდელობაც კომუნიკაციის ჭრილში, სადაც მკვეთრად იკვეთება დარგობრივი ტერმინი, ჟარგონი და ზოგადი ენა. მათ კვეთაზე ხდება სწორედ დარგობრივი ლექსიკური ერთეულების სისტემური გადანაწილება კომუნიკაციის ინტენციიდან და კომუნიკაციის პარტნიორის ფონური ცოდნიდან გამომდინარე.

## ლიტერატურა


1. Lewandowski Th. (1990): *Linguistisches Worterbuch*. Wiesbaden
2. Schmidt W. (1969): „Charakter und gesellschaftliche Bedeutung der Fachsprache“, in *Sprachpflege* 10. Leipzig
3. Schippan Th. (1984): *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. Leipzig
4. Heusinger S. (2004): *Die Lexik der deutschen Gegenwartssprache*. Stuttgart
5. Hoffmann L. (1984): *Kommunikationsmittel Fachsprache*. Berlin

# Terminology and the Attempt of Its Classification

*Tinatin Borchkhadze*
*Georgian Patriarchal St. Andreas First-Called University*
*53[a] Chavchavadze av., Tbilisi, Georgia*
*Tel.: 599 107 244*
E-mail: bochkhadze@yahoo.com

**Abstract**

The paper discusses the problems of terminology definition and the classification of special vocabulary, which in spite of the great interest of scientists requires more precise definition. The functions and relationships of special language with the general language are being discussed. In the process of the study of terminology classification, special attention is paid to the manifestation of similarity/difference between special words, special expressions and terms. Several types of special vocabulary are chosen on the basis of the criteria worked out preliminarily.

**Keywords:**

terminology, special language, classification of special vocabulary.

# Терминология и попытки ее классификации

*Борчхадзе Тинатин*
*Грузинский патриарший университет Андрии Первозванного*
*Пр.Чавчавадзе 53а, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 599 107 244*
E-mail: bochkhadze@yahoo.com

**Резюме**

Статья посвящена формулировке терминологий и классификации специализированной лексики, которая несмотря на огромный интересс ученых требует более точные определения. Были так же рассмотрены функции и родство специального языка с основным. Во время изучения классификиции терминологий особое внимание было уделено общности/разнице между специальными словами, особым ударение и терминам. На основе заранее обработанных критериумов было выделено несколько типов специализированной лексики.

**Ключевые слова:**

Терминология, специализированный язык, классификация специализированной лексики.

# ტერმინოლოგიისადმი სისტემური მიდგომა და მისი არსი

*თინათინ ბორჩხაძე*
*საქართველოს საპატრიარქოს*
*წმინდა ანდრია პირველწოდებულის*
*სახელობის ქართული უნივერსიტეტი*
*ჭავჭავაძის გამზ. 53 ა, თბილისი,*
*საქართველო*
*ტელ.: 599 107 244*
E-mail: bochkhadze@yahoo.com

**რეზიუმე**

იმ ტიპის ნაშრომთა არ არსებობა, რომლებიც განაზოგადებენ ტერმინოლოგიის სისტემურობასა და დინამიკას, მისი ფორმირების თავისებურებებს, მის განვითარებას, ხელს უშლის ტერმინოლოგიის შესწავლასა და მის დახასიათებას. წარმოდგენილ სტატიაში არის მცდელობა შეივსოს ეს დეფიციტი. ენის სისტემაში, რომელიც სტატიაში განხილულია როგორც კონცეპტუალური სისტემა, გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმართულებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არა მხოლოდ საბაზისო ენობრივი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, არამედ ცოდნის ამ სფეროს სამეცნიერო იდეოლოგიის ჩამოყალიბებაშიც. ნებისმიერი მეცნიერების განვითარების ეტაპების დადგენაში ძირითადი როლი ენიჭება სწორედ მისი ტერმინოლოგიური აპარატის ფორმირების ანალიზს, რამდენადაც მეცნიერების ევოლუცია და მისი ტერმინოლოგიური აღჭურვა ურთიერთგანპირობებულია: პირველი წარმოუდგენელია მეორის გარეშე და პირიქით.

**საკვანძო სიტყვები:**

ტერმინოლოგია, სისტემური მოდგომა, საგნობრივი ასპექტი, ფუნქციონალური ასპექტი, ისტორიული ასპექტი.

**შესავალი**

ტერმინოლოგია ტერმინთა ერთობლიობაა, რომელიც, ერთი მხრივ, მეცნიერების ყველა დარგის კუთვნილებაა, ხოლო, მეორე მხრივ, შეესაბამება მათ და აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს, როგორიცაა მიზანშეწონილობა, მოწესრიგებულობა, სისტემურობა და ა.შ. ტერმინოლოგიის ფორმირებისა და შემუშავების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ და უწყვეტ პერიოდს მოითხოვს. მისი ფორმირების პროცესს განაპირობებს სამეცნიერო დარგის სპეციფიკა და მის კომპონენტებს შორის რთული ურთიერთმიმართება, მისი საგანი, ობიექტი და მიზნები.

უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც ცოდნის სხვადასხვა დარგების მეცნიერთა ყურადღება აქტიურადაა მიმართული როგორც სამეცნიერო ცოდნისადმი სისტემური მიდგომისაკენ, ასევე ზოგადად კოგნიტიური პროცესებისადმი. სისტემური მიდგომის არსი და ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვაძლევს პრინციპებს, რომლებიც ფორმულირებულია ხშირად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ, ერთმანეთისაგან დაშორებულ სამეცნიერო სფეროებში, თუმცა ეჭვს არ იწვევს მათი გამოყენების ჭეშმარიტება და სანდოობა ნებისმიერ სისტემასთან მიმართებაში.

ასეთი მიდგომა გვიქმნის მნიშვნელოვნად სრულყოფილ წარმოდგენას მიმდინარე პროცესების არსის შესახებ. იგი ფუნდამენტურად განსხვავდება იმ ტიპის წარმოდგენისაგან, რომელიც შესაძლებელია მიიღოს მკვლევარმა რომელიმე კონკრეტულ დარგთან მიმართებაში არა სისტემური მიდგომის, არამედ ტრადიციული ლოგიკის ჩარჩოებში მოქცეული მიდგომის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს სისტემური პრინციპების გამოყენების კიდევ ერთი ძლიერი მხარე - სისტემის განვითარების ზუსტი

პროგნოზირების შესაძლებლობა, რაც ერთ-ერთია იმ აუცილებელ ასპექტთა შორის, რომლებიც ნებისმიერ თანამედროვე კვლევას მოეთხოვება. მისი პრინციპების უნივერსალურობა, რომლებიც ფორმულირებულია სისტემური ანალიზის თეორიის ჩარჩოებში და გამოიყენება სისტემის ნიშან-თვისებების მქონე სხვადასხვა ობიექტებთან მიმართებაში, სასურველ ნიადაგს ქმნის სისტემური მიდგომის ფარგლებში, გაკეთდეს სწორი პროგნოზები.

**ძირითადი ნაწილი**

პროცესებისადმი სისტემური მიდგომის დროს სამეტყველო საშუალებები და თავად შეტყობინებები არ განიხილება როგორც ამა თუ იმ სისტემის იზოლირებული ნიშნები ან ელემენტები - მათზე დაკვირვება და მათი კვლევა წარმოებს მთელ რიგ სხვა სისტემებთან ურთიერთობის დინამიკაში, რომლებიც არსებობს კონკრეტულ იერარქიაში.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ფონ ბერტალანფის იდეის საფუძველზე, სისტემურ მიდგომაში იგულისხმება ის მიდგომა, რომელიც გვაძლევს ადეკვატურ წარმოდგენას რთული დინამიური სისტემის შესახებ მისი კვლევის სამი პლასტის ერთმანეთთან დაკავშირების გზით, ესენია: საგნობრივი, ფუნქციონალური და ისტორიული (ბერტალანფი,1969).

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე. სისტემური კვლევის საგნობრივი ასპექტი გვაძლევს საშუალებას პირველ რიგში აღვიქვათ სისტემის ცნება იმ ელემენტთა ერთობლიობად, რომლებსაც გარკვეული კავშირები აქვთ ერთმანეთთან და რომლებიც ერთობლიობაში და არა განცალკევებულად ფუნქციონირებენ. ამას გარდა, სისტემური კვლევის საგნობრივი ასპექტი საშუალებას გვაძლევს გავშიფროთ, ავხსნათ გარემო და მისი ელემენტები და აღვიქვათ ისინი სისტემის გარემოცვად, რომელსაც მასთან აქვს ორმხრივი კავშირი. სისტემის ელემენტების, ანუ მისი შემადგენლების შესწავლა მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება შეზღუდული იყოს მისი შემადგენელი ელემენტების მხოლოდ აღმოჩენა-გამოვლენით - ამ მიზანს წარმატებით ემსახურებოდა ტრადიციული, წმინდა ანალიტიკური მიდგომა. რაც შეეხება სისტემურ მიდგომას, რამდენადაც იგი გამომდინარეობს შესასწავლი სისტემისადმი იმგვარი მიდგომით, რომ შეიქმნას მასზე მთლიანური წარმოდგენა, ამდენად ელემენტების და ქვესისტემების გამოყოფამ, რაც ქმნის ამ სისტემის მთლიანობას, უნდა წარმოადგინოს მისი ელემენტები, ერთი მხრივ, როგორც აუცილებელი და, მეორე მხრივ, როგორც საკმარისი შემადგენლები, რათა შესაძლებელად იქნეს მიჩნეული ამ მოცემული სისტემის არსებობა.

ამ ამოცანის გადაჭრის ეფექტური გზაა განვიხილოთ შესასწავლი სისტემა როგორც რაღაც მეტასისტემის ნაწილი, ანუ იმ გარემოსა და იმ გარემოცვაში, რომლის შემადგენლებსაც ისინი წარმოადგენენ და რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ სისტემის წარმოშობის, არსებობისა და დანიშნუ-ლების კანონზომიერებები - დავადგონით სისტემის მთავარი როლი, რომელსაც იგი ასრულებს იმ მეტასისტემის ფარგლებში, რომლის შემადგენელიც თვითონაა. სისტემის შესახებ იმ ინფორმაციის მიღება, რომელსაც გვაძლევს მისი ელემენტარულ-სტრუქტურული ანალიზი, გვაძლევს საშუალებას გადავიდეთ მისი ფუნქციონირების შესწავლაზე. მაგრამ ამასთან უკვე შეუძლებელი ხდება სისტემის განხილვა აბსტრაჰირებულად, მოწყვეტით მისი გარემოდან. ამ კანონზომიერებას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩესნოკოვი. სისტემური ანალიზის ფუნქციური ასპექტი გვაძლევს საშუალებას გამოვიკვლიოთ შიდასისტემური მიმართებების მექანიზმები. (მისი შემად-

გენელი ელემენტების ურთიერთქმედება) და გარესისტემური მექანიზმები (სისტემის დამოკიდებულება/მიმართება გარემოსთან) (ჩესნოკოვი, 1989).

სისტემის შიდა ფუნქციონირების კვლევა ხდება ორი პირობის გათვალისწინებით: ერთი მხრივ, მისი ელემენტების შემადგენლებით და სტრუქტურით, ხოლო, მეორე მხრივ,- მისი გარეგანი ფუნქციით, რომელიც განსაზღვრავს სისტემის ყველა ელემენტის ურთიერთქმედების ხასიათს.

რაც შეეხება სისტემის გარეგან ფუნქციონირებას, იგი ორმხრივია, რაც იმაში გამოიხატება, რომ გარემო ზემოქმედებს მასში არსებულ სისტემაზე, ხოლო სისტემა, თავის მხრივ, შერჩევის საფუძველზე აღიქვამს და გადაამუშავებს ამ ზემოქმედებას თავის შინაგან ბუნებასთან შესაბამისობაში, ამასთანავე თვითონ აქტიურად ზემოქმედებს გარემოზე, შეგნებულად ან შეუგნებლად, წინასწარი განზრახვით ან მის გარეშე.

განსახილველ საკითხთა აქტუალობა ორგანულ კავშირშია ლინგვისტურ პრობლემებთან. ნიშნის თეორიის თანამედროვე დინამიკას მივყავართ ენათმეცნიერების პრობლემურ საკითხთა სფეროს გაფართოვებისკენ, რაც თავის მხრივ ტერმინთმცოდნეობასაც გულისხმობს და მოიცავს. ასე მაგალითად, ნიშნის, როგორც ერთიანი სისტემის ელემენტის გაგებას, რომელსაც აქვს თავისი საზღვრები, რომლისთვისაც განსაზღვრულ ჩარჩოებში დასაშვებია სხვა სისტემებთან შეხება და ურთიერთქმედებაშია მათთან, მაგრამ არ ითვალისწინებს მათთან შერევას (ნიკოლაევი, 2006,27), მივყავართ რა ლინგვისტური კლასიფიკაციის დაზუსტებამდე, ის ახდენს სისტემურობის, ვარიანტულობის და ტერმინის დინამიზმის შესაბამის დამუშავებას. ამასთანავე ეს დამუშავება შეხებაშია უფრო რთულ ენობრივ პროცესებთანაც – კერძოდ, სამეცნიერო ტექსტის კომპრესიასთან. (გირენკო, 2004:185-200), რისი ახსნაც შეიძლება ზოგადლინგვისტური კონცეფციების საფუძველზე.

აღნიშნული აქტუალიზაცია დაკავშირებულია ენათმეცნიერების სამ ტენდენციასთან. ეს, პირველ რიგში არის სისტემურობის განზომილებათა რესტრუქტურიზაცია. იგი შეინიშნება ტერმინების ანალიზისადმი ტრადიციული პრინციპებით მიდგომის დროსაც კი, მაგალითად, ტერმინების სტრუქტურულ-სემანტიკური აღწერისას. (პაპაზიანი, 2007). ტერმინის მიმართ სისტემური მიდგომა აქტუალიზდება მაშინ, როცა ყურადღების ცენტრში ექცევა პროდუქტიული და ნაკლებად გამოკვლეული პროცესები, ისეთები, როგორებიცაა კონვერსია, მეტაბოლიზმი, ანტროპოცენტრიზმი, ტერმინთწარმომქმნელ სემათა იმპლიცირება. (აპალკო, 2007)

მეორე მხრივ, ტერმინისადმი სისტემური მიდგომის აქტუალიზაციას ხელს უწყობს ასპექტურობის როგორც ობიექტის განსაკუთრებული მახასიათებელის კვლევა. (შპიგარი 2007, სარკისოვი, 2007). ამასთანავე სწორედ ტერმინთა მასალა გვაძლევს საშუალებას დავამკვიდროთ ასპექტები, რომლებიც არსებითია ენობრივი სისტემის და მისი რეალიზაციის ცალკეული ერთეულებისა და ფენომენებისათვის.

ლინგვისტიკის მესამე ტენდენცია, რომელიც ახდენს ტერმინისადმი სისტემური მიდგომის აქტუალიზაციას, ესაა მისი დაზუსტება დინამიკაში. სისტემურობისა და დინამიურობის ერთიანობას, რომელიც სულ უფრო აქტიურად გამოიყენება ლინგვისტური ობიექტების ანალიზისთვის, აქვს განმარტებითი ძალა ტერმინოლოგიისთვისაც. იგი აღრმავებს წარმოდგენას ტერმინთა ისეთ აქტუალურ თვისებაზე, როგორიცაა მათი კავშირი კოგნიტიურ ოპოზიციებთან (ნემიკა 2006). ეს ეხება სისტემურობის ახლებურ გაგებასაც: "მას შემდეგ, რაც ვიტყვით რა უარს იმაზე, რომ ენობრივი სისტემის ყველა ქვესისტემა ერთ რიგში განვალაგოთ,

საჭიროა დადგინდეს ამ სისტემის ძირითადი სტრუქტურული ფენები, რომელთა გადაკვეთის საფუძველზეც აიგება მათი სრულყოფილი სტრუქტურა, და შემდეგ, თითოეული ფენის ფარგლებში გამოვავლინოთ ენობრივი ფაქტების ქვესისტემის შესაბამისი სტრუქტურა.” (ჩესნოკოვი 2008:112)

მოცემული აქტუალიზაცია, რომელიც ცალსახადაა განსაზღვრული მონოლინგვურ ჭრილში, ახალ ძალებს იკრებს ენათაშორისი კორელაციებით ნაკლებად გამოკვლეულ საკითხებში, იმ ფონზე, რომ ბილიგვიზმი იქცა თანამედროვე ენათაშორისი კომუნიკაციის ყველაზე უფრო აშკარა ბუნებრივ მოვლენად. ეს მნიშვნელოვანწილად აიხსნება გლობალიზაციის უნივერსალური ტენდენციებით ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ, განმანათლებლურ, რელიგიურ-სულიერ და ადამიანთა საქმიანობის სხვა სფეროებში. ასეთი მიდგომა აღრმავებს ტერმინთა სისტემურ აღქმას.

**დასკვნა**

თითოეული დარგის ტერმინოლოგია ობლიგატორული კონცეპტუალურ-ენობრივი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ენობრივი სისტემის ყველა დონის ადეკვატურ აღწერას, ხოლო, მეორე მხრივ, ენის სწავლისა და სწავლების პროცესების ოპტიმიზაციას. ის ახდენს ენის დონეების სტრუქტურიზაციის ევოლუციის დემონსტრირებას. ტერმინოლოგიური სიჭრელე მეტყველებს იმაზე, რომ ტერმინოლოგია თავის სათავეს საუკუნეების წიაღში იღებს, რომ მისი ფორმირება ხდებოდა დიდი ხნის მანძილზე და რომ მასში ასახულია სხვადასხვა ეპოქების წერილობითი ენის თავისებურებები, რომელიც ჩამოყალიბდა შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენით. ეს ბუნებრივია, რადგან, როგორც ჰუმბოლდტი წერს, ”შიდა და გარე სამყაროს ცალკეულ საგანთა აღნიშვნა ღრმად სწვდება გრძნობით აღქმას, ფანტაზიას, ემოციას და ყველა მათგანის ურთიერთმოქმედების წყალობით აღწევს ეროვნულ ხასიათამდე, რადგან სწორედ აქ ხდება ადამიანის შერწყმა ბუნებასთან, საგნობრიობა, ნაწილობრივ მართლაც რომ მატერიალური,– ერწყმის ფორმირების პროცესში მყოფ სულს. ამ სფეროში, შესაბამისად, უფრო აშკარად იგრძნობა ეროვნული თვითმყოფადობა”(ჰუმბოლდტი, 1984,104).

## ლიტერატურა


1. Берталанффи Л. Фон (1969): Общая теория систем. М.: Прогресс, 1969.369 с.

2. Чесноков П. В. (1989): О двух языковых картинах мира – статической и динамической Текст. / П.В.Чесноков // Известия СКНЦ. Общественные науки. Ростов н/Д. № 3. - С. 68-69

3. Николаев С. Т. (2006): О вариантности языкового знака при билингвизме Текст. / С.Г. Николаев // Лингвистические и культурологические аспекты многоязычной деятельности (состояние и перспективы). Ростов н/Д: РГУ. С. 26-35

4. Гиренко Л. С. (2004): Один из возможных путей изучения плотности научного текста Текст. / Л.С. Гиренко // Стереотипность и творчество в тексте. Пермь: ПГУ. Вып. 7. - С. 185-203

4. Папазян А. А. (2007): Структурно-семантическое описание терминов менеджмента (на материале экономической лексики): Автореф. дис. . канд. филол. наук Текст. / А.А. Папазян. Краснодар. - 22 с.

5. Апалько И. Ю. (2007): Конверсия в военной терминологии Текст. / И.Ю. Апалько // Дискурс: концептуальные признаки и особенности их осмысления. Краснодар: КубГУ. - С. 7-11

6. Шпыгарь Е.В. Лингвистическая аспектность учебно-научных текстов по экономике: Автореф. дис. канд. филол. наук Текст. / Е.В. Шпыгарь. Краснодар, 2007. - 24 с.

7. Саркисов А. Л. (2007): Основные тенденции формирования и функционирования специальной лексики бухгалтерского учета: Автореф. дис. . .канд. филол. наук Текст. / А.Л. Саркисов. Краснодар, 2007. - 24 с.

8. Немыка А. А. (2006): О развитии когнитивных оппозиций в лексических подсистемах Текст. / А.А. Немыка // Теоретическая и прикладная семантика. Парадигматика и синтагматика языковых единиц. — Краснодар: КубГУ. С. 70-72

9. Чесноков П. В. (2008): Об основных измерениях в языковой системе Текст. / П.В.Чесноков // Филология как средоточие знаний о мире. Юбилейный сб. М.; Краснодар: АПСН; КубГУ. С. 112-114

10. Гумбольдт В. (1984): фон. Избранные труды по языкознанию. Текст. / В. фон. Гумбольдт М.: Прогресс. S397 с.

## System Approach to Terminology and its Essence

*Tinatin Borchkhadze*
*Georgian Patriarchal St. Andreas First-Called University*
*53[a] Chavchavadze av., Tbilisi, Georgia*
*Tel.: 599 107 244*
E-mail: bochkhadze@yahoo.com

**Abstract**

Non-existence of the works generalizing the systematicity and dynamics of terminology, peculiarities of its formation and development, prevents from the study and characterization of terminology. In the language system which the paper discusses as a conceptual system, were created different directions which played an important role not only in the formation of basic language terminology but in the establishment of the scientific ideology in this sphere of knowledge. In the ascertainment of the development stages of any science, the main role is conferred on the analysis of its terminology apparatus as the science evolution and its equipment with terminology is interstipulated. One is inconceivable without the other and vice versa.

**Keywords:**

terminology, system approach, object aspect, functional aspect, historical aspect.

## Системный подход к терминологии и суть этого подхода

*Борчхадзе Тинатин Давидовна*
*Грузинский патриарший университет Андрии Первозванного*
*Пр.Чавчавадзе 53а, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 599 107 244*
E-mail: bochkhadze@yahoo.com

**Резюме**

Не существует того типа работ, которые смогли бы обобщить систему и динамику терминологий, формирование особенностей их развития, мешали бы изучению и характеризации терминологии. Статья рассматривает данную систему языка как концептальную систему, где созданы различные направления, которые играют важную роль не только в формации основной терминологии языка, но и в установке научного мировоззрения данной сферы знаний. В установке стадий развития науки основную роль играет анализ формирования аппарата терминологий, которые представляют собой эволюцию в науке, а так же ее оснащение терминологией взаимо обусловлены. Одно невообразимо без другого и наоборот.

**Ключевые слова:**

Терминология, системный подход, аспект предмета, функциональный аспект, исторический аспект.

# Revolutionizing the Ways of Language Learning

*Rusudan Gotsiridze*
*Georgian Technical University*
*Department of Liberal Sciences*
*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*
*Tel.: 893 301 342*
E-mail: rusudgo@yahoo.com

### Abstract

The Internet has revolutionized the ways of human communication as well as English language learning in a global context. Learners of English language today need a new set of critical and interpretive skills. Teachers of English therefore, need to understand how the Internet is revolutionizing English language learning. This paper attempts to discuss the impact of the Internet on English language learning as well as the need for new frameworks for teaching English language in computer mediated contexts.

### Keywords:

linguistic medium, information technology, IT revolution, psycholinguistic processes, socio-cultural context.

### Introduction

Computer-mediated communication is one of the features of globalization and as a result, the Internet has become an important linguistic medium. It has been added to every aspect of human life, including the learning of languages.

The Internet seems to have important implications for linguistics or language learning. In this context, this paper explores the impact of the Internet on today's teaching and learning of the English language.

### Main Body

Traditionally, the approaches used to study languages have been prescriptive and descriptive (Fromkin et. al., 2004). Prescriptivism represents the view that one variety of language has an inherently higher value than others, and that this variety of language ought to be imposed on the whole of the speech community. It usually prefers a version of the standard written language, which most closely reflects the literary style of great classics in a language. Those who speak or write in a standardized variety are termed to be using the language 'correctly'; those who do not, are termed to be using it 'incorrectly'.

When the Internet first emerged, the early tendency among the educators of English for speakers of other languages was to see how it could be employed as a tool in teaching English (Warschauer, 1995). Computer was then seen as an optional or supplementary tool, among several others, used for teaching English. Today, however, the significance of information technology for teaching or learning is widely acknowledged. To put it simply, information technology has been termed as the medium of a new, and fourth revolution in human communication and cognition, matched in significance only by the prior three revolutions of language, writing, and print (Harnad, 1991). Information technology will impact on how people interact, access and share information. This impact will also occur much more quickly than anticipated.

The Internet appears to revolutionize the ways of human communication and language learning, as languages are being acquired and communication continues to occur between people. In this context, it appears that learners of English need a new set of literacy skills for English language acquisition.

As a result of the IT (Information Technology) revolution, there is a shift in reading practices from the (paper) page to the screen (Reinking, 1998; Snyder, 1998). This shift is more likely to occur especially among young people who grow up with computers (Tapscott, 1998). It will necessitate different psycholinguistic processes related to decoding information from a screen instead of a page, especially when

the screen decodes words for the reader at the click of a mouse. It will also change how we as educators teach things like skimming, scanning, and guessing words from a context (Anderson-Inman & Horney, 1998; McKenna, 1998). It will also force educators to think more about how texts combine together with graphics, images, and audio-visual content to communicate a message (Bolter, 1998; Kress, 1999; Lemke, 1998)

Reading is not just a psycholinguistic act of decoding letters and words. Rather, it is a social practice that takes place in particular socio-cultural contexts. In this sense the shift of reading from the (paper) page to the screen, and the new socioeconomic circumstances in which it takes place, has an even greater impact on language learning. Reading from the screen is a less passive act of decoding a message from a single authoritative author and a more self-conscious act of accumulating or creating knowledge from a variety of sources (Bolter, 1991).

Similar to the changes, learners need to make in their reading practices, changes are expected to be made in writing practices as well in pedagogical contexts involving the Internet (Bolter, 1996). In much of the world, writing has been given little emphasis in English language courses, and if emphasized at all, is seen as synonymous with the putting on paper of grammatically correct sentences (Raimes,1991). And indeed, this was sufficient for most learners' needs prior to the information revolution of the 1970s. However, the rise of information, and the widespread use of computers and the Internet, dramatically raised the profile of writing and the need for effective written communication.

The shifts in reading and writing practices necessitate the need for new curriculum frameworks/approaches for teaching of English in Internet medium. Multi-literacy is significant as a framework for the teaching of English in an era of fast growing, fast changing information technology dominance.

## Conclusion

With the rapid changes brought about by globalization and technological development, teachers of English need to understand that they are entering, or have already entered the biggest language/linguistic revolution ever. Many people have learned to meet the demands of the new Internet conditions, such as e-mails, chat groups, Web pages, etc. The e-prefix must have been used in hundreds of expressions of people on a daily basis.

The Oxford Dictionary of New Words had already noted e-text, e-cash. e-books, e-conferences, e-voting, e-loan, e-newsletters, e-cards, e-shop, etc. However, it is impossible to know how many of these e-expressions which originated with the Internet will remain in long-term use in the English language. We can only recognize and describe language change once it has occurred.

Linguists have begun to investigate the linguistic properties of the so-called 'electronic revolution'. The way in which the English language is being used on the Internet is different from previous linguistic behavior and should be described as revolutionary.

The continuing changes in the spread, reception, interaction, sharing, and understanding of global information have altered the process of human and technological communication. It has created a necessity for linguists, especially language teachers, to fully understand the factors and their Internet influence on the way the English language should now be taught.

## Literature


1. Anderson-Inman L., & Horney M. A. (1998): Transforming text for at-risk readers. InD. Reinking, M. C. McKenna, L. D. Labbo, & R. D. Kieffer (Eds.), Handbook of literacy and technology: Transformations in a post-typographic world(pp. 15-43).Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates

2. Bolter J. D. (1998): Hypertext and the question of visual literacy. In D. Reinking, M. C.McKenna, Cope, B., & Kalantzis, M. (Eds.). (2000). Multiliteracies: Literacy learningand the design of social futures. London: Routledge

3. Fromkin V. et. al. (2004): An Introduction to Language (7th Edition.). Beijing: Peking University Press

4. Harnad S. (1991): Post-Gutenberg galaxy: The fourth revolution in the means of production and knowledge. Public-Access Computer Systems Review, 2(1), 39-53

5. Kress G. (1999): 'English' at the crossroads: Rethinking curricula of communication in the context of the turn to the visual. In G. E. Hawisher & C. Selfe (Eds.),Passions, pedagogies, and 21st century technologies (pp. 66-88). Logan, Utah: Utah StateUniversity Press.

6. Lemke J. L. (1998): Metamedia literacy: Transforming meanings and media. In D.Reinking, M. McKenna, L. Labbo, & R. D. Kieffer (Eds.), Handbook of literacy and technology: Transformations in a post-typographic world (pp. 283-301). Hillsdale, NJ:Erlbaum.

7. McKenna M. C. (1998): Electronic texts and the transformation of beginning reading.In D. Reinking, M. C. McKenna, L. D. Labbo, & R. D. Kieffer (Eds.), Handbook of literacy and technology: Transformations in a post-typorgraphic world(pp. 45-59).Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates.

8. Raimes A. (1991): Out of the woods: Emerging traditions in the teaching of writing. TESOL Quarterly, 25(3), 407-430

9. Reinking D. (Ed.). (1998): Handbook of literacy and technology: Transformations in a post-typographic world . Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates

10. Snyder I. (Ed.). (1998): From page to screen. London: Routledge.

11. Tapscott D. (1998): Growing up digital: The Rise of the Net Generation. New York:McGraw-Hill

12. Warschauer, M., & Cook, J. (1999). Service learning and technology in TESOL. Prospect, 14(3), 32-39

# ენების შესწავლის რევოლუციური საშუალება

*რუსუდან გოცირიძე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი*
*კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო*
*ტელ.: 593 301 342*
E-mail: rusudgo@yahoo.com

**რეზიუმე**

სტატია გლობალურ კონტექსტში განიხილავს იმ რევოლუციურ როლს, რომელსაც ინტერნეტი ასრულებს როგორც ინდივიდებს შორის კომუნიკაციის, ისე ინგლისური ენის შესწავლის პროცესში. ცოდნის დასაუფლებლად ინგლისური ენის შემსწავლელები საჭიროებენ ახალ უნარ-ჩვევებს, ხოლო ინგლისური ენის მასწავლებლები კი ცოდნას იმის შესახებ, თუ რა რევოლუციური გარდაქმნების უზრუნველყოფაა შესაძლებელი ინტერნეტის საშუალებით ენის შესწავლის პროცესში. სტატიაში მოცემულია მცდელობა გაანალიზდეს ინტერნეტის ზეგავლენა ინგლისური ენის შესწავლის პროცესზე, ასევე ახალი სასწავლო გეგმების საჭიროება კომპიუტერული სწავლების კონტექსტის გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:**

ლინგვისტური მედიუმი, ინფორმაციული ტექნოლოგია, ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული რევოლუცია, ფსიქოლინგვისტური პროცესები, სოციოკულტურული კონტექსტი

# Революционные методы изучения языка

*Гоциридзе Русудан Арчиловна*
*Грузинский технический университет*
*Департамент либеральных наук*
*Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 593 301 342*
E-mail:rusudgo@yahoo.com

**Резюме**

В статье в глобальном контексте рассматриваются вопросы о революционной роли интернета не только в процессах коммуникации между индивидами, но и в изучении английского языка. Ученики нуждаются в новых навыках, следовательно, учителя нуждаются в понимании революционной роли интернета в процессе изучения английского языка. В статье предложена попытка проанализировать воздействие интернета на процесс изучения английского языка, также обсуждается потребность в новых учебных планах для изучения английского языка с учетом контекста компьютерного обучения.

**Ключевые слова:**

Лингвистический медиум, информационная технология, революция основанная на информационных технологиях, психолингвистические процессы, социо-культурный контекст.

# Обучение продуктивному суффиксальному словообразованию как средству обогащения лексического запаса студентов технических вузов

*Зоранян Марина Георгиевна*
*Грузинский технический университет*
*Департамент либеральных наук*
*Ул. Костава, №77, 0175, Тбилиси, Грузия*
*Тел. 593 783 826*
E-mail: marinaziger@gmail.com

**Резюме**

Обогащение лексического запаса студентов-нефилологов в основном связано с терминологией и осуществляется в трех направлениях: а) обучение специальным техническим значениям хорошо известных общеупотребительных слов типа “go”, “run” и т.п., которые в специальной литературе часто приобретают специфические значения; б) изучение терминов в их широком научном значении; в) обучение продуктивному суффиксальному словообразованию или, точнее, декодированию производных слов. Работу с абсолютно продуктивными суффиксами, обладающими четко выраженной семантической общностью, рекомендуется проводить как в рецептивном, так и продуктивном плане. Что касается продуктивных суффиксов, обладающих ограниченной словообразующей способностью и несущих менее четкую семантическую нагрузку, то работу с ними желательно проводить преимущественно в рецептивном плане. Предпочтительно максимум информации представлять в виде формул и таблиц.

**Ключевые слова:**

термины, неологизмы, производные слова, абсолютно продуктивные суффиксы, стиль научного изложения, декодирование производных слов, продуктивные упражнения, рецептивные упражнения.

**Вступление**

Лексичесий состав современного английского языка постоянно пополняется за счет заимствования, словообразования и изменения значения слова. В результате появляется значительное количество неологизмов, т.е. слов и устойчивых словосочетаний, новых либо по форме, либо по содержанию (и по форме, и по содержанию) [Середа. 2011]. При этом новые слова создаются преимущественно в соответствии с продуктивными моделями данного языка. Согласно наблюдениям в современном английском языке, около двух третей новых слов получены посредством аффиксации и словосложения. В обучении студентов неязыковых вузов иностранному языку изучение продуктивного суффиксального словообразования занимает значительное место.

**Основная часть**

Обогащение лексического запаса студентов-нефилологов в основном связано с терминологией и осуществляется в трех направлениях.

1. Обучение специальным техническим значениям хорошо известных общеупотребительных слов типа “go”, “run” и т. п., которые в специальной литературе часто приобретают специфичесие значения. Изучение этих значений совершенствует лексический запас студентов.

2. Изучение терминов в их широком научном значении (e.g. root as a) the part of a plant which is normally in the soili; b) basis, main parti; c) number multiplied by itself a certain number of times, produces another quantity. Узкое научное значение этих терминов (e.g. root in metallurgy as the top of welding seam).

3. Обучение продуктивному словообразованию или, точнее, декодированию производных

слов. Усвоение производных слов, преимущественно терминов. [Зоранян & Догонадзе, 2014: 114].

По важности и в количественном отношении первое направление уступает второму и третьему. Второе и третье направления приблизительно равноценны. Однако в количественном отношении самым эффективным способом обогащения лексического запаса студентов неязыковых вузов безусловно является изучение суффиксального словообразования.

Стиль научного изложения должен быть основным при обучении иностранному языку студентов неязыковых специальностей, поскольку именно этот стиль они будут использовать и в устной речи, и при чтении текстов по специальности.

В регистре научной речи языковые средства должны легко кодироваться, т.е. использоваться говорящим, и декодироваться, т.е. восприниматься слушающим; в этом состоит основное требование к знаку.

При анализе научных текстов на первый план выдвигаются производные термины. Словообразовательный процесс в стиле научного изложения в современном языке идет особенно активно в связи с быстрым развитием все новых и новых отраслей науки и техники. Поскольку основное количество новообразований в современном английском языке создается аффиксальным способом и путем словосложения [по данным Иванова таким образом создается 88% новых слов] [Иванов. 1980:39], то именно поэтому обучение студентов-технарей продуктивному суффиксальному словообразованию представляется особенно актуальным.

Основными свойствами терминов являются их клишированность, воспроизводимость, полное отсутствие каких-либо коннотаций, однозначность. Характер производного слова является одним из признаков функционального стиля. Синтагматическая особенность научного стиля определяется функцией сообщения, которая в данном стиле является преобладающей.

Продуктивность словообразовательного суффикса зависит от  структурных, лексико-грамматических и семантических особенностей  как корневой основы, так и самого суффикса. Кроме того, необходимо  иметь в виду, что словообразовательный суффикс может быть весьма продуктивным в какой-либо терминологической сфере и совершенно не  употребляться в разговорной речи  [Ильина и Кибасова. 2012].

Продуктивные суффиксы современного английского языка, встречающиеся в научно-технической литературе, делятся на 2 основные группы [Зоранян. 2006  : 74-77]:

1. суффиксы, обладающие практически неограниченной словообразовательной способностью и несущие четкую семантическую нагрузку;

2. суффиксы с ограниченной словообразующей способностью и несущие менее четкую семантическую нагрузку.

В соответствии с особенностями суффиксов обеих групп, необходима дифференцированная методика обучения словообразованию, которая и предлагается в данной работе.

Даже об абсолютно продуктивных суффиксах (-er, -less, -able, -ness, - like) мы не можем сказать, что они образуют слова от любой основы в соответствии с данной моделью. Так что, усвоение производных слов является основной целью обучения словообразованию (производным словам, «декодированию моделей»).

Усвоение производных слов, преимущественно терминов, является одним из основных источников обогащения лексического запаса студентов неязыковых вузов.

Необходимо четко разграничить цели обучения словообразованию для рецептивной и продуктивной лексики. Для рецептивных целей студенты должны понимать значение производных слов, в то время как для продуктивных целей студенты должны уметь составлять „новые“ слова, применяя известные словообразователь-

ные модели. Эти слова являются новыми (незнакомыми) для них, студенты даже не уверены стопроцентно, что эти слова существуют, но они рискуют образовывать их с коммуникативными целями. Для продуктивных целей следует применять упражнения на образование слов лишь с абсолютно продуктивными суффиксами, так как с суффиксами, не являющимися более продуктивными, риск „образования“ несуществующих слов слишком велик. Это, в свою очередь, может привести к фиксированию ошибки (так называемые *fossilized errors*) в памяти студентов. Для рецептивной же лексики нет таких ограничений: слово бесспорно существует (раз оно употреблено в тексте), а студенты должны всего лишь декодировать его. Этот тип упражнений может применяться к любым производным словам, независимо от продуктивности суффикса.

Что касается продуктивных упражнений, их необходимо составлять осторожно, не провоцируя студентов образовывать несуществующие слова (даже продуктивные суффиксы на самом деле образуют производные слова не от всех корней).

Если в художественной литературе, с целью усиления выразительности, существующие словообразовательные модели могут подтолкнуть любого автора к созданию неологизмов, которые, как правило, живут лишь в данном тексте и лишь изредка окончательно приживаются в языке (например, слово стушеваться, введенное в русский язык Достоевским, и слово интеллигенция, введенное Чеховым в русский язык, а впоследствии прижившееся и во многих других языках), то в нехудожественной литературе, особенно, в научном стиле, новые слова могут возникать лишь с возникновением новых явлений (например, изобретений). Студенты не должны „изобретать“ несуществующие слова. Поэтому в обучении студентов, особенно, студентов-нефилологов, рекомендуется применять только или преимущественно рецептивные упражнения для декодирования значения производных слов. [Зоранян & Догонадзе. 2014: 116].

При процессе обучения особое внимание следует уделять суффиксам первой группы, обладающим абсолютной продуктивностью и четко выраженной семантической общностью (-er, -less, -able, -ness, - like). Работу с данными суффиксами следует проводить как в рецептивном (пассивный словарный запас), так и продуктивном (активный словарный запас) плане. Что касается продуктивных суффиксов второй группы, обладающих ограниченной словообразующей способностью и несущих менее четкую семантическую нагрузку, то их усвоение также играет значительную роль в обучении иностранному языку студентов-нефилологов. Однако, следует отметить, что работу с данными суффиксами желательно проводить преимущественно в рецептивном плане. Рецептивный словарный запас студентов, чьей специальностью не является английская филология, можно сделать практически неограниченным. Он может вырасти в несколько раз, если регулярно применять соответствующие разнообразные, преимущественно рецептивные упражнения. Так, например:

1. Переведите слова, содержащие ... суффикс, на английский язык.
2. Определите по суффиксу, какой частью речи являются данные слова. Сформулируйте дефиницию данного слова (дефиниция значения корня предложена).
3. Назовите суффиксы, с помощью которых образованы данные слова. ....., и т.д.

## Заключение

Работу с абсолютно продуктивными суффиксами, обладающими четко выраженной семан-

тической общностью, рекомендуется проводить как в рецептивном, так и продуктивном плане. Что касается продуктивных суффиксов, обладающих ограниченной словообразующей способностью и несущих менее четкую семантическую нагрузку, то работу с ними желательно проводить преимущественно в рецептивном плане.

Обучая иностранному языку судентов-нефилологов, не следует слишком увлекаться теоретической информацией из области филологии, поскольку она является более труднодоступной для них, как в отношении терминологии, так и в плане формы изложения. Предпочтительно максимум информации представлять в виде формул и таблиц.

## Литература


1. Иванов А. Н. (1980): Морфология слова в аспекте номинации. Сборник научных трудов МГПИИЯ им. М.Тореза. Вып. 164 : 10-18
2. Зоранян М. & Догонадзе Н. (2014): Продуктивное суффиксальное словообразование. Обучение суффиксальному словообразованию в стиле научного изложения (современный английский язык). Lambert Academic Publishing. Germany.
3. Ильина А. Н., Кибасова С. Г. (2012): Словообразование в современном английском языке: учебное пособие для студентов экономических специальностей. СПб. : Изд-во СПбГУЭФ.
4. Середа Л. М. (2011): Активные процессы словообразования в английских неологизмах. Материалы XII международных чтений, Гродно: ГрГУ: 257-265.
5. Зоранян М. (2006): Обучение продуктивному суффиксальному словообразованию в неязыковых вузах. Приложение к журналу «Вестник» Академия образовательных наук Грузии. Труды, 7, Тбилиси : Грузинский технический университет.:74-77.


# Teaching Productive Word-Building on the Basis of Suffixation as a Means of Enriching Vocabulary of Students Majoring in Technical Areas


*Marina Zoranyan*
*Georgian Technical University*
*Department of liberal sciences*
*77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia*
*Tel. : 593 783 342*
E-mail: marinaziger@gmail.com



**Abstract**

The vocabulary of students majoring in technical areas is mainly enriched due to dealing with terminology. It can be done in three ways: a) teaching specific technical meanings of the well-known every-day-vocabulary words such as “go”, “run”, etc.; b) teaching terms in their wide-scientific meaning; c) teaching productive word-building on the basis of suffixation or to say more exactly, decoding derived words. The work with the absolutely productive suffixes which have clearly expressed semantic unity should be carried out in both planes, receptive and productive. As for the productive suffixes with restricted word-building ability and less clear-cut semantic load it is advisable to work with them mainly in receptive plane. It is preferable to present maximum of information in the form of formulae and tables.



**Keywords**:

terms, neologisms, derived words, absolutely productive suffixes, scientific style, decoding of derived words, productive exercises, receptive exercises.

# პროდუქტიული სუფიქსური სიტყვაწარმოების სწავლება როგორც ტექნიკური სპეციალობების სტუდენტების ლექსიკური მარაგის გამდიდრების წყარო

*მარინა ზორანიანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი*
*კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო*
*ტელ.: 593 783 826*
E-mail: marinaziger@gmail.com

**რეზუმე**

სტუდენტების, რომელთა სპეციალობაც არ არის ფილოლოგია, ლექსიკური მარაგის გამდიდრება ძირითადად დაკავშირებულია ტერმინოლოგიასთან და ხორციელდება სამი მიმართულებით: ა) ზოგადი ლექსიკის ("go", "run" და ა.შ.) სპეციალური / ტექნიკური მნიშვნელობების შესწავლა; ბ) ტერმინების შესწავლა მათი ფართოდ-მეცნიერული მნიშვნელობით; გ) პროდუქტიული სუფიქსური სიტყვაწარმოების ან, უფრო ზუსტად, ნაწარმოები სიტყვების დეკოდირების სწავლება. სასურველია, სრულიად პროდუქტიულ სუფიქსებთან, რომელთაც აქვთ მკვეთრად გამოხატული სემანტიკური ერთობლიობა, მუშაობა განხორციელდეს როგორც რეცეპტულ, ისე პროდუქტიულ პლანში. რაც შეეხება შეზღუდული სიტყვაწარმოებითი უნარის მქონე პროდუქტიულ სუფიქსებს, რომლებსაც ნაკლებად მკვეთრი სემანტიკური დატვირთვა გააჩნიათ, მათზე მუშაობა სასურველია ჩატარდეს ძირითადად რეცეპტულ პლანში. შეგვიძლია, რეკომენდაცია მივცეთ პედაგოგებს, მიაწოდონ სტუდენტებს ინფორმაცია ფორმულებისა და ცხრილების სახით.

**საკვანძო სიტყვები**:

ტერმინები, ნეოლოგიზმები, ნაწარმოები სიტყვები, აბსოლუტურად პროდუქტიული სუფიქსები, სამეცნიერო თხრობის სტილი, ნაწარმოები სიტყვების დეკოდირება, პროდუქტიული სავარჯიშოები, რეცეპტული სავარჯიშოები.

# ინგლისური ენის სახელმძღვანელოების ლექსიკის შერჩევის პრინციპები

*მანანა ივანისელი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი*
*კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო*
*ტელ: 822 373 819*
E-mail: ivaniseli.manana@yandex.ru

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებისათვის ლექსიკური მარაგის შერჩევის მეთოდები. მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია პირობებსა და მოთხოვნებაზე,ასევე სწავლების დონეზე. სწავლებისას სტუდენტებმა უნდა აითვისონ ახალი ლექსიკური ერთეულების ფორმები და მნიშვნელობები და უნდა გამოიყენონ ისინი მეტყველების პროცესში (როგორც ზეპირი, ასევე წერითი მეტყველებისას).

გამოიკვეთა შიდა პრინციპი: 1. სემანტიკური პრინციპი, რომელიც გულისხმობს იმ სიტყვათა შერჩევას, რომლებიც გამოხატავენ იმ ძირითად ცნებებს, რომლებიც ხშირად ხვდება სტუდენტი; 2. სხვა სიტყვებთან მიმართების პრინციპი; 3. სტილისტიკური შეზღუდულობის პრინციპი; 4. სიხშირის პრინციპი; 5. სინონიმების გამორიცხვის პრინციპი; 6. სიტყვაწარმოების პრინციპი; 7. საერთაშორისო სიტყვათა გამორიცხვის პრინციპი.

**საკვანძო სიტყვები:**

ლექსიკა, პრინციპი, სემანტიკური, შეთავსებადობა, სტუდენტი

**შესავალი**

ენის ცოდნა ნიშნავს მისი სტრუქტურის და სიტყვების დაუფლებას. ამდენად ლექსიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ასპექტს, რომლის შესწავლაც ხდება უმაღლეს სასწავლებელში.

თანამედროვე ლინგვისტიკა განიხილავს ენას როგორც დონეთა სხვადასხვა რიგისაგან შემდგარ იერარქიულ სისტემას. ყოველი მათგანი, თავის მხრივ, ხასიათდება საკუთარი ენობრივი ნიშნებით. ლექსიკურ დონეზე ფუნქციონირებს ისეთი ერთეულები, როგორიცაა სიტყვები, ენაში დაფუძნებული გამოთქმები, კლიშეები.

სახელმძღვანელოს ლექსიკური მასალის შერჩევა უნდა მოხდეს სწავლების დონის პირობების და მოთხოვნების გათვალისწინებით. შესასწავლი ლექსიკური მინიმუმი, როგორც ექსპერიმენტებით დასტურდება, შეგვიძლია გავზარდოთ იქამდე, სანამ სტუდენტებს შეეძლებათ მისი დამახსოვრება, ათვისება და გამოყენება დამოუკიდებელი მუშაობის დროს.

სასწავლო კურსის მიხედვით სტუდენტებმა უნდა აითვისონ ამ ერთეულების მნიშვნელობები, ფორმები და შეძლონ მათი გამოყენება სამეტყველო აქტივობის სხვადასხვა სახეებში, ე.ი. უნდა დაეუფლონ ექსპრესიული მეტყველების ლექსიკური გაფორმების ჩვევებს, შეძლონ ლექსიკური ერთეულის გაგება მოსმენისა და კითხვისას.

**ძირითადი ნაწილი**

პროდუქტიული სამეტყველო აქტივობის (ლაპარაკი,წერა) განხორციელებისას აუცილებელია ლექსიკურ-აზრობრივი და ლექსიკურ-თემატიკური ასოციაციების ფლობა, ახალი სიტყვების უკვე ათვისებულ სიტყვებთან გამოყენება; ჩვეულებრივი სიტყვების არჩევა და განსაკუთრებულ სიტყვებთან შეთავსება; ანტონიმური და სინონიმური ჯგუფებიდან საჭირო სიტყვების ამორჩევა; ეკვივალენ-

ტების შენაცვლება; პროგნოზირება ფორმისა და შინაარსის დონეზე; სტრუქტურის გაფართოების და შემოკლების მექანიზმის ფლობა; მოლაპარაკის ინდივიდუალურ თავისებურებებთან შეგუება და სწრაფი რეაქცია; ენობრივი ნორმების დაცვით სიტყვების სწორი გამოყენება და სხვა.

რეცეპტიული სამეტყველო აქტივობისათვის (აუდირება, კითხვა) აუცილებელია: მოსმენილი მასალის სემანტიკასთან შეთავსება; შინაგან არტიკულაციაზე ყურადღების ნაკლებად გამახვილება; მსგავსი ფორმისა და ჟღერადობის მქონე სიტყვების ინფორმატორული ნიშნების მიხედვით დიფერენცირება; ომონიმური, სინონიმური და ანტონიმური მოვლენების დიფერენცირება; რეცეპტიული კომბინირების მექანიზმის ფლობა; სმენითმოტორული სახით გრაფიკულის (და გრაფიკული სმენით-მოტორულის) დაუყოვნებლივ განსაზღვრა. თუ ეს შესატყვისობები ექვემდებარება წესებს, სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ შემეცნების პროგნოზირებითა და ორიენტაციებით ახალ ან უკვე ათვისებულ ლექსიკაზე გარკვეული ქმედების უნარის ჩამოსაყალიბებლად.

ენობრივ ექსპრესიულ ჩვევებს მიაკუთვნებენ ზეპირ მეტყველებაში ურთიერთობათა სხვადასხვა სიტუაციებში კომუნიკაციის მიზნების მიხედვით, ინტუიციურად სწორი სიტყვების გამოყენების და სიტყვაწარმოების ჩვევებს.

აქედან გამომდინარე ლექსიკური სამეტყველო ჩვევა ორ ძირითად კომპონენტს შეიცავს: სიტყვების გამოყენებას და სიტყვების წარმოებას.

ლექსიკური ექსპრესიული სამეტყველო ჩვევების ფსიქოლოგიურ საფუძვლად გვევლინება ლექსიკური ავტომატიზირებული დინამიური კავშირები, როგორც სიტყვებისა და სიტყვაშეთანხმებების სემანტიკური და სმენით-საწარმოთქმო მოტორულ ნიმუშთა ერთობლიობა.

მეტყველების ფსიქოლოგიის მონაცემები გვიჩვენებს, რომ სამეტყველო ლექსიკური ავტონომიზმები არსებითად განსხვავდებიან გრამატიკულისაგან. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ლექსიკური ჩვევები ხასიათდებიან უფრო მეტი შეგნებულობით. მეტყველებაში ყველაზე მეტად შევიმეცნებთ შინაარსს, ე. ი. იმას, რაც უნდა ითქვას, რაც გამოიხატება სიტყვათა ამა თუ იმ არჩევანში, მათ შეთანხმებაში სხვა სიტყვებთან კომუნიკაციის მიზნებისდა მიხედვით.

ლექსიკური სამეტყველო ჩვევების გარდა გამოყოფენ ასევე ენობრივ, ანუ არასამეტყველო კომუნიკაციათა ლექსიკური მასალის ოპერირების დისკურსიულ-ლექსიკურ ჩვევებს: სიტყვათა ანალიზის ჩვევით ოპერაციებს, სიტყვაწარმოების ოპერაციებს, სიტყვაშეთანხმებების კონსტრუირებას. მეტყველების ლექსიკური ნაწილის სრულ დაუფლებაში იგულისხმება სამეტყველო და ენობრივი ლექსიკური ჩვევების დაუფლება.

განვითარებული სამეტყველო ჩვევის მტკიცედ ათვისების შესაძლებლობები მკაცრად განსაზღვრავს ლექსიკურ მასალას. ლექსიკური მინიმუმის ხელოვნური გადიდება უარყოფითად მოქმედებს ლექსიკის ფლობის ხარისხზე.

აქტიური ლექსიკური მინიმუმი წარმოადგენს ძირითად ლექსიკურ ბაზას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სტუდენტის შესაძლებლობა გაიგოს სხვისი აზრი და გამოხატოს საკუთარი აზრები, როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში თარგმნის გარეშე.

**ლექსიკური მასალის შერჩევის მთავარი პრინციპებია:**

1. სემანტიკური პრინციპი, რაც გულისხმობს იმ მთავარი ცნებების არჩევას, რომლებთანაც სტუდენტს უხდება შეხვედრა. ამ პრინციპის მიხედვით კერძო ცნებები და სპეციფიკური ტერმინები არ შედიან ლექსიკურ მინიმუმში (გამონაკლისია ყველაზე აუცილებელი ცნებები, რომლებსაც ვერ გამოვხატავთ სხვა სიტყვების საშუალებით, აღწერით);

2. სხვა სიტყვებთან მიმართების პრინ-

ციპი, რომლის მიხედვითაც ისეთ სიტყვებს მიეცემათ უპირატესობა, რომლებიც სხვა სიტყვებთან უფრო ფართო შესატყვისობის უნარით გამოირჩევიან. ეს აუცილებელია, იმდენად, რამდენადაც აქტიური ლექსიკის შედარებით შეზღუდული რაოდენობის პირობებში ისინი საშუალებას გვაძლევენ კარგად გამოვხატოთ და განვავითაროთ სხვადასხვა აზრი;

3. სტილისტიკური შეზღუდულობის პრინციპი, ე. ი. სიტყვების დაყოფა ლიტერატურულ, ნეიტრალურ, სალაპარაკო და წიგნობრივი სტილის სიტყვებად;

4. სიხშირის პრინციპი (ლექსიკურ მინიმუმში შედიან სიტყვები, რომლებიც უფრო ხშირად გამოიყენებიან სალიტერატუროსალაპარაკო ენაში);

5. სინონიმების გამორიცხვის პრინციპი, რაც გულისხმობს აქტიურ ლექსიკურ მინიმუმში სინონიმური რიგიდან მხოლოდ ერთ-ერთის, ყველაზე უფრო ფართედ გამოყენებადის შეტანას;

6. სიტყვაწარმოქმნის უნარის პრინციპი, რომლის მიხედვითაც აქტიურ მინიმუმში უნდა შედიოდეს სიტყვაწარმოქმნის უნარის მიხედვით ყველაზე პროდუქტიული სიტყვები, ე.ი., რომლებიდანაც აფიქსების საშუალებით ვაწარმოებთ ყველაზე დიდი რაოდენობის სიტყვებს;

7. წარმოქმნილი და რთული ინტერნაციონალური სიტყვების გამორიცხვის პრინციპი, ე. ი. ისეთი სიტყვებისა, რომლებიც მთლიანად ემთხვევიან შინაარსით უცხოურ სიტყვებს;

სიტყვათა გამოყენების სიხშირის პრინციპი წარმოადგენს სიტყვათა შერჩევისადმი წმინდა ლინგვისტური მიდგომის მაგალითს. ის სრულიად ობიექტურია, რის გამოც უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ის ყველაზე სწორი კრიტერიუმია. ეს პრინციპი განისაზღვრება სიტყვათა ხმარების შემთხვევების რაოდენობის დათვლით ისეთ მასალებში, როგორიცაა რომანები, მოთხრობები, ნარკვევები, გაზეთები, ტექსტები და ჟურნალები.

კითხვის ჩვევების განვითარებისათვის ჭირდებათ ე. წ. „სიტყვათა პასიური მარაგი“, ამიტომ ხდება სხვადასხვა დაბეჭდილი ტექსტების გაანალიზება სითყვათა გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით. სალაპარაკო ჩვევების განვითარებისათვის კი საჭიროა „სიტყვათა აქტიური მარაგი“. ამ შემთხვევაში ანალიზისათვის მასალად გამოიყენება ვიდეო და აუდიო საშუალებებზე ჩაწერილი სალაპარაკო ენა.

დანარჩენი პრინციპები უფრო დიდაქტიკური თვალსაზრისით არიან საინტერესო. ისინი სწავლების მიზნებს ემსახურებიან.

ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე შერჩეულ სიტყვებს შემდეგ ორ კლასად ყოფენ:

1. სიტყვები, რომელთა მეშვეობით ჩვენ ვლაპარაკობთ, ანუ სტრუქტურული სიტყვები;

2. სიტყვები, რომელთა შესახებაც ვლაპარაკობთ, ანუ ე. წ. ძირითადი (აზრობრივი) სიტყვები;

ლექსიკური მასალის შერჩევის პრინციპების თავისებურებების გათვალისწინებით, ისინი შესაძლოა სამ ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფად დავყოთ: I ჯგუფი – სტატისტიკური პრინციპები; II ჯგუფი – მეთოდური პრინციპები; III ჯგუფი – ლინგვისტური პრნციპები.

პირველი ჯგუფი აერთიანებს პრინციპებს, რომლებიც მოქმედებენ სტატისტიკური ნიშნებისა და მონაცემების მიხედვით.

ისინი საშუალებას გვაძლევენ განვსაზღვროთ ლექსიკური ერთეულების რაოდენობა და გამოვყოთ სიტყვები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება მოცემულ ენობრივ მასალაში.

ამ ჯგუფში შემავალი პრინციპებიდან ძირითადია სიხშირისა და გავრცელებულობის პრინციპი. სიხშირის ცნების ხმარებისას მხედველობაში გვაქვს მოცემულ წყაროში

ამა თუ იმ სიტყვის ხმარების საერთო ჯამი.

სიხშირის პრინციპს ორი ნაკლი გააჩნია: 1) ის გვაძლევს უტყუარ მონაცემებს ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვების პირველი ათასი ერთეულის ფარგლებში. ამ ვიწრო რაოდენობრივი პარამეტრების იქით ის კარგავს თავის მნიშვნელობას, რამდენადაც შემდეგში სიტყვათა გამეორებადობა უმნიშვნელოა; 2) ზოგიერთი სიტყვები ერთნაირი სიხშირით გვხვდებიან ყველა წყაროში, ზოგი კი შეიძლება უამრავი რაოდენობით გვხვდებოდეს ერთ წყაროში, მაგრამ საერთოდ არ მოიძებნებოდეს მეორეში.

გავრცელებულობის პრინციპს გააჩნია განსაზღვრული საზომი შესაძლებლობები, რამდენადაც იგი მიგვითითებს წყაროში სიტყვის გამოჩენის რეგულარობაზე და არა მის ხვედრით წონაზე მოცემულ წყაროთა რაოდენობაში. ამის გამო სიტყვათა შერჩევისას საჭიროა სიხშირისა და გავრცელებულობის მაჩვენებელთა კომპლექსური გამოყენება. მათემატიკური აპარატი, რომელსაც თანამედროვე ლინგვისტიკა ფლობს, ამ ორი კრიტერიუმის განსაკუთრებულად გამოყენების საშუალებას იძლევა: ისინი გამოიყენებიან არა როგორც დამოუკიდებელი ან კიდევ ერთმანეთის შემავსებელი მონაცემები, არამედ როგორც სიტყვის შეფასების საერთო ამოსავალი მაჩვენებელი. ასეთ საერთო მაჩვენებლად გვევლინება სიტყვათა გამოყენებადობა, რაშიც იგულისხმება სიტყვის შეხვედრის სიხშირე წყაროთა განსაზღვრულ რაოდენობაში განსაზღვრული სიხშირით. სიტყვათა გამოყენებადობა თავისთავში შეიცავს სიხშირესაც და გავრცელებულობასაც, როგორც ერთი მაჩვენებლის ორ თანასწორუფლებიან კომპონენტს. მისი გამოთვლა ხდება სპეციალური ფორმულით, ე.წ. სტაბილურობის კოეფიციენტით, რომელიც სიტყვათა გამოყენების საზომად გვევლინება.

სწორედ გამოყენებადობა იძლევა სიტყვათა აუცილებელ დახასიათებას, რომელსაც უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა იყენებს საორიენტაციოდ.

სტაბილურობის კოეფიციენტი არ გვევლინება სიტყვათა გამოყენებადობის ერთადერთ საზომად. ამ მხრივ განსაზღვრული შესაძლებლობები გააჩნია ე.წ. არსებულობის პრინციპს (ადამიანის შეგნებაში გამოიყოფა შედარებით ფართოდ გამოყენებადი სიტყვები, რომლებიც მოცემულია მის გონებაში და მუდმივ მზადყოფნაშია მეტყველებაში გამოსაყენებლად).

პრინციპების მეორე ჯგუფის ორიენტაცია ხდება სწავლების მიზნებზე და აქედან გამომდინარე სიტყვათა მიკუთვნებაზე ამა თუ იმ თემასთან, რაც პროგრამაშია ფიქსირებული. ამ ჯგუფში დადგენილ თემატიკასთან კავშირის პრინციპის გარდა შედიან ცნებათა აღწერის და აგრეთვე სემატიკური პრინციპები. ეს უკანასკნელი პრინციპი გულისხმობს ლექსიკურ მინიმუმში ისეთი სიტყვების შეტანას, რომლებიც არა მხოლოდ შეესატყვისებიან შესასწავლ თემატიკას, არამედ გამოხატავენ მის ყველაზე მნიშვნელოვან ცნებებს.

მესამე ჯგუფში შედიან ლინგვისტური, კერძოდ კი სიტყვაშეთანხმების, სიტყვათწარმოქმნის და მრავლმნიშვნელობიანობის პრინციპები.

**დასკვნა**

რომელი პრინციპით უნდა ვისარგებლოთ ლექსიკური მასალის შერჩევისას ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სწავლების მიზნები, პირობები, მინიმუმის მოცულობა, აქტიურ მარაგს მიეკუთვნება სიტყვა თუ პასიურს და სხვა.

აქტიური ლექსიკის შერჩევისას გამოიყენება I და II ჯგუფების პრინციპები და აგრეთვე III ჯგუფის ზოგიერთი პრინციპი,

როგორიცაა სინონიმთა გამორიცხვა, შეთანხმება, სიტყვათწარმოქმნა, მრავალმნიშვნელობიანობა.

პასიური ლექსიკის შერჩევისას გამოიყენება I ჯგუფის პრინციპები და აგრეთვე სიტყვათა სემანტიკური სიტყვათწარმომქმნელი შესაძლებლობები, მათი მრავალმნიშვნელობიანობა და ამა თუ იმ თემასთან მიკუთვნება.

რაც შეეხება ლექსიკის შერჩევის პროცედურას, პასიურ ლექსიკაზე მუშაობა ხდება წერითი წყაროებიდან სიტყვების ამორჩევით. აქტიურ ლექსიკაზე მუშაობისას კი, სიტყვებს ვარჩევთ წერითი დიალოგური მეტყველების ანალიზის საფუძველზე, ანდა სალაპარაკო-ლიტერატურული მეტყველების საფუძველზე, რომელიც ჩაწერილია ბუნებრივ სიტუაციაში.

### ლიტერატურა

1. "ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა" მ. კრავეიშვილი განათლება 1979 წ.

2. Шатилов Е. (1974): Иностранные языки в школе

## Principles English Textbooks and its Vocabulary Selection

*Manana Ivaniseli*
*Georgian Technical University*
*Department of Liberal Sciences*
*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*
*Tel.: 822 373 819*
E-mail: ivaniseli.manana@yandex.ru

**Abstract**

The article deals with the methods of selecting vocabulary for English textbooks. Selection methods depend on conditions, requirements, as well as the level of education. During the course students should acquire the forms and meaning of new lexical units and they should use them in their own speech (oral and writing). As a result of this work the following principles of selecting vocabulary have been identified: 1)semantic principle which means selecting words which express the main notions students often come across with; 2) Principle of compatibility with other words; 3)The principle of stylistically limited words; 4) The principle of frequency; 5)The principle of excluding synonyms; 6)The principle of wordbuilding; 7)The principle of excluding international words.

**Keywords:**

Vocabulary, principle, semantical, accordance, student.

## Принципы выбора лексики учебников английского языка

*Иванисели Манана*
*Грузинский Технический Университет*
*Департамент либеральных наук*
*Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия*
*Тел: 822 373 819*
E-mail: ivaniseli.manana@yandex.ru

**Резюме**

В статье рассматриваются методы подбора лексического материала для англоязычных учебников. Подбор методов зависит от условий и требований, а также от уровня обучения. Во время курса обучения студенты должны усвоить формы и зтачения новых лексических едениц и должны использовать их в собственной речи (как устной, так и письменной). Выделено следующих 7 принципов: 1) семантический принцип, который подразумевает подбор тех слов, которые выража-

# მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესი და ეთიკა

*დოდო ლაბუჩიძე*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი*
*ჯ. ბაგრატიონის ქ. №6, თბილისი, საქართველო*
*ტელ: 591 605 948*
E-mail: dodolaboutchidze@yafoo.fr;
dodolaboutchidze@mail.ru

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ფრანგული განმანათლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ჟან ჟაკ რუსოს (1712-1778) მოსაზრებები მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესის შესახებ. რუსო საკითხს განიხილავს ეთიკის ჭრილში, არ უარყოფს პროგრესის როლს თავად მეცნიერებებისა და ხელოვნებების განვითარებაში. რუსოს სურვილია, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესი იყოს საზოგადოების ზნეობრივი და სამოქალაქო განვითარების საწინდარი.

**საკვანძო სიტყვები:**

პროგრესი, სიქველე, განმანათლებლობა, მეცნიერება, ხელოვნება, განათლება, ზნეობა, სიბრძნე, ცივილიზაცია, ჰარმონიული საზოგადოება.

**შესავალი**

მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის პროგრესის მნიშვნელობის წარმოსაჩენად საფრანგეთის აკადემიები (რომელთა რიცხვი XVIII საუკუნეში ორმოცს აღწევდა) ყოველწლიურად აცხადებდნენ საკონკურსო თემებს. 1749 წელს დიჟონის აკადემიის მიერ გამოცხადებული საკონკურსო თემის პასუხად, კონკურსის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „შეუწყო თუ არა ხელი მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებამ ზნე-ჩვეულებათა გაუმჯობესებას“. ერთი წლის შემდეგ აკადემიის მიერ დაწესებული პრემია მიეკუთვნა რუსოს ნაშრომს – „მსჯელობა მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ“. განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესის შესახებ თავის ნააზრევს რუსომ სხვა სიღრმე და თეორიული საფუძვლიანობა მიანიჭა, ბრწყინვალე ლიტერატურული ფორმა მისცა და განსჯისათვის ფართო საზოგადოებას მცირე მოცულობის ტრაქტატის სახით შესთავაზა.

საზოგადოებრივი ცხოვრების რეორგანიზაციისა და ადამიანთა შორის გონივრული ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით ფრანგი განმანათლებლები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანთა მთელი მასის განათლებას, საზოგადოების ევოლუციის პირობად კი მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესს მიიჩნევდნენ. რუსოს ღრმა რწმენით, ხსენებულ პროგრესს ასევე უნდა შეეწყო ხელი საზოგადოების მორალური განსპეტაკებისთვისაც, რადგან გონივრული ბედნიერების იდეალის განხორციელება [მხოლოდ] ადამიანთა კეთილი ბუნებრივი ინსტინქტების განვითარებით მიიღწევა. შესაბამისად, რუსომ საკითხი განიხილა ეთიკის, საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმის, ჭრილში და დასმულ კითხვას უარყოფითი პასუხი გასცა.

იმხანად ფრანგული სინამდვილისათვის რუსოს ანალიზი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა, რადგან მეცნიერებისა და ხელოვნების უარყოფით გავლენაზე ლაპარაკი არათუ მოულოდნელი, არამედ ძალზე უცნაური, პარადოქსული გაუგებრობა იყო. ბიზანტიაში კონსტანტინეს ტახტის დაცემის შემდეგ, „ძველი საბერძნეთის ნარჩენები იტალიაში იქნა გადატანილი, ამ ძვირფასი ნადავლით, თავის მხრივ, საფრანგეთიც გამდიდრდა. ლიტერატურას მალევე მოჰყვა მეცნიერებები, წერის ხელოვნებას აზროვნე-

ბის ხელოვნება დაემატა“*; ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესს. „თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა ქომაგად“ წოდებული რუსოს წრფელი სურვილი ნაკარნახევი იყო „თავისუფლების იმ დასაბამიერი ბუნებრივი გრძნობის“ აღორძინებით, ბევრად უფრო დიდი ძალმოსილების მქონე მეცნიერება და ხელოვნება ადამიანებს მონური ყოფის სიყვარულს რომ „აიძულებდნენ და ცივილიზებულად წოდებულ ხალხებად გარდაქმნიდნენ“**. ჟან ჟაკ რუსო მტრული პუბლიკაციების უშუალო სამიზნედ იქცა; გამოქვეყნდა რუსოს საპასუხო პუბლიკაციებიც. 1752 წელს (დიჟონის აკადემიის მწარე გაკვეთილის შემდეგ) ფრანგული აკადემიის კატეგორიული მოთხოვნით გამოცხადდა საკონკურსო თემა: „წიგნიერების სიყვარული სიქველის სიყვარულის შთამაგონებელია“.

### ძირითადი ნაწილი

რუსო არ უარყოფს პროგრესის როლს თავად მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში. მსჯელობის დასაწყისშივე იგი წერს: „საერთოდ არ შეურაცხვყოფ მეცნიერებას; მე ვიცავ სიქველეს ქველი ადამიანების წინაშე. პატიოსნება ბევრად უფრო ძვირფასია კეთილსინდისიერი ადამიანებისათვის, ვიდრე განსწავლულობა სწავლულთათვის“.***მაგრამ, რაკი ეთიკური თეორიების დიდი ნაწილი მოქმედების მორალურობას, ფაქტობივად, მისი განხორციელების მოტივებით აფასებს, ამდენად, რუსოს სურვილია, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესი იყოს საზოგადოების ზნეობრივი და სამოქალაქო განვითარების საწინდარი. მისი დებულების თანახმად, მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესის კვალობაზე სიქველის შესანარჩუნებლად ადამიანები კვლავ ბუნებას უნდა დაუახლოვდნენ, რადგან ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თავისუფალი, კეთილი, ყველა სხვა ადამიანთა თანასწორი იყო; მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების შედეგად ადამიანები თანდათან დაშორდნენ ბუნებას, მათ ურთიერთობაში თანდათან გაბატონდა ხელოვნურობა და პირფერობა, თავი იჩინა ეგოიზმმა, ცინიზმმა, ბოროტებამ. იმ ზღვარს კი, რომელსაც პროგრესის კვალობაზე მეცნიერება და ხელოვნება ავლებდა ადამიანსა და ბუნებას შორის, საზოგადოებაში თავისუფლების, ადამიანთა შორის ოდინდელი წრფელი და უანგარო ურთიერთობების გაუჩინარება მოჰყვა. ამგვარი რეფლექსიების შემდეგ, ბუნებითი ყოფის ქომაგი რუსო გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესით ადამიანთა ბედნიერებას არაფერი შემატებია და სინანულით დასძენს: „აღარც წრფელი მეგობრობაა, აღარც ნამდვილი პატივისცემა, აღარც უპირობო ნდობა. ეჭვი, უნდობლობა, შიში, გულცივობა, ფარული აზრები, თავშეკავება, სიძულვილი, ღალატი გამუდმებით იმალებიან თავაზიანობის იმ ერთგვაროვანი და ვერაგი, ესოდენ ქებული ზრდილობის საფარქვეშ, ჩვენი საუკუნის განათლებას რომ უნდა ვუმადლოდეთ“.****

თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების მწვავე კრიტიკოსი რუსო ძალზე მკვეთრ მოსაზრებას გამოთქვამს იმის შესახებ, თუ როგორ გაიხრწნა ადამიანის სული მეცნიერებისა და ხელოვნების სრულყოფილების ზრდის კვალობაზე; „რაც უფრო ძლიერდებოდა მათი [მეცნიერებისა და ხელოვნების] სინათლე ჩვენს ჰორიზონტზე, მით უფრო უჩინარდებოდა სიქველე; [...] ზნეთა ხრწნამ კი გემოვნების სიწმინდე შებღალა; ხელოვნებისა და მეცნიერების განახლების შემდეგ ჩვენ გვყავს ფიზიკოსები, გეომეტრიის სპეციალისტები, ქიმიკოსები, ასტრონომები, პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, თუმცა მოქალაქეები აღარ გვყავს; ან, თუ

* ჟან ჟაკ რუსო (2014): „მსჯელობა მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ“, „აგორა“. თბილისი. გვ. 31.
** იხ. იქვე, გვ. 33
*** იხ. იქვე, გვ. 27
****იხ. იქვე,, გვ.38.

კიდევ შემორჩნენ, გავერანებულ სოფლებში მიმოფანტულნი, იქ იღუპებიან უპატივცემულობასა და სიღატაკეში“*. განსაკუთრებით მკვეთრად ილაშქრებს რუსო საკუთარ ჭეშმარიტებაში დარწმუნებული იმ უსარგებლო და წარუმატებელი, მედროვე ენამჭევრების წინააღმდეგ, რომლებიც „დამღუპველი პარადოქსებით შეიარაღებულნი ყოველი მხრიდან გვიტევენ, თავად რწმენის საფუძვლებს ძირს უთხრიან და სიქველეს სპობენ. მათ გულისამრევად ეღიმებათ ამ ძველი სიტყვების – სამშობლო, რელიგია – გაგონებაზე, თავიანთ ნიჭსა და ფილოსოფიას წარმართავენ ყოველივე იმის ნგრევისა და შელახვისაკენ, რაც კი საკრალურია ადამიანებისათვის“** და მიმართავს ძლიერთ ამა ქვეყნისათ: „ძლიერნო ამა ქვეყნისანო! გიყვარდეთ ტალანტები და მფარველობა გაუწიეთ მათ, ვინც მეცნიერებასა და ხელოვნებას ანავითარებენ“!***

ამგვარი რეფლექსიების შემდეგ,იმის სურვილით, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესი, იმავდროულად, საზოგადოების ზნეობრივი განვითარების საწინდარიც იყოს, რუსო წერს: „რა სასიამოვნო იქნებოდა ცხოვრება ჩვენში, გარეგნული სახე მუდამ ნამდვილ სულიერ განწყობათა გამოხატულება რომ ყოფილიყო, ზრდილობა – სიქველისა, ჩვენი მაქსიმები – ქცევის სახელმძღვანელო წესებისა, ჭეშმარიტი ფილოსოფია კი – ფილოსოფოსის სახელისაგან განუყოფელი!“****.

მსჯელობის დასარულს რუსო მიმართავს უბრალო სულთა უმაღლეს მეცნიერებას სიქველეს – უმაღლეს სიკეთეს, პიროვნების სტრუქტურის აბსტრაქტულ კომპონენტს, რომელსაც მედიდური მეცნიერება საფრთხეს უქადის და კითხულობს: „ნუთუ მართლაც ამდენი ძალისხმევაა საჭირო შენს შესაცნობად? ნუთუ შენი პრინციპები ყველას გულში არ არის აღბეჭდილი? ნუთუ შენი კანონების შესაცნობად საკუთარ თავში ჩაღრმავება და სინდისის ხმისთვის ყურის მიგდებაც არ კმარა, როცა ვნებები დუმან? აი, ნამდვილი ფილოსოფია, ვისწავლოთ მისით კმაყოფილება; და სწავლულთა რესპუბლიკაში უკვდავყოფილი ადამიანებისადმი შურლის გარეშე შევეცადოთ, მათსა და ჩვენს შორის დავადგინოთ ის საპატიო განსხვავება, ოდესღაც ორ დიდ ხალხს შორის რომ შეინიშნებოდა: ერთმა მათგანმა კარგად ლაპარაკი იცოდა, მეორემ კი – კარგად მოქმედება“.***** ორი დიდი ხალხის სახით რუსოს ნაგულისხმევი ჰყავს ბერძნები და რომაელები.

ასე განიაზრა ჟან ჟაკ რუსომ ზემოთ დასმული საკითხის პრობლემურობა. მოგვიანებით, რუსოს ხსენებული ტრაქტატი ორ სხვა ტრაქტატთან [იგულისხმება „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ“ (1755) და „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (1762)] ერთად, აზროვნების ისტორიაში რუსოიზმის სახელით შევიდა. ფრანგული სოციოლოგიის ფუძემდებელმა ემილ დიურკემმა სწორედ მათი ავტორობის საფუძველზე უწოდა რუსოს „სოციოლოგიის წინამორბედი“. რუსოს იდეებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის მრავალი ქვეყნის, მათ შორის XVIII-XIX საუკუნეების ქართული კულტურის,მწერლობისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე; ამ პერიოდის ქართული მწერლობისა და ფილოსოფიური აზროვნების აღორძინება,არსებითად,„ევროპეიზმის“ დანერგვის მოსურნე პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო და საერო პირთა საგანმანათლებლომთარგმნელობითმა მოღვაწეობამ განაპირობა. რუსოს ტრაქტატები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ შემეცნებითი ღირებულება და აქტუალობა, ისწავლება დასავლეთ ევროპის, ამერიკისა და საქართველოს მრავალი უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე.

* იხ. იქვე, გვ. .43.
** იხ. იქვე, გვ. .82-83.
*** იხ. იქვე, გვ. .33.
**** იხ. იქვე, გვ. .35.

***** იხ. იქვე, გვ. 127-129.

**დასკვნა**

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ყოველი დიდი მოღვაწე თავისი ეპოქის პირმშოა. რუსო, რომელიც აზროვნების ისტორიაში შევიდა როგორც თავისი დროის კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მწვავე კრიტიკოსი, იმ მოაზროვნეთა რიგს განეკუთვნება, რომლებიც, ქართველი ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის თანახმად, „გამოთქვამენ ერთი შეხედვით მოულოდნელ, უცნაურ, პარადოქსულ აზრებს და თითქოს უხვევენ გაკვალული გზიდან. მერე აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათ შეუმჩნევიათ ისეთი რამ, რაც ადრე შემჩნეული არ იყო და ჩვენს აზროვნებას აიძულებენ უფრო ღრმად, საფუძვლიანად და მრავალმხრივად იკვლიოს პრობლემები"*.

**ლიტერატურა** :


1. რუსო ჟ. ჟ. „მსჯელობა მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ", აგორა. თბილისი, 2014.

2 Dictionnaire de philosophie, Larousse, 2001.

3. Crogiez Michèle, *Rousseau et le paradoxe,* Champion, 1999.

4. Trousson Raymond, *J. J. Rousseau. Mémoire de la critique,* Presses universitaires de la Sorbonne, 2000.


## Прогресс и этика науки и исскуства


*Лабучидзе Додо Акакиевна*
*Университет им. Гр. Робакидзе*
*Институт философии и социальных наук*
*ул. Дж. Багратиони №6, Тбилиси, Грузия.*
*Тел. 891 605 948*
E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr
dodolaboutchidze@mail.ru


* ჟან ჟაკ რუსო, „საზოგადოებრივი ხელშეკრულება", შესავალი, გვ. 8.


**Резюме**

В статье рассмотрены рефлексии виднейшего представителя французского Просвещения Ж.Ж. Руссо (1712-1778) о прогрессе науки и исскуства. Автором вопрос рассмотрен с точки зрения этики. Руссо не отрицает роль прогресса в развитии науки и исскуства. Высказывает желаемую мысль о том, что прогресс науки и исскуства должен содействовать прогрессу общественной нравственности и гражданским навыкам.



**Ключевые слова:**

Демократия, децентрализация власти, инновация, законодательная система, судебная власть, исполнительная власть, социальный строй.


## The Progress and Ethics of Science and Art


*Dodo Labuchidze*
*Grigol Robakidze State University*
*Institute Of Philosophy and Social Sciences*
*6, St. of J. Bagrationi, Tbilisi Georgia*
*Mobile number:891.605.948*
E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr
dodolaboutchidze@mail.ru



**Abstract**

The paper represents the considerations of the representative of French Enlightenment – Jean-Jacques Rousseau about the progress of science and ethics. Rousseau discusses the question from the viewpoint of ethics without ignoring the role of progress in the development of science and art. Rousseau wishes the progress of science and art to be the precondition of moral and civil development of the society..



**Keywords**:

progress, Enlightenment, science, art, education, moral, wisdom, civilization, harmonic society.

# მსოფლიოს კულტურული სურათის განსაზღვრება

*მედეა სვანი*
*საქართველოს უნივერსიტეტი*
*ენების დეპარტამენტი*
*კოსტავას ქ.№77ა, 0175, თბილისი, საქართველო*
*ტელ.: 597 755 127*
E-mail: medea_svani@yahoo.com

**რეზიუმე**

სტატიაში კულტურა განიხილება როგორც ადამიანების თანამშრომლობის პროდუქტი - მათი კოლექტიური თანაარსებობის, წესებისა და ადათების სისტემა. აღნიშნული სისტემა იქმნება გარკვეულ ტერიტორიაზე ადამიანების თანაცხოვრების, ეკონომიკური საქმიანობისა და გარეშე მტრისგან ერთობლივი თავდაცვის მიზნით. შესაბამისად, ადამიანები იზიარებენ საერთო წარმოდგენებს სამყაროს, ცხოვრების წესის, ურთიერთობის, ჩაცმულობის, კულინარიისა და ა.შ. შესახებ.

სამყაროს კულტურული სურათი სპეციფიკური და განსხვავებულია სხვადასხვა ერებისათვის, რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: გეოგრაფიით, კლიმატით, გარემოთი, ისტორიით, სოციალური სტრუქტურით, რწმენებით, ტრადიციებით, ცხოვრების წესით და ა.შ. გარდა ამისა, თითოეული ისტორიული ეპოქა აყალიბებს სამყაროს მისეულ სურათს.

კულტურათა შორის კავშირების განვითარება ხელს უწყობს მათ შორის სხვაობის გაქრობას, რაც მოიტანა მეოცე საუკუნემ - კომპიუტერიზაციის ეპოქამ.

**საკვანძო სიტყვები**:

კულტურა, წარმოდგენა სამყაროზე, ცხოვრების წესი, სამყაროს სურათი, რწმენები, ტრადიციები.

**შესავალი**

კულტურა ადამიანების ერთობლივი სიცოცხლისუნარიანობის პროდუქტია, ეს არის მათი კოლექტიური თანაცხოვრების შეთანხმებული საშუალებების, მოწესრიგებული ნორმების, წესების სისტემა. მოცემული სისტემა ფორმირდება ადამიანების გარკვეულ ტერიტორიაზე ერთად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრების შედეგად, სამეურნეო საქმიანობისას, უცხო მტრისაგან თავდაცვის მიზნით. ეს ყველაფერი ადამიანებში აყალიბებს ერთიან მსოფლმხედველობას, ცხოვრების საერთო წესს, ურთიერთობის მანერას, ჩაცმულობის სპეციფიკას, კულინარიის თავისებურებებს და ა. შ.

მაგრამ ყოველი ეთნიკური კულტურა არ წარმოადგენს შესაბამისი ეთნოსის ადამიანების სიცოცხლისუნარიანობის აქტების მექანიკურ ჯამს. მის ბირთვს შეადგენს „წესების ნაკრები" რომლებიც ჩამოყალიბდა მათი კოლექტიური თანაცხოვრების პროცესში. ადამიანის ბიოლოგიური თავისებურებებისაგან განსხვავებით ეს „თამაშის წესები" არ არის გენეტიკური მემკვიდრეობა, არამედ მათი ათვისება ხდება დასწავლის გზით. ამ მიზეზით შეუძლებელია ერთიანი უნივერსალური კულტურის არსებობა, რომელიც გააერთიანებს ყველა ადამიანს დედამიწაზე.

**ძირითადი ნაწილი**

ჯერ კიდევ ძველმა მოაზროვნეებმა (ჰეროდოტემ, თუკიდიდემ), რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ისტორიული აღწერებით, შენიშნეს, რომ ყოველ კულტურას აქვს სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა ხალხების კულტურისაგან. იზრდება რა ცხოვრების სპეციფიკურ პირობებში (გეოგრაფიული, ისტორიული, ტე-

ქნოლოგიური, ყოფითი და ა. შ.), კულტურა აყალიბებს თავის ისტორიას, შეიმუშავებს თავის ენას, თავის მსოფლმხედველობას. კულტურის ყოფიერების მთელი სიმდიდრე, ერის არსებობის ერთიანობა განსაზღვრავს სამყაროს შეცნობისა და მასში არსებობის ხერხს. სამყაროს ამ სპეციფიკური ხედვის შედეგი, რომელშიც ბინადრობს ადამიანი, არის სწორედ მსოფლიოს კულტურული სურათი.

მსოფლიოს კულტურული სურათი არის ერთობლიობა რაციონალური ცოდნისა და წარმოდგენებისა საკუთარი კულტურისა და სხვა ხალხების კულტურათა ფასეულობების, ნორმების, წეს-ჩვეულებების, მენტალიტეტის შესახებ, ეს არის სისტემა წარმოდგენებისა სამყაროს მოწყობის, ცოდნისა და მასში ადამიანის ადგილის შესახებ.

მსოფლიოს კულტურული სურათი თავის გამოხატულებას ჰპოვებს კულტურული მოვლენების მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებაში, მოიცავს პიროვნების, მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ წარმოდგენებს თავისუფლებასა და თანასწორობაზე, ღირსებაზე; აგრეთვე სიკეთესა და ბოროტების შესახებ წარმოდგენებს, უფლებებსა და შრომის შესახებ, ოჯახისა და სექსუალური ურთიერთობების, თავისებურებებს; ისტორიის მიმდინარეობის, ახალისა და ძველის ურთიერთობას. სიკვდილისა და სულის შესახებ წარმოდგენებს. მსოფლიოს კულტურული სურათი გადაეცემა თაობიდან თაობას, განიცდის ტრანსფორმაციას საზოგადოების განვითარებასთან ერთად, იგი ამოუწურავია შინაარსით და წარმოადგენს ადამიანის ქცევის საფუძველს.

ამა თუ იმ ერის კულტურის თავისებურებები შეიძლება გამოვლინდეს ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში: ბიოლოგიური, მატერიალური ან სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, ქცევის ბუნებრივ ჩვევებში, ჩაცმისა და საცხოვრისის ტიპებში, სამუშაო იარაღის სახეობებში, შრომითი ოპერაციების ხერხებში და ა. შ.

კულტურული სურათი ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რას ნიშნავს სამყარო ადამიანისათვის, რომელიც ცხოვრობს მასში და ყველაზე პრიმიტიულ სასიცოცხლო მოთხოვნილებებსაც კი ადამიანი იკმაყოფილებს მკაცრად განსაზღვრული წესით.

სერიოზული კულტურული განსხვავებებია სხვადასხვა ხალხებში საკვების მიღების პროცესსა და მის რაოდენობაში, მაგიდასთან ქცევის წესებში, სტუმრის მიმართ ყურადღების გამოვლენაში და ა. შ. იკმაყოფილებს რა შიმშილს და წყურვილს, ადამიანი იცავს დამკვიდრებულ ტრადიციებს, რაც დამახასიათებელია მისი კულტურისათვის: იგი იყენებს განსაზღვრულ საგნებს, მისდევს მომზადების განსაკუთრებულ პროცედურებს და საკვების მიღების რიტუალს. ტრაპეზი, ამგვარად, ადამიანისთვის იძენს განსაკუთრებულ რიტუალურ და სიმბოლურ მნიშვნელობას.

მაგალითად, რუსებს ტრადიციისამებრ პირდაპირ მაგიდასთან მიჰყავთ სტუმარი, რაც აკვირვებს ამერიკელებს, ვინაიდან მათთან ვახშამს წინ უსწრებს საუბარი ღვინის ბოკალით ხელში და მსუბუქი საკვები. მაგიდასთან რუსებს თითოეული სტუმრისათვს თეფშზე მიაქვთ მრავალფეროვანი საჭმელი და ცხელი ულუფა მაშინ, როცა ამერიკაში საჭმელს გადააწოდებენ წრეზე, რათა თითოეულმა სტუმარმა გადაიღოს თავის თეფშზე საჭირო რაოდენობის ულუფა. რუსი დიასახლისები ძალიან ცდილობენ კარგად გამოკვებონ სტუმრები, რაც ამერიკელების კულტურისათვის მიუღებელია.

ადამიანის როგორც განსაზღვრული კულტურის სუბიექტის ყოველი სასიცოცხლო გამოვლინება ფიქსირდება ამა თუ იმ წეს-ჩვეულებებით, რიტუალებით, ნორმებით, რომლებიც არიან კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტები და არეგულირებენ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის

დროისა და სივრცით პროცესებს.

ხშირად ერები, რომლებიც ცხოვრობენ მსგავს გეოგრაფიულ პირობებში, ერთმანეთის მეზობლად სახლებს აშენებენ სხვადასხვაგვარად. ჩრდილოელი რუსები ტრადიციულად სახლებს აშენებენ ქუჩისკენ გვერდულად, ხოლო სამხრეთელები – ქუჩის გასწვრივ. ბალყარელები, ოსები და ყარაჩაელები მრავალი საუკუნეა ცხოვრობენ კავკასიაში ერთმანეთის მეზობლად, თუმცა ერთნი აშენებენ ქვის ერთსართულიან სახლებს, მეორენი – ორსართულიანს, ხოლო მესამენი კი – ხის სახლებს.

ადამიანის ცხოვრება ამოუწურავად მდიდარია, მრავალწახნაგა და მრავალფენიანია. მისი ზოგიერთი მომენტი, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დაკავშირებულია პირველად შეგრძნებებთან, დაბადებული ადამიანის სამყაროში რეალიზების პირველ მცდელობებთან, არ ექვემდებარება რაციონალურ კონტროლს და წარმოიქმნება გაუთვითცნობიერებლად. ამიტომ ცნება „მსოფლიოს კულტურული სურათი" გამოიყენება სიტყვის ფართო და ვიწრო გაგებით.

მსოფლიოს კულტურული სურათის ვიწრო გაგებაში, ჩვეულებრივ, მოიაზრებენ პირველად ინტუიციას, ნაციონალურ არქეტიპებს, გამომსახველობით წყობას, დროისა და სივრცის აღქმის ხერხებს, „ნათელ", მაგრამ დაუდასტურებელ მტკიცებულებებს, არამეცნიერულ ცოდნას. მის ფართო გაგებაში, გარდა ჩამოთვლილი ელემენტებისა, მოიაზრებენ მეცნიერულ ცოდნასაც.

მსოფლიოს კულტურული სურათი სპეციფიკურია და განსხვავდება სხვადასხვა ხალხებში. ეს განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით: გეოგრაფიით, კლიმატით, ბუნებრივი პირობებით, ისტორიით, სოციალური წყობით, აღმსარებლობით, ტრადიციებით, ცხოვრების წესით და ა. შ. გარდა ამისა, ყოველ ისტორიულ ეპოქას აქვს თავისი მსოფლიო სურათი, თანაც არცერთი მათგანი არ ჰგავს ერთმანეთს.

თუმცა შეიძლება გამოვყოთ მსოფლიოს უნივერსალური სურათი, რომელიც ახასიათებს კაცობრიობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად აბსტრაქტული იქნება. ამგვარად, ყველა ადამიანს ახასიათებს, როგორც ჩანს, თეთრისა და შავის ბინარული ოპოზიცია, მაგრამ ერთი ჯგუფისათვის თეთრი იქნება დადებითი საწყისის – სიცოცხლის, ხოლო შავი – უარყოფითი საწყისის – სიკვდილის შესაბამისი; მეორე ჯგუფისთვის კი, მაგალითად, ჩინელებისთვის, პირიქით. ნებისმიერ ერს თავისი ექნება წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე, ნორმებსა და ფასეულობებზე, მაგრამ ყოველ ერს ეს წარმოდგენები ექნება განსხვავებული.

მსოფლიოს სურათი ყველა პიროვნებას ასევე ექნება თავისი და, უპირველეს ყოვლისა, იგი დამოკიდებული იქნება მის ხასიათზე: სანგვინიკს იგი ერთგვარი აქვს, ფლეგმატიკს – სრულიად სხვაგვარი.

უნდა გავითვალისწინოთ ასევე, რომ მსოფლიოს სურათი დამოკიდებულია ენაზე, რომელზეც საუბრობს მისი მატარებელი და პირიქით, მსოფლიოს სურათის ძირითადი მომენტები ყოველთვის აისახება ენაში. რა თქმა უნდა, მსოფლიოს კულტურული სურათი უფრო სრული, სიღრმისეული და მდიდარია, ვიდრე მსოფლიოს ენობრივი სურათი. ამასთან, მსოფლიოს კულტურული სურათი პირველადია ენობრივთან შედარებით, მაგრამ სწორედ ენაში ვერბალიზდება, რეალიზდება მსოფლიოს კულტურული სურათი, ინახება და გადაეცემა თაობიდან თაობას. ენას შეუძლია აღწეროს ყველაფერი, რაც არის მსოფლიოს კულტურულ სურათში: გეოგრაფიის, კლიმატის, ისტორიის, ცხოვრების პირობების თავისებურებები და ა. შ.

აი ტიპური მაგალითი ენების ურთიერთქმედების სფეროდან. როგორ აღნიშნავენ სხვადასხვა ენებში ფერებს? ცნობილია, რომ ადამიანის თვალის ბადურა გარდა ინდივიდუალური პათოლოგიური გადახრებისა ფერს აფიქსირებს აბსოლუტურად ერთნაირად, მიუხედავად იმისა, ვისი თვალი აღიქ-

ვამს ფერს – არაბის, ებრაელის, ჩუქჩის, რუსის, ჩინელის თუ გერმანელის. მაგრამ ყოველმა ენამ დააწესა საკუთარი სისტემა და ეს სისტემები ხშირად ვერ რიგდებიან ერთმანეთში. მაგალითად, ესკიმოსების ენაში თოვლის სახეობებისა და ტონების აღსანიშნავად არსებობს სიტყვის „თეთრი" 14-20 სინონიმი. ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანი ვერ არჩევს ფერებს – „ცისფერი" და „ლურჯი", რუსულად მოლაპარაკისაგან განსხვავებით. მაგრამ ამგვარი განსხვავებები არა მარტო ფერთა გამას ეხება, არამედ გარემომცველი სინამდვილის სხვა საგნებსა და მოვლენებსაც. არაბულ ენაში არსებობს აქლემის აღსანიშნავი რამდენიმე სიტყვა: არსებობს დაღლილი აქლემის ცალკეული დასახელებები, ორსული აქლემისა და ა. შ.

მჭიდრო კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების არსებობა ენასა და მის მატარებელს შორის არ იწვევს ეჭვებს. ენა უწყვეტად არის დაკავშირებული იმ სამეტყველო კოლექტივის ცხოვრებასა და განვითარებასთან, რომელიც მას იყენებს როგორც უთიერთობის საშუალებას.

ენის საზოგადოებრივი ბუნება გამოვლინდება როგორც მოცემულ საზოგადოებაში მისი ფუნქციონირების გარე პირობებში, ასევე ენის სტრუქტურაში, მის სინტაქსში, გრამატიკაში. ადამიანსა და რეალურ სამყაროს შორის დგას ადამიანი. სწორედ ადამიანი აღიქვამს და შეიცნობს სამყაროს გრძნობის ორგანოების დახმარებით და ამის საფუძველზე ქმნის სამყაროს შესახებ წარმოდგენების სისტემას. გადაამუშავებს რა მათ თავის ცნობიერებაში, გაიაზრებს რა ამ აღქმის შედეგებს, იგი გადასცემს მათ თავისი სამეტყველო კოლექტივის სხვა წევრებს ენის დახმარებით.

ენა მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან, როგორც აზრის გადმოცემის და ადამიანიდან ადამიანზე მისი გადაცემის საშუალება. გზა რეალური სამყაროდან გაგებისაკენ და შემდეგ სიტყვიერ გამოხატულებამდე არაერთგვაროვანია სხვადასხვა ერებში, რაც განპირობებულია განსხვავებითაც ისტორიაში, გეოგრაფიაში, ამ ერების ცხოვრების თავისებურებებით და, შესაბამისად, მათი საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების განსხვავებებით. რამდენადაც ჩვენი ცნობიერება განპირობებულია როგორც კოლექტიურად (ცხოვრების წესით, წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით და ა. შ.), ასევე ინდივიდუალურად (სამყაროს სპეციფიკური აღქმით, რაც დამახასიათებელია კონკრეტული ინდივიდისათვის), ამდენად ენა გამოხატავს სინამდვილეს არა პირდაპირ, არამედ ორი კლაკნილით: რეალური სამყაროდან აზროვნებამდე და აზროვნებიდან ენამდე. მსოფლიოს კულტურული და ენობრივი სურათები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, იმყოფებიან მუდმივი ურთიერთქმედების მდგომარეობაში და მიდიან მსოფლიოს რეალურ სურათამდე, უფრო სწორედ, ადამიანის გარემომცველ რეალურ სამყარომდე.

მაგრამ ენა – ეს არ არის მსოფლიოს კულტურული სურათის ერთადერთი შემადგენელი, იგი ყალიბდება არტეფაქტების თემატურად გასაგები, გაცნობიერებული და უტყუარი შინაარსებისაგან და გაუთვითცნობიერებელი აზრებისა და პირადი მნიშვნელობებისაგან, ასევე ცდების, განცდებისა და შეფასებებისაგან. ამის შედეგად, შინაარსობრივ-თემატური კუთხით ჩვეულებრივ გამოიყოფა სამეცნიერო, ესთეტიკური, რელიგიური, ეთიკური, სამართლებრივი და სხვა ანალოგიური მსოფლიოს სურათები, ამ პოზიციიდან მსოფლიოს სურათი დაიყვანება მონაცემებისა და ინფომაციის ნაკრებამდე. ამ სურათების გაჩენას წინ უსწრებს სხვა მსოფლიოს სურათის გაჩენა – ინტუიციური წარმოდგენების, მნიშვნელობების და აზრის სურათისა, როგორც მოცემული კულტურის სიცოცხლისუნარიანობის თავისებურებების გამოხატულება. ამასთან ყოველი აზრი ყოველთვის განსაკუთრებულად წარმოადგენს სამყაროს უნივერსალურობას, რომელშიც ცხოვრობენ ადამიანები.

## დასკვნა

კულტურათა შორის კავშირების განვითარებას მივყავართ თითოეული მათგანის უნიკალური თავისებურების გაქრობისაკენ. ამგვარად, XX საუკუნეში ერები და ქვეყნები იწყებენ უნიფიცირებას ყოფაცხოვრებასა და აზროვნებაში. ამის თაობაზე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მეტყველებს კომპიუტერიზაციის პროცესი, რომელიც ერთიან ალგორითმს უქვემდებარებენ იმათი აზროვნების ლოგიკას, ვინც მუშაობს კომპიუტერთან. მიუხედავად ყველაფრისა, თითოეული კულტურის ბირთვში ინახება ის, რაც არის „გამოკრისტალიზებული“ ქვეყნის ბუნების, კლიმატის, პეიზაჟის, საკვების, ეთნიკური ტიპის, ენის, საკუთარი ისტორიისა და კულტურის შესახებ მახსოვრობის გავლენით. ამით მსოფლიოს კულტურული სურათი ინარჩუნებს თავის უნიკალურობას კულტურის უნივერსალიზაციის პროცესებში.

## ლიტერატურა


1. Апресян В. Ю. (1995): Образ человека по данным языка: попытка системного описания // Вопросы Языкознания. №1. С. 57–59

2. Апресян Ю. Д. (2006): Языковая картина мира и системная лексикография. – М.: Языки славянских культур

3. Архипов И. К. (1994): Картина мира, живой язык и классификация его системы // Вопросы романо-германской филологии (лексикология, грамматика и текстология). Пятигорск. С. 3–7

4. Вайсгербер Л. (2004): Родной язык и формирование духа. – М.: УРСС

5. Вежбицкая А. (2002): Русские культурные скрипты и их отражение в языке // Рус. яз. в науч. освещении. №2. С. 6–34

6. Витгенштейн Л. (2007: Логико-философский трактат. – М.: ОЛМА Медиа Групп

7. Воробьев В. В. (1996): Лингвокульturологическая парадигма личности / В. В. Воробьев. М.: Рос. ун-т дружбы народов, 1996. 170 с.

8. Гердер И. Г. (2007): Трактат о происхождении языка. – М.: URSS

9. Гумбольдт В. (1985): Язык и философия культуры. – М.: Прогресс

10. Гуревич А. Я. (2005): Индивид и социум на средневековом Западе. – М.: РОССПЭН

11. Гуревич П. С. (2006): Философия человека (лекция 5) // Личность. Культура. Общество. Междисциплинарный научно-практический ж-л социальных и гуманитарных наук. Вып. 2 (30). – М.

12. Каган М. С. (1994): Проблема «Запад-Восток» в культурологии: Взаимодействие худож. культур. – М.: Наука: Изд. фирма «Вост. лит.»

13. Караулов Ю. Н. (2006): Русский язык и языковая личность. 5-е изд. М. С. 38

14. Касевич В. Б. (2001): Лингвокультурный концепт как единица исследования // Методологические проблемы когнитивной лингвистики: Сб. науч. тр./ Под ред. И.А. Стернина. – Воронеж,

15. Кубрякова Е.С. (2004): Язык и знание. – М.: Языки славянской культуры

16. Кучмаева И. К. (2002): Культура общения: этикет и стиль. – М.

17. Кучмаева И. К. (1997): Путь к всечеловеку. Мир как целое в концепции культуры М. М. Пришвина. – М.

18. Кучмаева И. К., Громов М. Н. (2000): Культура как способ общения // Труды ГАСК. – Вып.2.: Мир культуры, С. 3–7

19. Леонтьев А. А. (208): Психология общения. 5-е изд. – М.: Academia, Смысл. С. 45

20. Лотман Ю.М. (2000): Семиосфера. – СПб.

21. Пищальникова В. А. (2000): Национальная специфика картины мира и ее репрезентация в языке // Языковое сознание: содержание и функционирование. XIII междунар. симпозиум по психолингвистике и теории коммуникации: Тез. докл. М. С. 189–190.

22. Постовалова В. И. (1998): Наука о языке

в свете идеала цельного знания // Язык и наука конца XX века. – М.: Наука

23. Серебренников Б.А. (1988): Роль человеческого фактора в языке. Язык и мышление – М.: Наука

## The Definition of the World Cultural Picture

*Medea Svani*
*Georgian University*
*Department of Languages*
*77[a] Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*
*Tel. : 597 755 127*
E-mail: medea_svani@yahoo.com

**Abstract**

The paper discusses culture as a product of collaboration of people, a system of their collective co-existence and customs. This system is formed as a result of a joint long-term accommodation of people in a particular area, their economic activities, defence against external enemies. Consequently people have a common worldview, a lifestyle, a way of communication, the specificity of the clothing, especially the cooking, etc.

The cultural world view is specific and is different in different Nations. This is due to a combination of factors: geography, climate, natural environment, history, social structure, beliefs, traditions, way of life, etc. in addition, each historical epoch has its own picture of the world.

The development of links between cultures leads to the disappearance of the unique characteristics of each of them. This was brought by the twentieth century – the epoch of computerization.

**Keywords:**

culture, worldview, lifestyle, picture of the world, beliefs, traditions.

## Определение культурной картины мира

*Свани Медея Тенгизовна*
*Грузинский университет*
*Департамент языков*
*Ул.Костава №77[a], 0175, Тбилиси,Грузия*
*Тел.: 597 755 127*
E-mail: medea_svani@yahoo.com

**Резюме**

Статья рассматривает культуру как продукт сотрудничества людей, а так же системы их коллективного сосуществования и традиций. Эта система сформирована в результате совместного и долгосрочного сотрудничества людей в определенной области, их экономической деятельностей, защиты от внешних врагов. Следовательно люди имеют общее представление о мире, жизненном стиле, пути коммуникации, характерностях в одежде, особенно кухни и т. д.

У разных наций культурный взгляд на мир специфичен и отличается. Это из-за совокупности факторов: географического положения, климата, естественной окружающей среды, истории, социальных структур, вероисповедания, традиций, жизненного пути и т. д., где каждая эпохальная история имеет собственное представление мира.

Развитие межкультурной цепи приведет к исчезновению уникальной характеристики каждой их них. Это уже произошло в XX столетии – в эпоху компьютеризации.

**Ключевые слова:**

культура, представление о мире, стиль жизни, картина мира, перования, традиции.

# ლათინური დიფთონგები თანამედროვე ესპანურ ენაში

*ნინო ჭრიკიშვილი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი, საქართველო*
*ტელ: 591 222 007*
E-mail: nchrikishvili@yahoo.com

**რეზუმე**

ჩვენი კვლევის სფეროს წარმოადგენს ესპანური ენის ხმოვნების დიაქრონიული ფონოტაქტიკა. ხმოვანთა შეერთებების შესწავლა მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ რომელ ფონეტიკურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული ამა თუ იმ ესპანური სიტყვის ევოლუცია. სტატიაში განხილულია ის გზა, რაც კლასიკური ლათინურის დიფთონგებმა განვლო ესპანურ ენაში დამკვიდრებისას და დახასიათებულია ის ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც ხალხურ ლათინურში ან ესპანური ენის არქაულ ვარიანტში დაფიქსირდა. ყურადღება გამახვილებულია სიტყვების მონაცვლე ფორმებზეც. ლათინური ენისათვის დამახასიათებელი დიფთონგების დიაქრონიული კვლევისას გამოვიყენეთ ეტიმოლოგიური ლექსიკონების მონაცემები.

**საკვანძო სიტყვები:**

ეტიმონი, დერივატი, დიფთონგიზაცია, მონოფთონგიზაცია, ვოკალიზაცია.

**შესავალი**

ცნობილია, რომ ფონემათა შეერთებების შესწავლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიტყვის ეტიმოლოგიის კვლევისას. მიუხედავად იმისა, რომ ენათმეცნიერები ძირითადად ყურადღებას თანხმოვანთა შეერთებებზე ამახვილებენ (რადგან ისინი სიტყვის ხერხემალს წარმოადგენენ), არანაკლებ ინტერესს იწვევს ხმოვანთა შეერთებების დიაქრონიული კვლევაც.

ესპანური ენის ხმოვანთა სისტემა ლათინური ენის ხმოვნების ევოლუციის შედეგად მივიღეთ. ლათინურში არსებული ხმოვნების კომბინაციები ესპანურ ენაში სხვადასხვა ფორმით გადავიდა. თუმცა, არსებობს არაერთი ისეთი მაგალითი, სადაც ხმოვანთა თანამიმდევრობა ვარირებას არ დაექვემდებარა. გამომდინარე იქიდან, რომ ესპანურ ენაში ფონემათა არაერთი განსხვავებული სახის შეერთებას ვხვდებით, სტატიაში ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ იმ კომბინაციებზე, რომლებიც ლათინურ ენაში დიფთონგს წარმოადგენდა.

**ძირითადი ნაწილი**

ლათინურ ენაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დიფთონგს წარმოადგენს ae კომბინაცია, რომელიც ევოლუციის საინტერესო გზას გადის. იგი არის კლასიკური ლათინურის ერთადერთი დიფთონგი, რომელიც სიტყვაში მახვილიანი მარცვლის პოზიციის მიხედვით ვარირებს. Ae კომპლექსი უმახვილო პოზიციაში გადადის e-ში, ხოლო მახვილიანი პოზიციის შემთხვევაში ჯერ გვაძლევს ღია e-ს (ხალხურ ლათინურში), შემდეგ კი გადადის ie დიფთონგში (ესპანური ენის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზევე). დიფთონგიზაციის მოვლენა, რომელიც გერმანიკულ პერიოდთან არის დაკავშირებული (სავარაუდოდ) არ დაფიქსირებულა პირენეის ნახევარკუნძულის მთელ ტერიტორიაზე. გერმანიკული წარმოშობის ტომებისა და შესაბამისად, მათი ენის გავლენა, ნაკლები იყო გალისიის მხარეზე, სადაც ხალხური ლათინურისათვის დამახასიათებელმა ხმოვანმა არ განიცადა ვარირება (ხალხური ლათინურის ღია e დღემდე უცვლელი

ფორმით ფიქსირდება გალისიურსა და პორტუგალურში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახევარკუნძულის ცენტრალურ რეგიონებში გაჩენილ დიფთონგს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ორი ვარიანტი ჰქონდა, რაც კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში: sierra და siarra 'ქედი'. ლათინური ae დიფთონგის სიღრმისეულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ შუა საუკუნეების ესპანურში დაფიქსირებულმა ie კომბინაციამ შესაძლოა კიდევ ერთი ვარირება განიცადოს და მონოფთონგიზირებული სახით გადავიდეს ესპანურ ენაში: ლათ. saelucum ემილიანურ გლოსებში დაფიქსირებულია sieculos-ის ფორმით, რაც დღევანდელ ესპანურში siglos-ს 'საუკუნეები' შეესაბამება.

საკმაოდ გავრცელებულია ae კომპლექსი სიტყვის თავში. ხმოვანთა აღნიშნული თანამიმდევრობა თავკიდური პოზიციით გადადის e-ში, რადგან ae დიფთონგით ძირითადად ოთხმარცლიანი სიტყვები იწყება, სადაც პირველი მარცვალი უმახვილოა. ვარიაციის ამ ფორმას ვხვდებით ისეთი სიტყვების ეტიმოლოგიის კვლევისას, როგორიააა: ესპ. edificio 'შენობა', რომელიც ლათინური aedĭfĭcĭum-იდან ტრანსფორმირდა და ესპ. equilibrio 'წონასწორობა', რომელიც aequĭlībrĭum-იდან მომდინარეობს. შესაძლოა, ლათინური სიტყვა არ იწყებოდეს აღნიშნული კომბინაციით, მაგრამ ae კომპლექსი მაინც პირველ მარცვალს ქმნიდეს: ესპ. península 'ნახევარკუნძული', რომელიც წარმოადგენს არსებითი სახელისა (insula ესპანურად ითარგმნება როგორც isla 'კუნძული') და პრეფიქსის (paena – ესპანურად ითარგმნება როგორც casi 'თითქმის') კომპოზიტს, ლათინური paeninsula-დან მომდინარეობს. Ae დიფთონგს ამ შემთხვევაშიც უმახვილო პოზიცია აქვს, რაც განაპირობებს მის მონოფთონგიზაციას. განსაკუთრებით ხშირია ლათინური ae კომპლექსი ორმარცვლიანი სიტყვის საწყის მარცვალში, რომელიც ლათინური ენის მახვილის წესების თანახმად მუდამ მახვილიან პოზიციაშია. ამ ტიპის სიტყვების ესპანურ ენაში დამკვიდრებისას წარმოიქმნება აღმავალი დიფთონგი ie: ლათ. saecum → ესპ. ciego 'ბრმა', ლათ. caelu → ესპ. cielo 'ბრმა' და ა.შ. Ae კომპლექსი დერივატის დონეზე მხოლოდ სიტყვის შუაში ან ბოლოში ფიქსირდება. ესპანური caer 'დავარდნა, ჩამოვარდნა' ლათინური cadere-დან (საერთო ინდოევროპული ძირი kad) მომდინარეობს. რაც შეეხება ესპ. correa-ს 'ქამარი', იგი ლათინური corrigia-ს ევოლუციის შედეგად მივიღეთ. ლათინური სიტყვის ფუძისეული i ხმოვნის შეცვლა უშუალო კავშირშია სიტყვის ბოლოს დაფიქსირებულ იოდთან, რომელიც გავლენას ახდენს წინამდებარე ხმოვანზე.

Ai კომბინაციას არაერთ ნაშრომში მოიხსენიებენ როგორ კლასიკური ae დიფთონგის არქაულ ფორმას. თუმცა, უმეტესწილად იგი განხილულია როგორც შუა საუკუნეების ესპანურში დაფიქსირებული ახალი კომბინაცია, რომლის წარმოქმნაც იოდის მეტათეზისმა განაპირობა. სწორედ შუა საუკუნეების ესპანურის ფორმაა carraira, რომელსაც საფუძვლად დაედო ლათინური carraria (და არა ლათინური carraira). აღნიშნული კომბინაცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში მონაცვლეობდა ei კომბინაციასთან, რამაც მთელი რიგი სიტყვების ორი ვარიანტის (carraira და carreira) წარმოქმნა განაპირობა. XI საუკუნიდან დიფთონგის ორივე ვარიანტი დაექვემდებარა მონოფთონგიზაციას და მივიღეთ carrera. აღნიშნული მოვლენა გვხვდება ისეთ სიტყვებში, სადაც ფიქსირდება იოდი -si-, -pi-, -ri- კომბინაციებში: კლ. ლათ. basium → ძვ. ესპანური baisu ან beisu → ესპ. beso 'კოცნა'. ევოლუციის იგივე გზა ფიქსირდება შემდეგ სიტყვაში: ლათ. sapias → ძვ. ესპ. saipas ან seipas → ესპ. sepas (ზმნა saber 'ცოდნა' კავშირებითი კილოს ერთ-ერთ ფორმაში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ai ვარიანტი უფრო გამოყენებადი იყო ესპანეთის სამხრეთით (არაბული გავლენის ტერიტო-

რიაზე), ei კომბინაცია კი ესპანეთის ჩრდილოეთისათვის იყო დამახასიათებელი. Ei დიფთონგი დღემდე გამოყენება გალისიურ ენასა და ლეონურ დიალექტში. დღევანდელ ესპანურში ai დიფთონგი ძირითადად ბერძნული წარმოშობის სიტყვებში გვხვდება. ვგულისხმობთ ბერძნული ეტიმოლოგიის ისეთ სიტყვებს,რომელთა ფუძეც a ხმოვანზე ბოლოვდება და დაერთვის iko(s) სუფიქსი: arcaico 'არქაული', prosaico 'პროზაული'. Ai დიფთონგი დერივატის დონეზე ფიქსირდება რამდენიმე ზმნის ნაუღლებ ფორმაშიც,იქნება ზმნა თხრობითი თუ კავშირებითი კილოს ახლანდელი დროის მრავლობითი რიცხვის მეორე პირში (მაგ: amáis, temáis, partáis). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლათინურში აღნიშნული დაბოლოებები არ წარმოადგენდნენ დიფთონგს, რადგან ხმოვნებს შორის ფიქსირდებოდა ყრუ ოკლუზივი (ლათ. amatis, ლათ. timeatis, ლათ. partiatis).

Au კომპლექსი, რომელიც კლასიკურ ლათინურში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დიფთონგია, ძირითადად სიტყვის პირველ მარცვალს წარმოადგენს. კლასიკური ლათინურის ეს დიფთონგი ესპანურ ენაში გადასვლისას მონოფთონგიზაციას განიცდის. თუმცა, მასალის კვლევის დროს აღნიშნული კომბინაციის სტაბილურობის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი შეგვხვდა. ლათ. auctoritas,-atis ესპანურ ენაში გადასვლისას არ ექვემდებარება ვარირებას და ინარჩუნებს დაღმავალი დიფთონგის ფორმას, რის შედეგადაც გვაძლევს ესპ. autoridad-ს. უცვლელი ფორმით ფიქსირდება au დიფთონგი ბერძნული წარმოშობის (ესპანურში ლათინიზირებული ფორმით დამკვიდრებული) auto პრეფიქსით წარმოებულ სიტყვებშიც: autónomo 'ავტონომიური', automático 'ავტომატური' და ა.შ. ჩამოთვლილი ვოკაბულები ესპანურ ენაში კლასიკური ლათინურიდან დამკვიდრდა, რითაც აიხსნება მათი კონსტანტურობა. თუმცა, au დიფთონგიანი სიტყვების გარკვეული ნაწილი ესპანურ ენაში ხალხური ლათინურიდან შევიდა, სადაც au კომბინაცია ცვლილებებისაკენ იყო მიდრეკილი. სწორედ ამ მოვლენაზე ამახვილებენ ყურადღებას რომაელი გრამატიკოსები, რომლებიც კლ. ლათ. aurum-ის მონაცვლე ფორმად orum-ს ასახელებენ. მონოფთონგიზაცია ფიქსირდება სიტყვის შუაშიც: ესპ. toro-ს 'ხარი' ეტიმონს ლათ. taurus წარმოადგენს. იგივეს ვერ ვიტყვით ესპ. causa-ზე 'მიზეზი', რომლის ეტიმოლოგიის კვლევასაც ბერძნული causa-მდე მივყავართ. შესაძლოა, au დიფთონგი ესპანურ ენაში მეორე ელემენტის ამოვარდნის შედეგად გადავიდეს. ამ ტიპის მოვლენას ვხვდებით მაშინ, როცა au კომბინაციას ჯერ ველარული თანხმოვანი მოჰყვება, ხოლო შემდეგ u ხმოვანი: ლათ. augustu → ესპ. agosto 'აგვისტო'. მხოლოდ ერთი ფუძის სიტყვებში გვხვდება თავკიდური au დიფთონგი დერივატის დონეზე: ლათ. absens,-tis → ესპ. ausente. ამავე ფუძისაგან არის ნაწარმოები შემდეგი სიტყვები: ausencia (ლათ. absentia) და ausentar (ლათ. absetare). დერივატის დონეზე დაფიქსირდა au დიფთონგი ესპ. bautizar-შიც 'მონათვლა', რომელიც ლათინური baptizare-ს გავლით გადავიდა ესპანურში ბერძნული baptizo-დან. რაც შეეხება ესპ. baúl-ს 'სკივრი', იგი ძვ. ფრანგული bahur-იდან (დღევანდ. bahut) გადავიდა ესპანურში (უცნობია რა გზით დამკვიდრდა ფრანგულში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ baúl ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელიც au დიფთონგს აღარ შეიცავს. აღნიშნულ სიტყვაში გვაქვს ორი ფონემის - a-სა და u-ს ისეთი თანამიმდევრობა, რომელიც არა დიფთონგს, არამედ ჰიატუსს წარმოადგენს, რაც განპირობებულია სუსტი ხმოვნის ორთოგრაფიული მახვილით გაძლიერებით. იგივე მოვლენა ფიქსირდება ესპ. laúd-ში 'ბარბითი' (ძვ. ესპანური alaúd), რომელიც არაბული ud-ისა და ასევე არაბული al არტიკლის შერწყმის შედეგად მივიღეთ.

რამდენიმე სიტყვაში თავკიდური პოზიცი-

ის au დიფთონგი მხოლოდ ძველ ესპანურში ფიქსირდება. ძველი ესპანურისათვის დამახასიათებელი au დიფთონგი ენის ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე მონაცვლეობს ou კომბინაციასთან, შემდეგ კი გადადის o-ში: ლათ. alterum → ძვ. ესპ. auteru ან outero → ესპ. otro 'სხვა'. ამ ტიპის მაგალითებში au დიფთონგი, რომელიც არ ფიქსირდება ფუძეენის დონეზე, წარმოიქმნება დერივატი ენის არქაულ ვარიანტში. ლათინური l-ს ვოკალიზაცია ფიქსირდება იმ სიტყვებში, სადაც თავკიდური ან სიტყვის პირველი მარცვლის a ფონემას /lt/ ან /lp/ კონსონანტური კომპლექსი მოსდევს: ლათ. talpa → ესპ. taupa → ესპ. topo 'თხუნელა'. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნის ტექსტებში უპირატესობა ენიჭება au დიფთონგის კონსტანტურობას, რაც რამდენიმე სიტყვის ესპანურში უცვლელი ფორმით დამკვიდრებას იწვევს: ლათ. altus → ესპ. alto 'მაღალი', ლათ. saltus → ესპ. salto 'ნახტომი'.

ლათინური ენისათვის დამახასიათებელი მესამე დიფთონგი არის eu კომბინაცია, რომელიც ყველაზე ხშირად თავკიდური პოზიციით ფიქსირდება. იგი ძირითადად ბერძნული წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და ესპანურში ლათინურის გავლით გადადის. ამ ტიპის სიტყვების ბერძნულ წარმომავლობას ადასტურებს ბერძნული პრეფიქსი eu, რომელიც ესპანურად ითარგმნება როგორც bien 'კარგად' (ან bueno 'კარგი'). სწორედ ბერძნული მორფემების კომპოზიტს წარმოადგენს eukalypto (ლათინიზირებული ფორმა eucalyptus), რომელიც ესპანურ eucalipto-ს 'ევკალიპტი' შეესაბამება. აღნიშნულ რთულ ვოკაბულაში ბერძნული თავსართი ითარგმნება როგორც bien, ხოლო სიტყვის ფუძე ნიშნავს "yo tapo", "yo escondo" (მე ვფარავ, მე ვმალავ). ამრიგად, ესპ. eucalipto სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც 'კარგად დაფარული'. რამდენიმე სიტყვაში eu კომბინაცია ფიქსირდება ბერძნული ეტიმოლოგიის (ესპანურში ლათინურის გავლით გადასული) rheuma თავსართით წარმოებულ სიტყვებში. სწორედ მათ შორისაა ესპ. reumático 'რევმატიზმით დაავადებული' და reumatismo 'რევმატიზმი'. იგივე დიფთონგი ფიქსირდება neuma პრეფიქსისაგან მიღებულ ვოკაბულებში: neumonía 'პნევმონია' და ა.შ. ლათინური ეტიმონიდან უცვლელი ფორმით გადადის eu დიფთონგი ესპ. neutro-ში 'შუალედური, საშუალო' (ლათ. neuter). იშვიათად ფიქსირდება eu კომბინაცია დერივატის დონეზე: ესპ. deuda 'ვალი' (ლათ. debitum).

### დასკვნა

ლათინური ენის დიფთონგებზე ჩატარებულმა დიაქრონიულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ხმოვანთა კომბინაციებმა ევოლუციის საკმაოდ რთული და ამავდროულად, მრავალფეროვანი გზა განვლეს. კომპლექსების დიდი ნაწილი ზოგ სიტყვაში სტაბილურია, ზოგში კი ვარირებას ექვემდებარება, რასაც აქვს შემდეგი ახსნა: კლასიკური ლათინურის გზით დამკვიდრებული ესპანური სიტყვები დიფთონგების კონსტანტურობით გამოირჩევიან, ხოლო ლათინურის გავლით დამკვიდრებული ვოკაბულები - ვარირების მაღალი ხარისხით. ხმოვანთა კომბინაციების ევოლუციას გარკვეულწილად განაპირობებდა ლათინური მახვილიც. მასალის კვლევამ გვაჩვენა ისიც, რომ ლათინურში არსებული დიფთონგი შესაძლოა ესპანურში გადავიდეს ორთოგრაფიული მახვილით, რაც დიფთონგის დაშლას იწვევს.

### ლიტერატურა:


1. Ariza M. (2008): El comentario filológico de textos. Madrid

2. Coromines J. (2008): Breve diccionario etimológico de la lengua española. Madrid

3. Lloyd P. (1993): Del latín al español. Madrid

4. Menéndez Pidal R. (1982): Manual de gramática histórica española. Madrid

5. Molina Yévenes J. (1993): Iniciación a la fonética, fonología y morfología latinas. Barcelona

6. Quilis Morales A. (2005): Fonética histórica y fonología diacrónica. Madrid

7. Munguía S. (2010): Nuevo diccionario etimológico Latín-Español y de las voces derivadas. Bilbao

## Latin diphthongs in Modern Spanish Language

*Nino Chrikishvili*
*Tbilisi State University*
*Humanitarian science faculty*
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*
*Tel.: 591 222 007*
E-mail: nchrikishvili@yahoo.com

**Abstract**

The sphere of our research is the diachronic phonotactics of the Spanish vowels. The study of the conjunction of vowels informs us about the phonetic changes connected with the evolution of this or that Spanish word. The paper discusses the way of diphthongs adaptation in Spanish language and characterizes the fixed phonetic changes in folk Latin and in the archaic variant of Spanish language. In the process of diachronic study of the diphthongs characteristic to Latin language we applied the data of the etymologycal dictionaries.

**Keywords:**

ethymon, derivate, diphthongization, monophthongization, vocalization.

## Латинские дифтонги в современном испанском языке

*Чрикишвили Нино Гелаевна*
*Тбилисский государственный университет*
*Факультет гуманитарных наук*
*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 591 222 007*
E-mail: nchrikishvili@yahoo.com

**Резюме**

Сферой нашего исследования является диахроническая фонотактика гласных испанского языка. Изучение сочетаний гласных предоставляет важные сведения о том, с какими фонетическими изменениями связана эволюция того или иного испанского слова. В статье рассмотрен путь, который классические латинские дифтонги прошли при внедрении в испанский язык и охарактеризованы фонетические изменения, зафиксированные в народном латинском либо архаичном варианте испанского языка. Мы уделили внимание и на чередующиеся формы слов. При диахроническом исследовании дифтонгов, характерных для латинского языка, использованы данные этимологических словарей.

Ключевые слова

Этимон, дериват, дифтонгизация, монофтонгизация, вокализация.

# კალამბურის გამოყენება საგაზეთო სტატიების სათაურებში

*თეონა ცინცაძე*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ევროპეისტიკის დეპარტამენტი*
*ნინოშვილის ქ. №35, 6010, ბათუმი, საქართველო*
*ტელ: 593 112 051*
E-mail: teona.tsintsadze.87@mail.ru

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია კალამბურის ანალიზი საგაზეთო სტატიების სათაურებში ინგლისურ და ქართულენოვან მასალებზე დაყრდნობით. მაგალითები განხილულია ინგლისური და ქართულენოვანი საგაზეთო სტატიების სათაურების მიხედვით და მსგავსების საფუძველზე კლასიფიცირებულია საერთო მახასიათებლების მქონე კალამბურები. კალამბურის როგორც სიტყვათა თამაშის ერთ-ერთი ფორმის მედია დისკურსში კვლევამ ცხადყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი როლი რეციპიენტზე ზეგავლენის მოსახდენად და რა სწრაფად რეაგირებს ადრესატის ქვეცნობიერზე ჟურნალისტის მიერ კრეატიული გზით მოწოდებული ინფორმაცია.

**საკვანძო სიტყვები:**

მედია დისკურსი, კალამბური, ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, იუმორი, ინფორმაცია.

**შესავალი**

მედია დისკურსის მთავარი მიზანი ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოებაზე ზემოქმედებაა. შესაბამისად, სტილისა და მართებული სიტყვების შერჩევა ერთობ მნიშვნელოვანია. მკითხველის ყურადღების მიპყრობა კი გაზეთის სათაურებით ხდება, სადაც მოკლედაა გადმოცემული სტატიის შინაარსი, გამოყენებულია რა სტილისტურად რელევანტური ხერხები, რომელთაც გარკვეული ინტენცია გააჩნიათ. სტატიაში განვიხილავთ, თუ რა მისია აკისრია კალამბურს საგაზეთო სტატიის სათაურებში, რა ოსტატურად ხდება კალამბურის გამოყენებით ცოცხალი, შთამბეჭდავი და კრეატიული საგაზეთო სტატიის სათაურების შექმნა.

**ძირითადი ნაწილი**

„ბგერა, და არაფერი ბგერის გარდა." ეს არის კალამბურის-იუმორის განუყოფელი ნაწილისა და პოპულარული მეტაფორის ერთ-ერთი განმარტება. უძველეს დროში, განსაკუთრებით ზეპირსიტყვიერებაში, ბგერა იყო ძლიერი იარაღი და მიაჩნდათ, რომ მსგავსი ჟღერადობის სიტყვებს ერთი და იგივე წარმოშობა და ბუნება გააჩნდათ.

„კალამბური შეიძლება განიმარტოს როგორც სიტყვათა თამაში, რომელიც დამყარებულია სემანტიკურ ორაზროვნებაზე, როდესაც ორი-პირდაპირი ან კონტექსტუალური მნიშვნელობის მქონე სიტყვა მოულოდნელად იჩენს თავს და გამოწვეული შეუსაბამობა კომიკურ ეფექტს ქმნის. [Crysta. 2004:408]. ამ ეფექტურ სტილისტურ საშუალებას შეიძლება წავაწყდეთ მხატვრულ ნაწარმოებებში, გამოცანებში, ანეკდოტებში, იუმორისტულ ციტატებში, ინტერნეტ სივრცეში, სარეკლამო სლოგანებსა თუ ბილბორდებზე, მედიის ყველა სფეროში და მათ შორის საგაზეთო სტატიების სათაურებში.

გაზეთი მკითხველის ინფორმირებისა და დარწმუნების საუკეთესო საშუალებაა, შესაბამისად მნიშვნელოვანია ინფორმაციის სწორად ორგანიზება. სათაურის როლი

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია პრესაში, რადგან სწორედ სათაურის საშუალებით ხდება მკითხველის დაინტერესება, საგაზეთო სტატიის სათაური ე.წ. შუამავლად გვევლინება მკითხველსა და ტექსტს შორის.

სტატიის კონკრეტული მიზანია გამოკვეთოს კალამბურის გამოყენების ხერხები მედია დისკურსში, კონკრეტულად საგაზეთო სტატიების სათაურებში. საგაზეთო სტატიების სათაურები თავის მხრივ ენის განსაკუთრებულ გამოყენებას მოითხოვენ. მათ შორის: გამოტოვება, ხშირი ნომინალიზაცია, ფრაზების გამოყენება წინადადებების ნაცვლად, აწმყო დროის გამოყენება, მარკირებული/ემოციური სიტყვების, ალუზიების, იდიომატური გამოთქმების წინა პლანზე წამოწევა. საგაზეთო სტატიის სათაური უნდა იყოს მოკლე, ლაკონური და შინაარსობრივი, მან გარკვეული ემოციური გავლენა უნდა მოახდინოს. სათაური უნდა „შეიცავდეს ნათელ, ლაკონურ და თუ შესაძლებელია დამაინტრიგებელ შეტყობინებასაც კი, რომ გააღვივოს მკითხველის ინტერესი“ [Crystal. 1990:174].

**კალამბურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია**

გაზეთის სათაურებში კალამბურის სტილისტურმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ არსებობს კალამბურის შემდეგი პროდუქტიული ტიპები:

**ომონიმური კალამბური** – მსგავსი ჟღერადობისა და მართლწერის, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

**პოლისემური კალამბური** – სემანტიკური ტიპის კალამბურია, რომელიც ორ ან მეტ ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვას წარმოგვიდგენს.

**ომოფონური კალამბური** – მსგავსი ჟღერადობის, მაგრამ სხვადასხვა მართლწერისა და მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

**ჩანაცვლებაზე აგებული კალამბური** – თანხმოვნისა თუ ხმოვნის ჩანაცვლება იუმორისტული ეფექტის მისაღწევად.

**გამოტოვებაზე აგებული კალამბურები** – თანხმოვნისა თუ ხმოვნის გამოტოვება იუმორისტული ეფექტის მიღების მიზნით.

**თანხმოვნისა თუ ხმოვნის დამატების შედეგად მიღებული კალამბურები.**

**სხვადასხვა კალამბურების შედეგად მიღებული ახალი კალამბურის ფორმა.**

**ომონიმური კალამბური**

ომონიმური კალამბური დიდ ყურადღებას იქცევს და კრეატიულობის გამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, აკავშირებს რა ერთნაირი ბგერების, მაგრამ სრულიად განსხვავებული წარმოშობისა და მნიშვნელობის მქონე სიტყვებს:

**I can't bear to be without you** – სტატიის სათაურში სიტყვა bear-ის დატვირთვა შემდეგია. 1.მოთმენა, ატანა, (ზმნა.) 2. დათვი ( როგორც არსებითი სახელი). სტატია მოგვითხრობს ეროვნულ პარკში მყოფ ორ დათვზე, რომელთა განცალკევება მოხდა გალიიდან და აღწერილია მათი გულისამაჩუყებელი დამშვიდობების მომენტი.

A **stone** age – პირველადი მნიშვნელობა უკავშირდება ისტორიას. (ქვის ხანა), თუმცა სტატიაში აღნიშნავს ამერიკელი მსახიობი ქალის გვარს (შერონ სტოუნი) და მიუთითებს ასაკის მატებას.

**Veni.**

**Vidi,**

**Vici**

**-ვიცი!**

ასეთ საინტერესო მაგალითს ვაწყდებით ქართულ პრესაში. გარდა ორაზროვნებისა და გაორმაგებული მნიშვნელობისა, რომელიც ჟურნალისტმა იულიუს კეისრის ცნობილი ფრაზით (მივედი, ვნახე, გავიმარჯვე) შექმნა და დააკავშირა ქართულ ზმნასთან, მას არც ალიტერაცია დარჩენია ყურადღების მიღმა. სტატია ყოფილ პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილს ეძღვნება და მის შესაძლებლობებს უსვამს ხაზს. (კვირის პალიტრა № 48. 1.12.2013)

**შავი პანტ-ერის დასასრული** – „შავი პანტერა", „შავი მარგალიტი" – ასე მოიხსენიებენ ლეგენდარულ პორტუგალიელ ფეხბურთელ ეუსებიო და სილვა ფერეირას. აღნიშნული სათაურით ავტორი გვამცნობს ,რომ ფეხბურთელი გარდაიცვალა. სასვენი ნიშნის საშუალებით კი ქმნის ორმაგ მნიშვნელობას. აღნიშნავს რა მეტსახელს და მიუთითებს ფერეირას სიდიადეს, რომელიც ერს დააკლდა (კვირის პალიტრა № 3. 13.01.2013).

**ომოფონური კალამბურები**

ამ ტიპის კალამბურები ხშირად გამოიყენება გაზეთის სათაურებში. მათ ერთნაირი ჟღერადობა და განსხვავებული დაწერილობა აქვთ, თუმცა არ არიან სინონიმები და შესაბამისად მათი შინაარსი სრულიად განსხვავებულია.

Eyed love to see 'em - სიტყვა eyed შეკვეცილი ფორმის I'd-ის ჩანაცვლებაა. სტატია ამერიკულ პოპ ჯგუფს Black Eyed Peas ეძღვნება.

Finnish and be done with - სტატიის სათაური ხაზს უსვამს ფინურ ენას (Finnish) და პარალელურად სიტყვა დასრულებას (Finish), იყენებს რა პოლიტკორექტულობას.

ქართულ ენაში შეუძლებელია ომოფონური კალამბურების მოძიება, გამომდინარე იქედან, რომ აქ ყველა სიტყვა როგორც იწერება, ისევე იკითხება.

**ჩანაცვლებაზე აგებული კალამბურები**

**თანხმოვანთა ჩანაცვლება:**

Downing Stree**p** for Meryl – ცნობილი მსახიობის გვარი ჩაენაცვლა სიტყვა ქუჩას. (Downing street-ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის საცხოვრებელი ადგილი). სტატიაში კი განხილულია მერილ სტრიპის (ცნობილი მსახიობის) ახალი როლი, სადაც ის მარგარეტ ტეტჩერს განასახიერებს.

**G**ord help us now – სტატია ამერიკის ერთ-ერთ პრემიერ მინისტრ გორდონ ბრაუნს ეძღვნება. მოხდა პირველი ბგერის ჩანაცვლება და კალამბურის საშუალებით ავტორმა სხარტად მიმართა პრემიერ მინისტრს, მიანიშნა, თუ როგორი მნიშვნელოვანი ფიგურაა ის ქვეყნისთვის.

ინტერნეტ სივრცეში ვაწყდებით დიმიტრი მონიავას სტატიას სახელწოდებით **„ტაფით ან ტაფაზე"** ჩაენაცვლა გამოთქმას „ ფარით ან ფარზე" ( ეხება რა პოლიტიკურ რეჟიმს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოტივით. მოხდა თანხმოვნებით ჩანაცვლება და მივიღეთ კალამბურის ერთ-ერთი სახეობა.)

**ხმოვანთა ჩანაცვლება**

Andy Murray's butter off now - სტატია ეძღვნება დიეტაზე მყოფ ტენისის მოთამაშეს.

**სოჭ**ირბოროტო ოლიმპიადა?! - სვამს შეკითხვას ჟურნალისტი, განიხილავს სოჭში გამართულ ოლიმპიადას კომპეტენტურ პირებთან ინტერვიუში.(კვირის პალიტრა № 7. 16.02.2014). ხმოვნის ჩანაცვლებით იღებს გარკვეულ ეფექტს და ამასთანავე ერთი სიტყვით ორ მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

საზოგადოებრივი **მოუწყო**ბელი - ხმოვანთა ჩანაცვლებით წარმოქმნილი კალამბურიდან ვიგებთ რომ ერთ-ერთი ქართული სატელევიზიო არხი „საზოგადოებრივი მაუწყებელი" ცუდ მდგომარეობაშია. (კვირის პალიტრა № 39. 29.09.2013)

**გამოტოვებაზე დაფუძნებული კალამბურები**

საგაზეთო სტატიებში ბგერის ან ბგერების გამოტოვება.

Ice to see you , boys – სათაური ისლანდიის ეროვნულ საფეხბურთო გუნდს ეძღვნება.

Bride and rooms – სტატია ბუკინგემის სასახლეში არსებულ ოთახებზე მოგვითხრობს, სადაც საქორწინო საუზმეს მიირთმევენ.

**ბგერათა დამატების შედეგად მიღებული კალამბური-** მთავარ სიტყვას ემატება ხმოვნები ან თანხმოვნები. ზოგჯერ ნაწილობრივ ემთხვევა ომოფონურ კალამბურსაც.

**Demi's lost even Moore weight** – სტატია უკიდურესად გამხდარ ამერიკელ მსახიობს დემი მურს ეძღვნება.

**Pope idol - pope** (პაპი) ჩაენაცვლა სიტყვა pop-ს. Pop idol ბრიტანული მუსიკალური

შოუა და გამარჯვებული უმღერის პაპს შოტლანდიაში ვიზიტისას.

**Expendables 2 is gun-believable** - სტატია სილვესტერ სტალონეს ფილმზეა გათვლილი. დაემატა რა თანხმოვანი ზედსართავ სახელს და გვამცნო ფილმის ჟანრი.

გაზეთ კვირის პალიტრის სტატიის სათაური შემდეგნაირად გამოიყურება **„თავზე ხელაღებული ფუ(ლ)ფუნება!** სტატიაში გაკრიტიკებულია ქართველი ჩინოვნიკები. (კვირის პალიტრა, № 21:2014).

**„ტანც(ა)ები“** დიდ პოლიტიკაში“ - ბგერათა დამატება წინსართისა და შუა სართის სახით. სტატია პოლიტიკურ ინტრიგებზეა („ტანცები“) ეხება რა ნაციონალური მოძრაობის წევრებს, პარალელურად ხაზგასმულია სიტყვა ანცები. (კვირის პალიტრა. № 33 12-18.08.2013).

**საყოველთაოდ ინფორაციული ყა(ჩ)დაღობანა** - 21-ე საუკუნეში ნიუსის დაპატიმრება შეუძლებელია!!! ამბობს სტატიის ქვესათაური და ინფორმაციის მიღების საშუალებების შეზღუდვას ე.წ. დაყადაღებას აპროტესტებს და მიაჩნია, რომ ეს დაყაჩაღებას გავს და ადამიანის თავისუფალ ნებას ეღობება წინ. (კვირის პალიტრა № 26. 1.07.2012).

**წაგება ისევ რუს(ნ)ულია** - საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთის ეროვნული ნაკრები რეკორდული ანგარიშით 46:0 დაამარცხა. სტატიის ავტორი მოწინააღმდეგეთა ეროვნებასთან ერთად დამარცხებასაც გვამცნობს.(კვირის პალიტრა № 12. 19-25. 03.2012).

**სხვადასხვა ლექსემების შედეგად მიღებული კალამბურები**

სხვადასხვა სიტყვების შეჯვარების მეშვეობით სტატიის ავტორები ქმნიან ახალ სიტყვებს განსაკუთრებული ეფექტის მისაღებად. ორი ლექსემის საშუალებით მიიღება ახალი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვა.

Bye-lusconi, hello, super Mario – სტატია იტალიელი პრემიერ მინისტრის სილვიო ბერლუსკონის გადადგომის შესახებაა.

Christmas time...Moss-letoe and wine – პოპულარული საშობაო სიმღერა გამოყენებულია საგაზეთო სტატიის სათაურში და ხაზს უსვამს მოდელის – ქეით მოსის რეპუტაციას სასმლის გადაჭარბებული მოხმარების შესახებ.

The Toy-al wedding - სტატიაში წარმოდგენილია პრინც უილიამისა და ქეით მიდლტონის ქორწილი, სადაც ღონისძიების პატივისცემის ნიშნად სათამაშოები იყიდება.

„ნაციონალურ მუხრო**ვანო**ბებში გაჩხერილები“ – ეძღვნება მუხროვანის ამბოხის მოვლენებს. ვანო კი ყოფილი პრემიერ მინისტრია და ჟურნალისტი აწვდის მკითხველს ინფორმაციას მისი მონაწილეობის შესახებ. (კვირის პალიტრა № 6:2013)

**დასკვნა**

მედიაში კალამბურის გამოყენება ეფექტურ შედეგს იძლევა. კალამბური როგორც ლექსიკურ-სტილისტური ხერხი, ბრწყინვალე საშუალებაა მკითხველის ყურადღების მისაპყრობად. სარკაზმისაგან განსხვავებით კალამბურის ფუნქცია იუმორისტული ეფექტის შექმნაა, წარმოაჩენს რა ავტორის ოსტატურ უნარებს. გარდა ამისა მახვილგონივრული კალამბური აცოცხლებს და უფრო ხატოვანს ქმნის დასათაურებებს. სათაური ის ძირითადი ელემენტია, რომელიც პირველ რიგში იპყრობს რეციპიენტის ყურადღებას. ეს ხერხი განსაკუთრებით გამოიყენება პოპულარულ გაზეთებში. მკითხველების გარკვეულმა ნაწილმა ენის ამგვარი გამოყენება შეიძლება ენის დაკნინებად მიიჩნიოს, მაგრამ გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ეს კრეატიული და სასიამოვნო გზაა ენის გასახალისებლად და განსაახლებლად. ჩვენ შევეცადეთ გამოგვევლინა ის თავისებურებები, რომელიც ახასიათებს ქართული და ინგლისური საგაზეთო სტატიების სათაურებს და რომელიც იქმნება კალამბურის სხვადასხვა ტიპის საშუალებით.

### ლიტერატურა:

1. Crystal D. (2004): A Dictionary of Linguistics and Phonetics. Cambridge University press

2. Crystal D. – Davy (1990): Investigating English Style. Harlow. Longman

3. Culler J. (ed.) (1988): On Puns: The foundations of letters, Basil Blackwell, New York

4. Dynel M. (2007): book review. Partington A. (2006): The Linguistics of Laughter. A Corpus-Assisted Study of Laughter-Talk. Routledge. London

5. Galperin I. R. (1977): Stylistics. Moskva.

6. Leigh J. H. (1994): The Use of Figures of Speech in Print Ad Headlines. The Journal of Advertising [online]

7. McArthur T. (1992): The Oxford Companion to the English language. Oxford: Oxford University Press

8. Wales K. (2001): A Dictionary of Stylistics. Harlow: Pearson Education

9. www.thesun.co.uk

10. www.dailymail.co.uk

11. www.geworld.ge

12. http://www.mcgarvey.co.uk/2007/11/22/best-tabloid-headlines

## The Use of Pun in Newspaper Headlines

*Teona Tsintsadze*
*Shota Rustaveli State University*
*Europeistics Department*
*35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia.*
*Tel: 593 112 051*
E-mail: teona.tsintsadze.87@mail.ru

**Abstract**

The given article presents the analysis of pun in newspaper headlines on the basis of English and Georgian materials. The examples are considered according to the English and Georgian newspaper headlines and puns having common characteristics are classified by means of resemblance. The research of pun as one of the forms word play in media discourse has made it clear how important it is for influencing the recipient and how rapidly an addressee's subconsciousness reacts to the information when delivered in a creative way by a journalist.

**Keywords:**

media discourse, pun, typological classification, humour, information.

## Использование каламбура в газетных заголовках

*Цинцадзе Теона Мерабовна*
*Батумский государственный университет им. Шота Руставели*
*Департамент европеистики*
*ул. Диношвили №35, 6010, Батуми, Грузия*
*Тел.: 593 112 051*
